

ისტორია

სამთავროს
ტაძრის
საილაშო

გიორგი მაზრიაშვილის ტრაგედია

აიქვანი
ტანკები
საქართველოში



ჭირის
ოპერაცია და
ქართველი

ქართველობის ბიბიკი ვაკევა

ად ათონოვსკაია

დიდი მოურავი

14 თებერვალი

წლი 10 X

ფასი 3 ლარი

ნიგნი „იმპორტინგ“ ერთად – 6 ლარი

ლარი და
ქართველობი

„კანკალეთის“
შეხებილი –
ჩაბენი

წატულიაზე
იგი აშშ-ი –
ვაჭარბე

ბრებუსი
ქართველი
აშშ-ში

ომარ 1050
რიცხვი

ტიფლისი
და ბათუმი
– აშშ-ში

6**12****9****7**

საჩივრი

ახალი ამბავი	
მზის უძველესი საათი მეცნიერა ველზეა	6
უკანონო გათხოვები ოქუპირებულ	
მხარეზე	6
რეაგრაციის აპოლონოსტრატი	
ხელახლა აღმოაჩინეს	7
მოუღოვდელი აღმოჩენა შოობლიურ	
უნივერსიტეტთან	8
მოცავ ამავი	
მათ სომალიდები სკალინეავიდან	9
ახალი ამბავი	
პიტნა და საკვევლი ლომბულის გულში ...	10
კანონი ბარები	
გიორგი მაზინიავილის ტრაგედია	12
ბერძოლ ცესაზით: ლავის ფეოდალი	
დუკლი და ქართველები	19

კანონი სახლოები სახლოებაზე	
სიმღერ ბერძინიანის ადემაზის	
აღსრულებაის სიმღერის	26
ახალი ამავი	
ვიმოცებების ლეგაციაზე მზის ქვა	
ნაწილია	31
სამხედრო ისამისი	
გატაცრაპტები იბერიაში — ვასტაც	
გორგაბალის არმიის მიმმ კავკაცია	32
სამხედრო ამავი	
პირველი ტანკები საქართველოში	40
მოცოდეობა	
ქართული ქალაქების სახელი	
პატარა	44
საკანონი ეს ბერ სახური	
საქართველო საჯალამო კანკევ	50



72



80



64



56



87



92

საქართველო

ველი დასაცემის მითები		სპონსორის ისტორია
ეს სიცოდური		„განერულების“ მარგალიტი — რაგბი 98
ავტოკავშირი და ცეცხლსასროლი		ცხოვრის გერმანი
იარაღი 56		გზრაზე ფილმისადა — „სიჩვამეზი ვიქტორ დრო მეტია...“ 105
ბექონის ისტორია		მოსახ კაბეი
ძერჩის სადღსაცემო რამრაცხა 64		დღვიღ რაის ეტისონი — არმზიდმნები
კათოლი ხარისხომაზების ძაბლაში		მრთი ღღით! 110
ორგა 1050 ფლისაა 72		ეხეობი
ბაზოსხელები ისტორია		მაგა ზაგბაზიმე: ისტორია თუ გვევრიდება,
ჩაუგდრალი პრი საჯალაბო სახლში 80		მტრისა და მოყვანის ერთმანეთისგან
ახერობობა		გარევა არ გაგვიძირდება... 111
სამთავისის ტაპრის საიდუმლო 87		„ისტორიები“ ბავშვებისთვის
ხსოფლოს ხომილი სასახლეები		500 ფაქტი ისტორიიდან 114
ვენის გელვადერი 92		სპანიელი 122

հՀԵՂԱՎԹՈՒՆ ԵՅՎՈ

გიორგი მაზნიაშვილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ელიტაში გამორჩეული ადგილი ეკავა. მას აფასებდნენ და ანგარიშები უწვდომენ პოლიტიკოსები, სამხედროები, თუმცა კამისდამი მაინცადამაინც დიდი სიყვარული არ ჰქონიათ. 1921 წელს გენერალი მაზნიაშვილი სამშობლოში დარჩა და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეუერთდა ემიგრაციაში წასულ თანამებამულებებს. სწორ რედ პარიზში საბოლოოდ გაიყო გზა მასშა და ქართველ ემიგრანტთა იმ ნაწილს მორის, რომლებიც ყოველგვარ კავშირს უარყოფნენ ბოლშევკიებთან. ადგინანასკნელთა პოზიცია იმ მომენტისთვის აბსოლუტურად გასაგებია, რადგანაც კომუნისტები, როგორც საქართველოს დამპყრიობლები, ყოველგვარ პატრიოტულს საფუძვლშევ კლავინენ და მათდამი ნდობა ბუნებრივია, მიამიტობა იქნებოდა. თუმცა ასე არ ფიქრობდა მაზნიაშვილი. მან გადაწყვეტა ბოლშევკებთან შერიგება და სამშობლოში დაბრუნება. მისი გადაწყვეტილებაც გასაგებია. ეს არ ყოფილა გამორჩეული კონფირმიზმით, ეს საქართველოსადმი უზრუნველყოფილი გადადგმული ნაბიჯი გახლდათ. მაზნიაშვილს ემიგრაციაში ენატრუბოდა ოჯახი, მეუღლე, შვილები, ნათესავები, თავისი სიყველი და ყოველივე ის, რაც საქართველოში ეცულებოდა.

გენერალი საშობლოში დაბრუნდა, თუმცა ამან სა-
შინელი აღმგორება გმოოწვაა ემიგრაციაში და ქარ-
თველმა სასხელმწიფო მთავრობისგან მოითხოვეს მის-
თვის გენერლის წილების ჩამორთმება. ეს დოკუმენტებ-
ბი შემონახულია დამოუკიდებელი მთავრობის არქივ-
ში. უკრნაა „ისტორიანში“ ისინი პირველად ქვეყნდე-
ბა. რამდენადაც სამწუხარო უნდა იყოს ამის აღნიშ-
ვნა, ფაქტია, რომ ამ მთხოვნის ავტორები არაან გი-
ორგი კვინიტაძე და ქაქუცა ჩოლოუშვილი, ხოლო ამ
უკანასკნელთა მიერ გასამართლებული კი გენერალი
მაზნიაშვილია. თავის დროზე ხომ ისინი შეარდაშარ
იბრძონენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის.

საქართველოს დამოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ცალკეული საკითხი ჯერაც შესწავლას მოითხოვს. ამიტომაც ჩვენი უურნალი ყოველთვის სათანადო ადგილს უთმობდა ამ პერიოდის ღოკუმენტებს, იმ პირთა ცხოვრების ამსახველ მასალებს, რომლებმაც მნიშვნელოვნი როლი შეასრულეს 1918-1922 წლებში. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ წლეულს 95 წელიწადი სრულდება საქართველოს დამოკიდებლობის გამოცხადებიდან და ამ თარიღს უურნალი „ისტორიანი“ საგანგებო ნომერს მიუღებინის.



ପ୍ରାଚୀନକାଳ „ଲେଖଣିକାବଳୀ“ ଏହା ମୋରକଥି
କୌଣସିଲ୍‌ଯାଦି କୃତ୍ୟକାଳୀଙ୍କ ଲେଖଣିକାବଳୀର
ଶାଖାକାଳୀଙ୍କରେ ଯେବୀରୁଷିଆ କରିବାରେ
ମେଳାମେଳାଶାଖା ସାହିତ୍ୟରେ ଅଣ୍ଟାଶାଖାରେ
ଧରେବରୁଣ୍ଡି ଗଠନକଥି ଲାଭନାବାଜିଲ୍‌ଯାଦି ପରିବାହି

„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი ჯაბა სამუშა

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტი-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
აღმენიშვილ ბოშტომირი, ოქტომბრი ჯიქური,
იორი ჯაფარიშვილი დიმიტრი სილაქაშვილი,
მიხეილ ბარნევი, შოთა მათიაშვილი,
კახაძე გალიჩია, ნიკოლოზ ხოშტარია

კორექტორები

ნანა მაჭიავარიან

ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, იოსევგიძის ქ. №49

ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება

ტელ.: 237-78-07, 238-78-7

e-mail: istoriani@palitra.c

15 2 1 3 1

Digitized by srujanika@gmail.com

ოუდაქციის ხებაოთვის გარემი
მასალების აკოტეჭდა აკრძალვი.

藏文大藏经

უკრაინის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და

წიგნების გაფრცელების სააგენტო „

მზის ცძველისი საათი მეფის ველი

გვიპტეში, მეფეთა ველზე, ერთ-ერთ სა-
მართან მსოფლიოში უძველესი მზის ველი-
ტური საათი აღმოჩინქა. იგი XIX დინასტი-
ის პერიოდს, ანუ ძვ.წ. XIII საუკუნეს უნდა
განეკუთვნებოდეს.

მზის საათს მკვლევრებმა მეფეთა ველზე
ეგვიპტის ახალი სამეფოს (ძვ.წ. 1550-1070 წწ.)
პერიოდის სამარხების ტერიტორიაზე მიაკ-
ვლიეს.

„ამ აღმოჩინის მნიშვნელობა დიდია, რად-
გან ის თითქმის ათასი წლით მეცნია, ვიღრე
აქამდე არსებული წარმოდგენა, თუ როდის
დაიწყეს მზის საათის გამოყენება“, — ამბობს
შევიცარის ბაზელის უნივერსიტეტის მკვლე-
ვარი სიუზენ ბიკელი.

მანამდე მსოფლიოში ყველაზე ძველი მზის
საათები (ძვ.წ. 332-ა.წ. 395) ბერძნულ-რომა-
ულ პერიოდს განეკუთვნებოდა.

მეფეთა ველზე მიკვლეული მზის საათი



გვიპტურება
საათი
ბერძნულ-
რომაულის
სიძველით
„გაახწირ“

კირქვის გლუვი ნაჭრისგან არის დამზადებუ-
ლი, რომელსეც 12 ნაწილად დაყოფილი შავი
ნახევარწრე მიმართულია ზევით. ყოველი ნა-
წილი კი შუაში, ერთ წერტილში იყრის თავს.
მათ შორის დაშორება 15%-იანი კუთხეა. მეც-
ნიერთა აზრით, ეს ხელს უწყობდა დროის უფ-
რო ზუსტად განსახვვრას.

სიუზენ ბიკელი და მისი კოლეგები ამ სფე-
როში 2008 წლიდან მუშაობენ და როგორც
სიუზენი ამბობს, კვლევათა გაგრძელებას კი-
დევ რამდენიმე წელიწადის განმავლობაში აპი-
რებენ.

მომზადებულია liveScience-ის მიხედვით

უკანონო გათხრები ინუკირებულ მხარეში

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე უკა-
ნონო არქეოლოგიური გათხრები მიმდინარე-
ობს. ინფორმაციას გათხრების მიმდინარეო-
ბის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „რე-
სო“ აურცელებს.



სააგენტო წერს, რომ გათხრებს რუსეთის
მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიას ინ-
სტიტუტის სპეციალისტები უწ. სამხრეთ ოსე-
თის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებ-
თან ერთად ორ რაიონში წარმართავენ.

„საველე კვლევები ანტიკური, ბრინჯაოს
და ადრიელი შუა საუკუნის ეპოქის არტე-
ფაქტების აღმოჩენაზეა ორიენტირებული“, —
ამბობს სააგენტოსთან საუბრისას ე.წ. სამ-
ხრეთ ისეთის კვლევითი ინსტიტუტის დირექ-
ტორი რობერტ გაგლიოთი. მისი ცნობით,
2013 წელს გათხრები ჯავისა და ზნაურის რა-
იონებში მოწყობა. სამუშაოების დაწყება
ივლისის შუა რიცხვებში იგვენის და აგვის-
ტომდე გასტანს. გათხრებში მონაწილეობას
მიიღებს რუსეთის პუმანიტარული კვლევე-
ბის აკადემიისა და ალანიის კისტა ხეთაგუ-
როვის სახლობის სახლმწიფო უნივერსი-
ტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტი-
ტუტის მეცნიერები.

„ისტორიანი“

რემბრანდტის ავტოპორტრეტი ხელახლა აღმოჩინის

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ რემბრანდტის პორტრეტი, რომელიც ამ დრომდე მისი მოსწავლის ნამუშევრად მიიჩნეოდა, თავად ოსტატის მიერ არის შესრულებული. ეს დასკვნა XVII საუკუნის პოლანდი-ელი ფერმწერის შემოქმედების მკვლევარმა ერნსტ გან დე კეტრინგმა გააკეთა. ტილო 1635 წლით თარიღდება, საიდანაც გამოდის, რომ უტორი მანძი 29 წლისა იყო.

მკვლევრის დასკვნა ექსპერტიზის შედეგებს ეფუძნება, რომელიც უახლეს ტექნოლოგიებს ეყრდნობოდა, მათ შორის, ტილოს ანალიზს რენტგენის სხივის გამოყენებით, აგრეთვე ჩატარდა საღებავის პიგმენტური ანალიზიც. მეცნიერის აზრით, საღებავების შერევის ხასიათი ამ ტილოზე სწორედ დადი მსატერის მანერას შეესაბამება.

დასკვნა, რომ რემბრანდტის პორტრეტი მისი მოსწავლის შესრულებული იყო, 1968 წელს გააკეთა რემბრანდტის შემოქმედების ერთ-ერთმა წამყვანმა ექსპერტმა პორსტ ჰერსონმა. მისი ვერსია 1989 წელს კიდევ ერთხელ დაადასტურეს მკვლევრებმა რემბრანდტის კვლევის პროექტიდან.

ვითარება შეიცვალა იმ ახალი მასალების შესწავლის შემდეგ, რომელიც მეცნიერებმა რემბრანდტის პორტრეტისა და მისი ხატვის მანერასთან დაკავშირებით 45 წლის განმავლობაში დააგროვეს. რემბრანდტის პორტრეტი ინგლისში, დევონის საგრაფოში, 700 წლის სააბატოს მამულშია გამოფენილი. ამ მამულში ერთ დროს ცნობილი ინგლისელი მეზღვური და მეკობრე ფრენსის დრეკი ცხოვრიდა. ახლა ის კერძო საქველმოქმედო ფონდის საკუთრებაა, რომელიც ბრიტანეთის ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას იცავს.

ექსპერტთა შეფასებით, რემბრანდტის ავტოპორტრეტის ფასი 20 მილიონი გირგანქა სტერლინგია, რაც დაახლოებით 30 მილიონ დოლარს შეადგენს. თუმცა მისი გაყიდვა არ იგემტება. პორტრეტი სააბატოში კიდევ რვა თვეს განმავლობაში დარჩება. შემდეგ კი შესწავლისა და მორიგი რესტავრაციისთვის სპეციალისტებს გადაეცემათ.

მოშადებულია Discovery-ის მიხედვით



რემბრანდტის პორტრეტი სააბატოში აღიღილის მიზნისას



ჯონსტ გან დე კეტრინგი

სიძელეთა დაცვის ფონდის კურატორი
დავიდ ტეილორი სურათთან





ედინბურგის უნივერსიტეტი



რაინდის საფლავს ავტოპარკირების მოედანზე
მიაგწე



შოტლანდიის
მეფე
ალექსანდრე
II-ის
გამოსახულება
მთხვეთაზე

მოულოდნელი აღმოჩენა მეობლიურ უნივერსიტეტიან

ედინბურგში შუა საუკუნეების რაინდის საფლავს მიაკვლიერა. აღმოჩენა შოტლანდიის დედაქალაქის ისტორიულ ცენტრში სამშენებლო სამუშაოებისას მოხდა. გზის საფარი მოხსენეს საუკონილობილო პარკირების მოედანს, რომელიც ისტორიულ რელიგიას მრავალი წლის განმავლობაში მაღლვდა.

საფლავის ქვეშ ამოკვეთილმა ლათინურმა ჯვარმა საყრდენით და მახვილმა მეცნიერებს საუკუნეების რაინდს ან არისტოკრატს ეკუთვნოდა. მოპოვებული არტეფაქტები ექვსერტიზისთვის ძეგლებულის გადაეცათ. ექვსერტიზის დასრულების შემდეგ, საგარაუდოდ, რაინდის გარდაცვალების მიზნზიც გაირკვევა.

„ეს შეიძლება ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ უძილეს არქეოლოგიურ აღმოჩენად იქცეს. ამასთან, სამუალებას მოგვცემს შევიქმნათ წარმოდგენა, როგორი იყო ცხოვრება შუა საუკუნეების ედინბურგში“, — განაცხადა ქალაქის საბჭოს წევრმა, კულტუროლოგმა რიჩარდ ლიუისმა და იქვე აღნიშნა, რომ „ბევრი რამ ჯერ კიდევ უცნობია, თუმცა სამარხი უკვე დათარიღდა XIII საუკუნით“.

ამ აღმოჩენის წეალობით, მეცნიერებმა შეძლეს დაედგინათ შოტლანდიის მეფე ალექსანდრე II-ის (1214-1249 წწ.) მიერ დაარსებული ბლეკფრაიერსის მონასტრის მდებარეობა, რომელიც რეფორმაციის პერიოდში, 1558 წელს დანგრიეს. აღმოჩენის ავტორმა, არქეოლოგმა როს მიურეულ ედინბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა, რომელიც ამ სამარხიდან სულ რაღაც რამდენიმე ათურეულ მეტრში მდებარეობს.

„ჩვენ, რა თქმა უნდა, შევისწავლეთ ჩვენი უნივერსიტეტისა და ამ რაინდის ისტორია, თუმცა ფიქრიც კი არ შემძლო, რომ ერთხელაც დაგბრუნდებოდი აქ, რათა ამგვარი აღმოჩენა გამეკვეთებინა“, — აღნიშნა მან.

მომზადებულია
nationalpost.com-ის მახლევით

კვის ხომალიბი სანორინავილი

ბალტიის ზღვის რეგიონის ხალხები ბრინჯაოს ხანაში აგებდნენ ძეგლებს, რომლებიც მათ ზღვასნობის მოყვარეობას ადასტურებენ. ქვისგან აშენებული მეგალითური კომპოზიციები უზარმაზარი ხომალდის ნაშთებია, რომელთა ასაკიც 3000 წელსაც კი აღწევს. თუმცა შემორჩენილია ქვის გემები, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვებშია აგებული, ვიკინგების ეპოქაშიც კი (ახ. წ. 800-1150).

გვიანი ეპოქების ხომალდებთან დაკავშირებით მეცნიერები არ დაფიქნენ, რომ ისინი მიკვალებულის პატივსაცემად იგებოდა, თუმცა ძველ ნაშთებთან დაკავშირებით მათი ვერსიე-

ბი იყოფა. ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ ქვის ხომალდები სიკვდილისა და სიკვდილის შემდგომი სიცოცხლისადმი მიძღვნილ რიტუალებს ემსახურებოდა. მკვლევრების თქმით, ამ თვორიას ამყარებს ძელები და ურნები, რომელთაც ქვის ხომალდზე მრავლად მიაკვლიერს. მკვლევართა სხვა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ სკანდინავიურ ქვის ხომალდებს „საამქევენო“ დანიშნულებაც გააჩნდა და რიტუალების გარდა, სასწავლო-მეთოდოლოგიური მიზნით იყენებდნენ. დღეს, შევდებიდან გერმანიამდე, ასულობით მეგალითური „გემია“ ნაპონი.

მომზადებულია liveScience-ის მიხედვით

ქვის ხომალდი ანუნდის ფორმანიდან



ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შეიტყობინება, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

კალიტრა მელია გისეხებო!

დარეკალ: 219 60 13

მოგვცერეთ: contact@palitra.ge

ან: „კვის კალიტრის“ („სიტყვა და საკმის“)

საფოსტო ფუთაბის საშუალებით

პიტნა და საკაველი ორმარცის ბიბი

ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მონარქის, რიჩარდ ლომბულის გულის ბიოქიმიური ანალიზის შედეგად ფრანგმა მეცნიერებმა კვრც ხლისწყლის, პიტნის, საკედლისა და სურნელოვანი ძეცხანულების კვალი აღმოაჩინეს. ასეთი სახის ექსპერტიზა პირველად გაკითდა. მეცნიერთა განცხადებით, ყველა ეს კომპონენტი გულის ბალზამირებისთვის იყო გამოყენებული.

რიჩარდ I პლანტაგენეტი, რომელსაც ისტორია რიჩარდ ლომბულის სახელით იცნობს, 1199 წელს აღესრულა. გარდაცვალების შემდეგ მონარქის სხეული ფონტვეროს სააბატოში დაკრძალეს, შინაგანი ორგანოები ქალაქ შალიუში, გული კი სხეულიდან 300 კილომეტრის დაშორებით, რუანის ნოტრ დამში.

სხეულიდან გულის ამოღება და მუმიფიცირება, როგორც ჩანს, იმ პერიოდში იყო დამკაიდრებული. მონარქის ბალზამირებული გული, საუკუნეთა განმავლობაში, ტყვიისგან დამზადებულ საგანგებო ყუთში ინახებოდა. მასშე იყო რიჩარდ I-ის პერიოდისთვის დამახასიათებელი წარწერა: „აქ განისვენებს ინგლისის მეფის, რიჩარდის გული“. ყუთი პირველად 1838 წელს გახსნეს, როცა რუანის საკათედრო ტაძარში გათხრებს ისტორიკოსი აშილ დევილი აწარმოებდა. ისტორიკოსის ინტერესი სწორედ ყუთზე გაკეთებულმა ამ წარწერამ გამოიწვია.

ყუთის გახსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბალზამირების მიუხედავად, რიჩარდ ლომბულის გული დამჭკნარი და გამოფიტული იყო.

თანამედროვე მეცნიერებს მხოლოდ მისი ნაშთების შესწყლის შესაძლებლობა ჰქონდათ და ქიმიური ნაერთების მთელი „თაიგულიც“ აღმოაჩინეს. გული ტილოში იყო გასვეული. აღმოჩნდა ლითონის, კერძოდ, ტყვიისა და კალის კვალი, რომელიც გულის ნაჩენებში საგარაუდო ტყვიის ყუთიდან მოხვდა. სხვა ლითონები კი, მაგალითად, კვრც ხლისწყალი — ბალზამირების შედეგად.


რიჩარდ I ინგლისს 1189 წლიდან მართავ-



რუანის ნოტრ დამში



აკლდამა ნოტრ დამში, სადაც მეფის გული ინახება



საგანგებო
ყუთზე
წარწერაა: „აქ
განისვენებს
ინგლისის მეფის,
რიჩარდის
გული“

და. ჯვაროსანთა ერთ-ერთმა ევვლაზე ცნობილმა მხედართმთავარმა, იერუსალიმშე უიღბლო ლაშქრობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. ევროპაში შემოსვლის შემდეგ ის ლეოპოლდ ავსტრიელმა დააპატიმრა. რიჩარდ ლომბგულმა ტყვეობაში ორი წელიწადი გაატარა.

მოგვანებით, რიჩარდ I-ის ტყვეობის ისტორია რობინ ჰუდის ამბჯეს დაუკავშირდა, სადაც ის წარმოჩნდა კეთილ მონარქად, ხოლო მისი ძმა, პრინცი ჯონი — ტახტის უზურპატორად.

ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ, რიჩარდ ლომბგული შინ დაბრუნდა და ინგლისს კიდევ რამდენიმე წელიწადს მართავდა.

ინგლისის „ლომბგულ“ მეფის გარდაცვალების მიზეზი არბალეტით მიყენებული ჭრილობა გახდა. რიჩარდ I არბალეტით დამუზენში, შალიუ-შაბროლის ციხესიმაგრის ალეისას, 1199 წლის 26 მარტს დაიჭრა. მან ეს არ შეიმჩნად და თავის ბანაკში წავიდა. არც ერთი სასიცოცხლო ორგანო არ იყო დაზიანებული, მაგრამ წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ სისხლი მოწიამდა. მეფემ 11 დღეს გაძლო. იგი გარდაცვალებისა 41 წლისა იყო.

ერთ-ერთი ვერსიით, არბალეტის ისარი, რომლითაც მეფე დაჭრეს, მოწამდლული იყო. თუმცა მეცნიერები ტოქსიკოლოგიური ანალიზის შემდეგ აცხადებს, რომ არანაირი საწამლავის კვალი არ აღმოჩენილა.

რაც შექმნა გადაწყვეტილებას, ინგლისის ლომბგული მონარქის გულის სხეულისგან მოშორებით დაკრძალვის შესახებ, მკვლევართა განმარტებით, ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ჟესტი იყო.

მოშადებულია SKYnews-ისა და History.com-ის მასალების მიხდვით



რიჩარდ I-ის სულატურა ლონდონში,
კუსტომისტერის სააბატოში



მონარქის სხეული ფონტეჰის სააბატოში
დაკრძალული



talizi
თბილი გადაცემის ცენტრი

ტარგათის 27. ტელ: 2141515

WWW.TALIZI.GE

გიორგი მაზნიაშვილის ტრაგედია

ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა სოციალ-დემოკრატიულ ხელისუფლებას არ უჰყარდა და არც სწავლობდა. გენერალიტეტი აფასებდა, მაგრამ ყველა უცნაურ ადამიანად მიიჩნევდა. ბოლშევიკებს ეგრძოდა 1921 წლის თებერვალში, მაგრამ იმავე წლის მარტიდან საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩადგა, ქართველი წითელი დოკიზის უფროსად დაინაშა.

ბოლშევიკების მხოლოდ რამდენიმე თვე გაძლიო. სექტემბერში დააპატიმრეს და ორწელიწადნახელის შემდეგ იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ ქვეყანას დატოვებდა. გმიგრაციაში კერ გაძლიო და კვლავ საქართველოში დაბრუნდა. შეუცადა, წენარად ეცხოვა სამშობლოში, მაგრამ 1937 წელს კომუნისტებმა დააპატიმრეს, რომორც ხალხის მტერი და დახვრიტეს. ასე ტრაგიკულად დასრულდა გიორგი მაზნიაშვილის ცხოვრების გზა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში ოცდაათზე მეტი გენერალი მსახურობდა, თუმცა მხოლოდ რამდენიმე მათგანს პქნდა, ეს წილება მეფის რესეპის დროს მიღებული. მათ შორის იყო გიორგი მაზნიაშვილი. ამასთანავე, იგი შტაბის გენერალი არ ყოფილა, სამხედრო ნაწილებს უშუალოდ ფრონტის საზრე სარდლობდა და შესანიშნავი მცოდნე გახლდათ მეომართა ფიქოლიგიისა. საშუალო ტანის, გამხდარი აღნაგობის გენერალი პრინციპულობით, გაჟაცური ხასიათითა და სამართლიანობით პატივის-ცემას იწვევდა, იმათ შორისაც კი, ვინც პოლიტიკურად არ ენდობოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკველას მკაცრი და უკარება ეკონა, საოცრად სენტიმენტალური და მიმნდობი ადამიანი იყო. ინიციატივიანი გახლდათ, პრობლემების მოგვარებისა და გადაჭრის მის-



წრაფება პქნდა, ფრონტის საზრეც ეკელა-ფერს აკეთებდა დასახული სამხედრო ამოცანის შესასრულებლად.

საქართველოს დატოვების შემდეგ გიორგი მაზნიაშვილი ერთხანს ირანში ცხოვრობდა, სადაც მას პატრონობდა ქართველი მეწარმე და ქველმოქმედი ე. ხოშტარია. 1923 წლის დეკემბერში გენერალი უკვე პარიზში ჩავიდა, სადაც დევნილობაში მყოფმა მთავრობამ მცარე პენსია, 500 ფრანგი დაუნიშნა. ერთჯერადად საყოფაცხოვრებო ხარჯებისთვის კი 1.200 ფრანგი გამოუყვეს. თავად მაზნიაშვილი აღნიშნავს, რომ მისი პენსია უდრიდა დაახლოებით 50 მანეთს. „ეს ფული ეყოფა პარიზში ადამიანს ისე, რომ არც მოკედეს და არც ცოცხალი დარჩეს“, — წერდა იგი.

პარიზული პერიოდი გიორგი მაზნიაშვი-

ლის ცხოვრებაში საკმაოდ რთული აღმოჩნდა. იგი, ძირითადად, ერთეულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკოსთა გარემოცვაში ჩნდებოდა, თუმცა კავშირები პქონდა საქართველოს მთავრობის წევრებთანაც. 1924 წლის აჯანყების დაწყება მაზნიაშვილმა და ქართველ ემიგრანტთა ნაწილმა რამდენიმე დღის დაგვაანებით შეიტყვეს.

ნოე ჟორდანიას ინიციატივით გიორგი მაზნიაშვილი 1924 წლის 19 სექტემბერს სტამბოლში გამოემგზავრა, რათა იქიდან მოქერხებინა საქართველოში შეღწევა, თუმცა თურქეთში ყოფნისას გენერალი დარწმუნდა, რომ აჯანყება განწირებით იყო და საქართველოში ჩასვლას აზრი არ პქონდა. მაზნიაშვილი ლტოლვილის სტატუსის მიღების სამჩადისს შეუდგა. სწორედ ამ დროს შეიტყო გენერალ ა. ჭავჭავაძისგან, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისას „პარტიულ კომიტეტში“ ევროპიდან მიღებული შეტყობინების საუქელზე გაუცელდა მოსაზრება, რომ „რიზესა და სოფას შუა დგანან იარაღითა და სურსათით დატვირთული გემები დესანტების თანხლებით გენერალ მაზნიაშვილისა და ნოე რამიშვილის მეთაურობით“. ბუნებრივია ა. ჭავჭავაძის ამ ინფორმაციამ კიდევ უფრო დაბადა მაზნიაშვილსა და სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას შორის ურთიერთობა. ამას

დაემატა კიდევ ერთი არასასიამოვნო ფაქტი — თბილისში გავრცელდა ხმა, თითქოს პარიზში ბოლშვიკებს აჯანყების გეგმა გიორგი მაზნიაშვილმა გადასცა. 1925 წლის 14 იანვარს მან მიმართა ნოე ჟორდანიას წერილით, სადაც ითხოვდა მთავრობისგან, ოფიციალური განცხადებით დაედასტურებინა, რომ გეორცელებული ინფორმაცია წარმოადგენდა ჭორს და რომ გენერალმა მაზნიაშვილმა არამოუ არ იცოდა აჯანყების შესახებ, არამედ პირიქით, წინააღმდეგი იყო ამგვარი გამოსვლისა. ამ განცხადების პასუხად 26 იანვარს მაზნიაშვილს მიუვიდა კ. კანდელაკის წერილი.

„ბ-ნ გიორგი მაზნიაშვილს!

დღეს, 26 იანვარს, მთავრობის სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც, განხილულ იქნა თქვენი განცხადება და დაადგინებს: გამოგეცხადოთ თქვენ სრული ნდობა და ამასთან ერთად ეცნობოს საქართველოს ყველა ჩეენ ორგანიზაციას, რომ ხმები და ჭორები, რომელიც ტრიალებს თქვენი სახელის გარშემო, არის განხრას მოგონილი ცილისწამება. მთავრობის მდივანი კ. კანდელაკი“.

ნაწილობრივ მაზნიაშვილის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა მთავარი, რომ ეს გადაწყვეტილება საქართველოში უნდა ჩასული-

ნოე ჟორდანა და გიორგი მაზნიაშვილი





დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი
პლაკატი, 1919 წ.

ნოვ გორგანა



ყო, არ შესრულდა. არავინ იზრუნა იმისთვის, რომ მთავრობის განცხადება მიწოდებინათ საქართველოში, იატაპევეშ არსებული ორგანიზაციებისთვის. დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში სჯეროდათ, რომ მაზნიაშვილმა საბჭოთა დაზვერვასთან ითანამშრომლა და მას 1924 წლის აჯანყების გეგმა გადასცა. პარიზში ყოფნისას გენერლის ფიქოლოგიური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. მის მოგონებებში არაერთგზისაა აღნიშვნული, თუ რა მძიმე ყოფაში უწევდა ცხოვრება მის ოჯახს თბილისში.

იმავდროულად, ემიგრაციაში დისკომფორტს გრძნობდა. თავდევ წერს: „მშართველი პარტიის ხელში ვემსგაფსებოდი სათმაშოს, რომელსაც პარტიის რომელიმე წევრი თავის სურვილისამებრ ათამაშებს, ყოველგვარ ექსპერიმენტს აკეთებინებს და არაუერს ანგარიშს არ უწევს, რადგან არსაიდან დასჯას არ მოელის“. საბოლოოდ, გიორგი მაზნიაშვილმა მიიღო საკმაოდ მძიმე გადაწყვეტილება და მოლაპარაკება დაიწყო ბოლშევიკებთან სამშობლოში დაბრუნების უფლების მისაღებად. ამით, აშკარად გაიყო გზები მასსა და ემიგრაციის დიდ ნაწილს შორის. გიორგი მაზნიაშვილი საქართველოში 1925 წელს დაბრუნდა, თუმცა მანამდე იყო კიდევ ერთი ფაქტი, რომელმაც დევნილ გენერალს უდიდესი სულიერი ტკივილი მიაყენა. ქართველ მხედართა კრებამ გიორგი მაზნიაშვილს აყარა გენერლის პატივი. ამ სხდომის ოქმს ხელს აწერს თოხი ქართველი სამხედრო პირი, გენერლები: გ. კვინიტაძე და ალექსანდრე ერისთავი, ასევე პოლკოვნიკი მ. წერეთელი და ქაქუცა ჩილოფაშვილი. ეს დოკუმენტი პირველად ქვეყნდება და ამიტომ გთავაზობთ მას უცვლელად.

ქართველ უფროსს მხედრუბის კრების დადგენილება

2 იანვარი 1926 წელიწადს.

გენ. მაზნივი მსახურობდა საქართველოს ჯარში დღიდან მისი დაარსებისა. მიიღო მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ომებში და 1921 წ. იმ მტრის წინააღმდეგ, რომელიც ქელაც მეფობს ჩვენს ქვეყნაში.

როდესაც 1921 წ. 18 მარტს საქართველოს მთავრობა ზოგიერთ სამხედრო პირების თანხლებით გამოემგზავრა უცხოეთში, გენ. მაზნივი დარჩა საქართველოში და საბჭოთა ხე-

ლისუფლებისაგან მიიღო მთავარსარდლის თანამდებობა. მერე გენ. მაზნივე ამ თანამდებობიდან იყო გადაეცემული და დაპატიმრებულიც.

1923 წ. იყო იყო განდევნილი ჩვენი სამშობლოდან საბჭოთა ხელისუფლების მიერ და სპარსეთით ჩამოვიდა პარიზში, სადაც ცხოვრობდა საბჭოთა უფლების მხარეზე გადასვლამდე.

1924 წ. ქართველი ხალხის აჯანყების დროს გაემგზავრა სტამბოლში სამშობლოში ჩასასვლელად, მაგრამ ვერ ჩავიდა რადგან აჯანყება ჩაქრიობილი იყო ჩვენი მტრის მიერ.

1925 წ., დაახლოებით ენკვის თვეს გაისმა ხმა, რომ გენერალ მაზნივეს აქვს რაღაც მოლაპარაკება საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებთან პარიზში.

ქართველ სამხედრო უფროსი პირი გენ. კვინიტაძის თავმჯდომარეობით შეეკითხენ მას ამის გამო საქართველოს ლეგალიზაციის შენობაში, რისთვისაც ის საგანგებო იყო იქ გამოწვეული. მან ამ შეკითხებზე განაცხადა, რომ მაზნივი მტრის ბანაკში, არამედ მან გამოაქვეყნა თავისი მოწოდება ქართველ მხედართა მიმართ, სადაც გმობს საქართველოს ეროვნულ მთავრობას, 1924 წლის ჩვენი ერთი აჯანყებას და მოგვიწოდებს, ჩვენც გადავიდეთ ჩვენი მტრის ბანაკში, 26 ქრისტეს-შობის თვეს 1925 წ. და 2 იანვარს 1926 წ. უფროსს მხედართა კრებას, გენ. კვინიტაძის თავმჯდომარეობით, პქონდა შსჯელობა გენ. მაზნივის საქციელისა და მისი საერთო ყოფაქცევისა გამო საფრანგეთში ყოფნის დროს. კრებამ დაადგინა: გენ. მაზნივი განრიცხულია

წითელარმიელი ოკუპანტები თბილისში

და ითხოვა ნებართვა თავისი შვილების ჩამოყვანისა საფრანგეთში და მხოლოდ ეს იყო საგანი მისი მოლაპარაკებებისა.

მან იქვე აღიარა თავისი შეცდომა. ის გარემოება, რომ ჩვენ სამხედრო პირებს ეს თავის დროზე არ შეგვატყობინა და დაგვპირდა, რომ უჩვენოდ არავითარ მოლაპარაკებას არ გააგრძელებდა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ჩვენ გადმოგვეცა და ჩვენს დაუკითხავად არაფერს უბასუხებდა.

მიუხედავად ამ დაპირებისა, როგორც ჩანს, მან არათუ ეს მოლაპარაკება განაგრძო და გადავიდა ჩვენი მტრის ბანაკში, არამედ მან გამოაქვეყნა თავისი მოწოდება ქართველ მხედართა მიმართ, სადაც გმობს საქართველოს ეროვნულ მთავრობას, 1924 წლის ჩვენი ერთი აჯანყებას და მოგვიწოდებს, ჩვენც გადავიდეთ ჩვენი მტრის ბანაკში, 26 ქრისტეს-შობის თვეს 1925 წ. და 2 იანვარს 1926 წ. უფროსს მხედართა კრებას, გენ. კვინიტაძის თავმჯდომარეობით, პქონდა შსჯელობა გენ. მაზნივის საქციელისა და მისი საერთო ყოფაქცევისა გამო საფრანგეთში ყოფნის დროს. კრებამ დაადგინა: გენ. მაზნივი განრიცხულია





გიორგი კვინიტაძე და ქაჯუცა ჩოლოფაშვილი

იქმნას სამხედრო წრიდან და აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მას აეყაროს გენერლის და საერთო სამხედრო სახელწოდება და განრიცხულ იქნას სამხედრო უწყებიდან სამუდამოდ.

ამასთანავე, რადგანაც გენ. მაზნივის პარიზში ყოფნის დროს არაერთხელ ასრულებდა მთავრობის დაგალებების, ჩაითვალოს როგორც მსახური პირი.

მაშასადამე, აღიძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა გენ. მაზნივი დაუყოვნებლივ მიცემულ იყოს სასამართლოში, როგორც მოღალატე ჩვენა სამშობლოსი.

დედანს ხელს აწერენ:

გენ. კვინიტაძე

გენ. ალექსანდრე ერისთავი

პოლკ. ს. წერეთელი

ქაჯუცა ჩოლოფაშვილი

დედანთან სწორია გენ. კვინიტაძე

ეს მკაცრი გადაწყვეტილება მოგვიანებით, 1926 წლის 22 იანვარს გადაეცა საქართველოს

მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენელს საფრანგეთში, აკაკი ჩხერიმელს, შესბამისი წერილის თანხლებით. ამ დოკუმენტს ხელს აწერს გენერალი გ. კვინიტაძე. თავისი შინაარსით ეს წერილი საინტერესოა და მასაც აქვე გაქვემდება.

საქართველოს მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენელს საფრანგეთში ბატ. ა. ჩხერიმელს

ამასთანავე გაახლებთ ქართველ უფროსს სამხედრო პირების დადგენილებას და გთხოვთ წარუდგინოთ მთავრობას თანახმად სამხედრო აღაუგისა, როდესაც ოფიცერი არღვევს თვეის საქციელით პატიოსნებას, იგი უნდა იქმნას მიცემული პატიოსნების სასამართლოში, რომლის წევრები არიან ამორჩეულნი სამხედრო ამა თუ იმ ნაწილის საზოგადოებიდან. თუ ოფიცერი არის გენერალი, ამ შემთხვევაში ინიშნება უფროსის მიერ საგნაგებო სასამართლო, რომელსაც აქვს მსჯელობა ამ პირის საქციელის შესახებ. გენ. მაზნივის საქციელი და საერთოდ მისი ყოფა-ქცევა პარიზში ყოფნის დროს ისეთი არაჩვეულებრივია და მოხდა ასეთ განსაკუთრებულ პირობებში, რომ მე საჭირო გნახე თითოო მეკისრა თავმჯდომარეობა ჩემს მიერ დანიშნულ პატიოსნობის დამცველთა საგანგებო სასამართლოში.

გენ. მაზნივის საქციელში გახლავს ორი მხარე: ერთი ზენობრივი, მეორე — დანაშაულობა თავისი სახელმწიფოს წინაშე. პირველის დასჯა გაკუთხნის პატიოსნობის დამსჯელ სასამართლოს; მეორესი კი სახელმწიფო სასამართლოს.

ამ ზენობრივი მხარების გარჩევა კუთვნის სამხედრო პირების უფლებას და სამხედრო პირებმა დაადგინეს, რომ გენ. მაზნივი იყოს განრიცხული სამხედრო წრიდან.

თანახმად სამხედრო წესდებებისა, განრიცხული ამა თუ იმ ნაწილიდან ან წრიდან სამხედრო პირი უნდა იქმნას განრიცხული სამხედრო უწყებიდან სამუდამოდ. ამისთანა განრიცხულ შეადგენს სამხედრო უწყების თავში მდგომ პირის უფლებას.

რადგანაც ამისთანა პიროვნება არ არსებობს, მაშასადამე, გენ. მაზნივის სამხედრო უწყებიდან განრიცხულ შეადგენს თვით მთავრობის უფლებას.

ამიტომაც ქართველ უფროსს მხედართა კრება სთხოვს მთავრობას გამოიტანოს გენ.

მაზნიევის შესახებ დადგენილება სამხედრო უწყებილან მისი გამორიცხვისა. რაც შექტბა გენ. მაზნიევის მიცემას სახელმწიფო სასამართლოში შექმნილი მდგომარეობის ძალით, ეს შეადგენს აგრეთვე მთავრობის უფლებას.

გენ. მაზნიევი საქართველოს აღდგენილან, 1918 წ. 26 მაისიდან განლდათ მსახური ჩვენი მთავრობისა, იმ მთავრობისა, რომელიც აქამდის ცნობილია საფრანგეთის მიერ.

გენ. მაზნიევი გადავიდა სამსახურში იმ მთავრობასთან, რომელსაც იგი არ სცნობდა და ამით უღალატა ჩვენ მიერ ცნობილ მთავრობას და აგრეთვე ქართველ ერს, რომელმაც გაღებული შსხვერპლით და აჯანყებებით მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ იგი არ იტანს ძალით დაეყენებულ საბჭოთა ხელისუფლებას და შემოუვნილ უცხო ძალას.

გენ. მაზნიევი საფრანგეთში ყოფნის დროს არაერთხელ ასრულებდა ჩვენი მთავრობის დავალებებს და თავის საქციელით არა მხოლოდ უღალატა მთავრობას, არამედ იგი მოუწოდებს ქართველ მხედრობას, რათა გადავიდნენ მტრის ბანაკში.

ამ მოქმედებით გენ. მაზნიევი გადაუდგა კანონიერ მთავრობას და შეუდგა ამით აჯანებების მოწყობას.

ამისთანა საქციელისათვის გენ. მაზნიევი უნდა დასჯილ იქნას სასტიკად.

სასამართლოს დანიშნული და ამ სასამართლოს განახენის გამოტანა არის ჩვენი შინაური საქმე და მე მიმაჩნია ამის მოხდენა არ არის შეუძლებელი.

გენ. კვინიტაძე

თანდართულია ქართველ უფროს მხედართა კრების დადგენილების ასლი.

როგორც ვხედავთ, გიორგი მაზნიაშვილი ემიგრაციაში მყოფმა სამხედრო პირებმა გარიცხეს თავისი რიგებიდან და აღძრეს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, ჩამოერთმიათ მისთვის გენერლის წოდება. ნოე ქორდანია და მისი მთავრობა მოერიდა ასეთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმას, თუმცა უნდა ითქვას, რომ სამხედრო პირისთვის იმ მოქმედებისთვის მაზნიაშვილი მოდალატე და ბოლშევიკებთან შეკრული პირი იყო. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ ამ ორივე დოკუმენტში გენერალ მაზნიაშვილის გვარი მაინც და მაინც რუსული ფორმით — მაზნიევით იხსენიება. ქართული ემიგრაციისთვის მისი საქციელი დასაგ-



აკაკი ჩხერიძე

მობი იყო და ამ წერილების ტონიც ამით უნდა იყოს განპირობებული. მოვლენათა შემდგომა განვითარება აჩვენა, რომ გენერალი თავისი სამშობლოსა და ოჯახის სიყვარულის გამო დაბრუნდა საქართველოში, არავითარი სხვა განზრახვა მას გულში არ ედო. სამშობლოში

მუსლიმ ერთად



ჩამოსვლისთანავე ის ჩვეულებრივ ცხოვრებას შეუდგა, დიდ პერიოდს საერთოდ სოფელში ატარებდა. 1937 წელს მაზნიაშვილი დახვრიტეს. მან საქართველოში ჩამოსვლა და აქ სიკვდილი არჩია კვროპაში შშვიდად ყოფნას. არ გამოურიცხავთ, „ქართველ უფროსს მხედრობის კრების“ გნახენი ცხელ გულზე ყოფილიყო მიღებული, მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა სრულიად საწინააღმდეგო დაანახა კვროპაში დარჩენილ ემიგრაციას. როცა მაზნიაშვილი ბოლშვევიკებმა დახვრიტეს, იმ ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც მაზნიაშვილისთვის გენერლობის ჩამორთმების შხარს უჭრდა, საღ-საღამათი იყო და პარიზისა თუ კვროპას სხვა ქალაქების ქუჩებში დასეირნობდა. ბოლშვევიკების ტერორს შეწირა

მაზნიაშვილის შეუათანა ვაჟი, ივანეც (ვანო), უმცროსი ბორისი კი საქართველოდან გადაიხვეწა და დიდხანს ბაქოში ცხოვრობდა. გენერლის ოჯახის ტრაგედია, ბუებრივია, ემიგრაციაშიც ეცოდინებოდათ, ამიტომაც მოგვიანებით არავის გახსენებია გენერალ მაზნიაშვილის „დალატი“, თუცა ეს უკვე აღარ იყო მთავრი. თბილისის დაცემის შემდგა მაზნიაშვილის, როგორც სამხედრო პირისა და გენერლის ტრაგიკული ბედის მსგავსი შეიძლება არც მოიქმენს. ისე წაგიდა ამ ცხოვრებიდან გენერალი, თანამებრძოლთაგან მიყენებული ტკიფილი თან გაიყოლა, ჩვენ კი დაგვრჩა ლრიოდე ფურცელი, რომელშიც საქართველოს უახლესი ისტორიის ტრაგიკული მოქნეტია ასახული.

პარა სამუშაო

გიორგი მაზნიაშვილი შვილებთან ერთად





დუელი და ქართველები

(დასახული. დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №2-3)

„ისტორიანის“ წინა ნომრებში გამოქვეყნებული ისტორიული ექსკურსი მკითხველს უთუდ აღუძრავდა „ქართველი დუელის“ სპეციფიკაში გარკვევის ცნობის წადილს.

საინტერესოა, რომ დუელის მსგავსი „დვორის სამსჯავრო“ XVII საუკუნის ქართულ ისტორიაშიც აღინუსხა. ამ ეპიზოდს თავდაპირველად მწერალმა თამაზ ნატროშვილმა მიაქცა ყურადღება და თავისი ისტორიული ესების ციკლში („მოზაიკა“) გამოაცალკევა „ქართული დუელი“: ფარსადან გორგიჯანიძისა და ზაქარია სარკავაგის (ქანაქერცი) ცნობებიდან გამომდინარე, იგი მოგვითხრობს, როგორ აიძულა როსტომ მეფემ მისი შვილობილის მკლელობაში (განზრას თუ შემთხვევით) ეჭვმიტანილნი — სიაშ ბარათაშვილი

და ბაინდურ თუმანიშვილი, ცხენდაცხენ დასტერებოდნენ ერთმანეთს იარაღით ხელში, რათა სისხლით ჩამოერცებათ ცილისწამება.

ქართული დუელის ფენომენის წვდომას დიდად ადგილის მწერალ როსტომ ჩხეიძის საინტერესო წიგნი „ქართული დუელიანა“, რომელიც საშუალებას გვაძლევს, საუკუნენა-ხევრიან ისტორიულ მონაკვეთში ამჯერად პიროვნული კონფლიქტების პანორამას შევა-ლოთ თვალი.

ავტორი ჯერ ქართულ „სადუელო ავა-სცენას“ წარმოგვიდგნს თავისი პერსონაჟე-

იღლიასა და ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ნიკოლაძისა და დავით ფურცელაძის, დავით ერისთავისა და ნაბოლეონ ამატუნის, ექვთიმე თაყაიშვილისა და თემო უორდანის, დავით კლდიაშვილისა და პალმის კონფლიქტი ნამდვილად შეიძლება უურნალისტური დუელის კატჯორისას მივაჭროთ

ბითა და დრამატული მიზანსცენებით (განზრას მოვახმე ეს თეატრალური ტერმინები — ვგონებ, არცე უსაფუძვლოდ) და გვთავაზობს დუელის კავკასიური ტრანსფორმაციის ეთნოფსიქოლოგიურ მიზეზთა მისეულ ვერსიას: „დუელი არც გამხდარა და ვერც გახდებოდა ჩვეულებრივი მოვლენა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის, — წერს როს-

როსტომ მეფებ აძულა სიამშ ბარათაშვილი და ბანდურ თუმანიშვილი, ურთმანთა ხმალში გამოწვიათ

ტომ ჩეიძე, — მაგრამ რაკიდა ვეროპასა და რუსეთშიც დამკვიდრებულა და თავისი მორალური გამართლებაც მოუპოვებია, საზოგადოების ეს წევრი აღიარებენ მის აუცილებლობას, როგორც ერთადერთ და ყველაზე სანდო გზას შეურაცხოფის ჩამოსარუცხად“.

„დუელის“ ავტორი გვაცნის, ვინ არიან ქართველი საზოგადოების ეს „დუელანტი“ წევრი: ილია ორბელიანი — ნიკოლოზ ბარათაშვილი; ნიკო დადიანი — ინკოგნიტი; ილია ჭავჭავაძე — ნიკო ნიკოლაძე; ილია ჭავჭავაძე — გენერალი სუმბათაშვილი; ნიკო ნიკოლაძე — დავით ფურცელაძე; დავით ერისთავი — ზაქარია ატამნის შვილი; დავით ერისთავი — ნაპოლეონ ამატუნი; მამა გურიელი — ოფიცერი ს-კი; დავით მიქელაძე — ალექსანდრე წულუქიძე; ილია ხონევლი — ნაპოლეონ ამატუნი; ექვთიმე თაყაიშვილი — თემო უორდანია; ნიკო ნიკოლაძე — ბებურ ბებურიშვილი; დავით კლდიაშვილი — პალმი; ანდრია დადიანი — დუბა-ხოტიმირსკი; ნიკო ლოროთქიფანიძე — აკიმოვი; რაულ გოგოხია — სერგეი ესენინი; გიორგი ლეონიძე — სერგეი ესენინი; სანდორ შანშააშვილი — სერგეი ესენინი; ტიციან ტაბიძე — აბულაძე; ვაგენი გვეგმისორი — გიორგი კვინიტაძე; შალვა მაღლაკელიძე — ლატვიელი ოფიცირები; კონსტანტინე გამსახურდა — კურტ ფონ იქსივიული; კონსტანტინე გამსახურდა — იოსებ მჭედლიშვილი; „მიხაკ“ — „რვეაზი“.

ამ სიის ბოლოში ნახსენები მიხაკო და რევაზი არიან ლიტერატურული პერსონაჟები (შიო არაგვის პირელის პროზაული ეტიუდიდან „ბედის მსჯავრი“). ყველა დანარჩენი დუელანტი ან რეალური პირია ან ეჭვმიუტანლად ავტობიოგრაფიული გმირი.

„ქართული დუელის“ ფენომენის ასახსნელად აუტორისთვის ძირითადი თემა დიმიტრი ყიფიანის შეხედულებაა, რომლის ჩეიძის სეული „რეზიუმეც“ ასე ქღერდს: „რისი უფლებაც დიდ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შვილებს ჰქონდათ, თავისუფლების ძაძებელი ქვეყნის შვილებისთვის იგი გადამეტებული ფუფუნება ჩანდა, რასაც არ უნდა გამოსდენებოდნენ.“

სისხლს შენახვა სჭირდებოდა.

ენერგიას დაზოგვა.

თავიც მხოლოდ ქვეყნის გამოსახსნელად შეიძლება გადაგედო“.






ნიკოლოზ
ბარათაშვილი



ილია
ორბელიანი



ილია ჭავჭავაძე



ნიკოლაძე

რადგან დუელის ქართული სპეციფიკა, პირველ ყოვლისა, სწორედ „რიტუალური ორთაბრძოლის“ სახეობათა შერჩევაში გამჟღავნდა, საგანგებოდ მინდა შევახსენო მკითხველს სადუელო ვითარებათა ის პირობითი კლასიფიკაცია, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრისთვის ჩამოყალიბდა ევროპაში („ქართული დუელიანის“ ქრონოლოგიაც ძირითადად ხომ სწორედ ამ პერიოდით იყარებლება): კლასიკური დუელის პარალელურად, რომლის წესებზეც ზემოთ მოგითხობდით, დაინერგა სტუდენტური დუელი (ძირითადად გერმანიაში) და „უურნალისტური დუელი“ (ეს უკვე წმინდა ფრანგული ქანოი დუელი“ (ეს უკვე წმინდა ფრანგული ქანოი

გახლდათ). ამ ორივე სახეობას შეგვიძლია გუწოდოთ ღირსების დუელი, რადგან, როგორც წესი, ამგვარი დუელი ჩანაფიქრშივე არ გულისხმობდა მოწინააღმდევების მოკვდინებას და უკვე თავად ფაქტი მასში მონაწილეობისა (შედეგის მიუხედავად) აღადგენდა შეურაცხყოფილი მხარის რეპუტაციას.

XIX საუკუნის საქართველოში სტუდენტური დუელი უბრალოდ ვერ შესდგებოდა ქავეანაში სტუდენტთა არარსებობის გამო; რაც შეხება უურნალისტურ დუელს, როსტომ ჩხეიძის სადუელო ნუსხიდან — იღიასა და ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ნიკოლაძისა და დავით ფურცელაძის, დავით ერისთავისა და ნა-

საუკუნე-ნახევრის წინ ჩვენმა წინაპრებმა არჩევანი სწორედ ღირსების დუელზე შეაჩერეს და თავიანთ თავმოუგარუობას არ გადააყოლეს არც სხვათა და არც საკუთარი სიცოცხლე.

პოლეონ ამატუნის, ექვთიმე თაყაიშვილისა და თედო შორდანიას, დავით კლდიაშვილისა და პალმის კონფლიქტი ნამდვილად შეიძლება უკრნალისტური დუელის კატეგორიას მიგაცუთვნოთ.

ევროპაშიც და რუსეთის იმპერიაშიც არცოუ იშვიათი იყო სპორტური დუელი, როცა შეურაცხყოფილი იმწამიერ სატისფაქციას ითხოვს. აქ, ცხადია, სეკუნდანტებსა და მით უქეტეს, ექიმშე ლაპარაკიც კი არ იყო. ფორმალური კლასიფიკაციით, ამგვარი ორთაბრძოლა საერთოდ არ მიიჩნეოდა დუელად. მსგავსი ლიტერატურული პრეცედენტები რეგაზ ინანიშვილის ერთი შშვენიერი მოთხრობიდან გვახსოვს („ფრთხებიან ყვავები დამბაზის ხმაზე?“) და ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიადან“ (დათასაგან პორუჩიკ სერგი ანდრიევსკის დაჭრა); ხოლო ქართული ინამდევილიდან — არტემ ახნაზაროვის მოგონება მყისიერი საღუელო გამოწვევით დასრულებულ კონფლიქტზე ილია ჭავჭავაძესა და ფრანგ მურიეს შორის.

ეს ებიზოდები, ცხადია, „ქართულ დუელი-ანაშიცაა“ აღნუსხული. როსტომ ჩხეიძის წიგნიდან ნათლად ჩანს, რომ საუკუნე-ნახევრის წინ ჩვენმა წინაპრებმა არჩევანი სწორედ ღირ-

სების დუელზე შეაჩერეს და თვიანთ თავმოუგარეობას არ გადააყოლეს არც სხვათა და არც საკუთარი სიცოცხლე.

ერთი გარემოებაც არ უნდა გამოგვრჩეს: „დუელიანის“ ნუსხაში ჩამოთვლილი გამოწვევათა მიზეზები ნებისმიერ ვეროპულ ქვეყანაში არ ჩაითვლებოდა ისეთ შეურაცხყოფად, მაინცდამანც სისხლით საზღაურს რომ მოითხოვს. აქ ერთადერთი გამონაკლისი იყო ნიკო ნიკოლაძისა და ბებურ ბებურიშვილის კონფლიქტი, სადუელო კოდექსის კლასიფიკაციით — უმძიმეს, მესამე კატეგორიას მიეკუთვნებული (ქმედებით შეურაცხყოფა), რომელიც, ტრადიციისამებრ, გამოირიცხავდა ყოველგვარ მობოლიშება-შერიგებას.

ჩაგუფიქრდეთ ამ კონფლიქტს და ჩვენს თავს შეკვეთხოთ — რა ალტერნატივა ესახებოდა 31 წლის ნიკო ნიკოლაძეს 1894 წლის დამლევს?! — ან სადუელო ბარიერთან უქცილი უნდა გაქვრიტა ბებურ ბებურიშვილისთვის, ან თვითონ დადუბულიყო, ან უდირს და უპატიოსხო პირთან ანგარიშსწორებაზე უარი ეთქვა. ეს უმძიმესი არჩევანი ქართველი საზოგადოების გულის ამაჩუქებელმა მიმართვებმა გაუადვილა.

დასასრულ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთი უმთავრესი კითხვა ჩვენი წერილისა: და მაინც, რატომ არ დაინერგა დუელი ქართულ სინამდვილეში, როგორც სატისფეროის კლასიკური ფორმა და რატომ დაინერგა მისი, ასე ვთქვათ, თეატრალიზებული ვარიანტი?!

ვფიქრობ, ცალსახა პასუხი აქ უბრალოდ

ექვთიმე თაყაიშვილი და თედო შორდანია



არ მოიძებნება. შესაძლებელია მხოლოდ ცალკეულ მიზეზთა ან მიზეზთა კომპლექსის ჩამოთვლა: კველაზე ზედაპირული და თვალში საცემი მიზეზია არარსებობა იმ სამხედრო კასტისა, რომელშიც კულტივირებული იქნებოდა და საღუელო რიტუალი, შემდგომ უკვე საზოგადოდ არისტოკრატიული წრის კუთვნილებად ქცეული.

აქ რომელიმე ოპონენტს შეუძლია მკითხოს: კი მაგრამ, იმ უამრავ ქართველ ოფიცერს, რომელიც რუსეთის საიმპერატორო დროშის ქვეშ იდგა, ერთი მიზეზიც კა არ მიეცა ორთაბრძოლისთვის?! თუ თბონენტი გათვითცნობიერებული იქნება საღუელო თუმატიკაში, მოიშველიებს ჩვენი გარუსებული თანამემამულის, სერგეი ფონჩულიძევის (1855-1917) კაპიტალურ თოხტომეულს „კავალერგარდების ისტორიის“, რომელიც რუსეთში საღუელო ტრადიციის მკვლევართათვის სამაგიდო წიგნად იქცა, რადგან 1724-დან 1899 წლამდე კველა კავალერგარდის (მათ შორის ქართველების) ბიოგრაფია აქვს აღნუსხული, დუელების ჩათვლით. და ცხადი გახდება, რატომაც დიახ, ამ ფოლიანტტებში არც ერთი ეთნიკური ქართველის დუელი არ არის მოხსენიებული. მეტსაც გეტვით, როცა ამ თუმასთან დაკავშირებით ისეთ კომპეტენტურ მკვლევარს მივმართუთ, როგორიც კოლუმბის უნივერსიტეტის პროფესორი ირინე რეიფმანი გახლავთ, მან მოგვწერა, რომ რუსულ საღუელო სტატისტიკაში არც ერთი ქართველის გვარი არ შეხვედრია. თუმცა დაამატა, რომ ეს სტატიისტიკა სანდო არ არის, რადგან 1855 წლამდე დუელის საჯარო მოხსენიება პრესაში იკრძალებოდა და თუ ორთაბრძოლის მონაწილენი განსაკუთრებით ცნობილი პიროვნებანი არ იყვნენ, მათი დუელიც დავიწყებას ეძლეოდა. აი, ამ საცენზურო კველიშიბის თრი ნიმუში: 1837 წელს პუშკინის სიკვდილი საზოგადოებას გაზეუბდა თვე-ნახევრის შემდევ ამცნეს, ისიც დანტესის რუსეთიდან დეპორტაციის შემდევ, ხოლო ლერმონტოვის დაღუპვის შესახებ ძირზე დაუსახელებლად იუწყებოდნენ.

ისე კი, ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეულობით ქართველ ოფიცერთაგან (ოღონდა ახლა აქ კავალერგარდებს ნუდარ ვიგულისხმებთ), რომელთაც შეგნებულად გაუწირავთ თავი რუსული დროშის ქვეშ, ხოლო ეგზალტაციისას კი არაერთგზის უაზროდ დაულ-



ანდრია დადიანი



ფოდორ
დუშ-ხოტიძეინაკი

ვრიათ სისხლი — თავისიც და სხვისიც, თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში არც ერთს არ მიედოს მონაწილეობა დუელში. ამ მოსაზრების დამადასტურებელი ერთი ისტორია ახლახან მოვისმინეთ: პირველი მსოფლიო ომის ეტტერნ სერგო სანაძეს (აკადემიკოს გივე სანაძის ბიძას) უკვე სანდაზმულობისას, ძმისშვილთათვის უამბია, რომ ე.წ. ველური დივიზიის ოფიცირად ყოფნისას დუელში გამოუწვევია გრაფი ტოლსტოი, რომელსაც რაღაც დამამცირებელი ფრახა წამოსცდენია სანაძის კავკასიელ თანამებრძოლთა მისამართით. ამ დუელის დროს ტოლსტოი საკ-



გიორგი
კვინიტაძე



გიორგი
კვინიტაძე

მაოდ სერიოზულად დაჭრილა. თუმცა გამოჯანმრთელების შემდეგ შერიგებია სანაძეს და მათი მეგობრობა გაკრიძელებულა. დუელის ამბავი მისევლია დივიზიის მეთაურს, გენერალ ბაგრატიონს, რომელიც საშინლად განრისხებულა, მაგრამ სანაძის თავდადებას იმავ დღეებში კარპატების მთებში წამოწყებული იერიშისას, მოულბია გენერლის გული და მამაცობისთვის მედლითაც კი დაუჯილდოებია თვისტომი.

მნელი არ იყო ინტერნეტის დახმარებით დადგენა, რომ გენერალ-მაიორი დიმიტრი ბაგრატიონი 1916 წლიდან მართლაც მეთაურობდა დივიზიას, რომლის ერთ-ერთი ოფიცერიც გახ-

ლდათ მიხაილ ტოლსტიო (1879-1944) — დიდი მწერლის, ლევ ტოლსტიოს ვაჟი! მიხაილ ტოლსტიომ ორი ავტობიოგრაფიული წიგნი დატოვა: „მიტია ტოვერინი“ და „ჩემი მშობლები“. სავარაუდო იყო, რომ კარპატებში გამართული დუელი სწორებ „მიტია ტოვერინის“ სიუჟეტში მოხვდოილიყო, მაგრამ ჯერჯერიბით ვერ დავადგინეთ, არას თუ არა იქ რამე ნათელად ზემოაღნიშნული დუელის თაობაზე. მეორე მხრივ, დაუკავშირებულია ზრდასრული ადამიანისგან ისეთი ეპიზოდის შეთხვა, რომელშიც იგი არცოუსასურველ როლში გვვლინება....

„სამხედრო კასტის“ თუმის შემდეგ, ვგონებ შეგვიძლია ქართული დუელის ფენომენის მიზეზებს მიუბრუნდეთ ვფიქრობ, ეს მიზეზები სიღრმისეული ხასიათისაა და სოციალურზე უფრო მეტალურ სფეროს მიეკუთვნება. აქვე უნდა ითქვას: ეთნოფსიქოლოგიური განზოგადებანი იმდენად სარისკოა, რომ ნებისმიერ მოსახრებას ამ თუმაზე მხოლოდ ვარაუდის სახით თუ შევთავაზებთ მკოთხველს.

დილემა — ვეროპა თუ აზია? პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით, საქართველოს-თვის კარგა ხნის გადაწყვეტილი იყო, როცა გასული საუკუნის 20-იან წლებში გრიგოლ რობაქიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ფანე გომართული, იოსებ გრიშაშვილი, გერონტი ქიქოძე ჩაებნენ დისკუსიაში, რომლის რეფრენად ამ ლიტერატურული პაქტორის ერთ-ერთი მონაწილის — ნიკოლო მიწიშვილის ესეს სათაური გამოდგებოდა („ფიქრები საქართველოზე“). ბევრ რამეს ამ დისკუსიაში დროთა მდინარებამ სიმბატურე დაუკარგა, მაგრამ მირითადი ჩვენი ეთნოფსიქოლოგიასთვის დამახასიათებელი დომინანტური თვისებების რაობისა და მათი წარმომაკლობის პრობლემა დღესაც აქტუალურია.

ჩვენ ისეთი პათორით ვამტკიცებთ ჩვენს ვრცელობას, რომ ვგონებ უნგბლიერ(?!). ვიკიწყებთ აზიასა და ვეროპის გზის გასაყარზე გამოძერწილი ქართული ხასიათის უნიკალურ ორსაწყისიანობას (თავისი პლუსებითა და მინუსებით), რითაც, ვფიქრობ, ჩვენი ისტორიის არაერთი პარადოქსი აიხსნება. სწორედ ამ ასპექტით მინდა მიუუბრუნდე დასაწყისშივე ნათელად, რომ დუელი — წმინდა ევროპული ფენომენია და სრულიად უცხოა აღმოსავლური მენტალობისთვის. აქ, აღმოსავლეთში, სადაც კონფლიქტურ სიტუაცია-

თა მოგვარების, ღირსების დაცვისა თუ შუ-
რისძიების საუკუნოვანი ტრადიციები და
პრაქტიკა არსებობს, დუელი ნონსენსად
აღიქმება — ქარაფშუტა ევროპელთა სიკ-
ვდილთან თამაშის დასტურად.

ვფიქრობ, ფსიქოლოგიურ ტესტში, რო-
მელიც ქართველ დუელანტებს მოუწყო
ცხოვრებამ, მკაფიოდ წარმოჩნდა ჩვენი ხა-
სიათის ორივე საწყისი: ევროპული — იქ, სა-
დაც სოციალურ-კულტურულ ორიენტაცია-
ზეა ლაპარაკი, დასავლური ცივილიზაციის
გათავისების იშვიათ მხაობაზე, ევროპული
რიტუალის მსწრაფლ გამოღებაზე და აღ-
მოსავლური — ნებისმიერ ფასადს მიღმა სა-
უკუნებით გამოძერწილი ფსიქოლოგიური
სტერეოტიპების ერთგულებისა. აკი წერდა
გრიგოლ რობაქიძე: „ძვირფასია დასავლეთ
ევროპა, მაგრამ ევროპისთვის აღმოსავლეთს
ჩვენ ვერ დაუთმობთ“.

მაგრამ ყველაფერი ამით რომ დამთავრე-
ბულიყო, მაშინ ხომ ქართველები არ ვიქნე-
ბოდით! ევრაზიურ ნაზაკა, მესამე — სამხრე-
ოული, კავკასიური ელემენტი ემატება (რაც
ზოგჯერ გვამსგავსებს სამხრეთ იტალიისა თუ
იბერიის ნახევარკუნძულის ბინადართ). ამით

„რისი უფლებაც დიდ და დამოუკიდებელ
სახელმწიფოს შეიღებს ჰქონდათ,
თავისუფლების მაძიებელი ქვეყნის
შეიღებისთვის იგი გადამეტებული
ფუფუნება ჩანდა, რასაც არ უნდა
გამოსდევნებოდნენ.
სისხლს შენახა სკირდებოდა.
ქერქიას დაზოგვა.
თავიც მხოლოდ ქვეყნის გამოსახსნელად
შეიძლება გადავედო“.

თუ აისხება, რომ აღმოსავლური სიდინჯითა
და ფილოსოფიური ირონიით გამჭვალული
დამოკიდებულება ევროპულ „სადუელო სა-
საკლაოსთან“ მეზობლობს წმინდა სამხრეთულ
იმპერიულსაბათან, რომლის წყალობითაც,
ჩვენი ისტორიული საცხოვრისი შესაძლოა
მეტჯერ შეღებილა უაზროდ დაღვრილი სის-
ხლით, ვიღრე სადუელო ტრადიციათა მიმდე-
ვარი რომელიმე ეთნოსისა...

ასეთი გახლავთ დუელის, როგორც ისტო-
რიული ფენომენის მოკლე ბიოგრაფია მისი
ქართული ნაწილით.

ზაზა აპაზიანი

სერგეი ესენინი და გიორგი ლეონიძე





მარც ხნიდან: ს. ბერუებანი, ვ. ნობაძე,
დ. მარჯანიშვილი, შ. მაღლაცქლიძე, 1938 წ.

სიმონ ბერეჟიანის ადერძის აღსრულებისთვის

ვარ ჩემი ქვეყნის კულტურული ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გაფიხარო,
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
დე, მტკრად ქცეულიც დამენახოს მოყლი სამყარო!
სიმონ ბერუებანი

„მივდიგარ და სრულიად დარწმუნებული,
რომ ვითილავ ჩემს მიწას. თუ ბედმა მიმტყუნა
და სადმე, სხვის მიწზე დაციძინო საუკუნოდ,
ამითაც ბედნიერი ვიქნება, რათა უკანასკნე-
ლი ჩემი გაურულება „საქართველო“ იქნე-
ბა“, — ასეთი ჩანაწერი გაუკეთება პარიზის
ქართველი საზოგადოების ღირსეულ წევრს
სიმონიკო ბერუებანს ემიგრანტი ქართველე-
ბის მამისა და ჭირისუფლის, ვახტანგ დამბა-
შიძის ალბორში, გამოთხვებისას.

სიმონიკო იარაღით ხელში გაეშურა
ფრონტზე საქართველოს გამოსახსნელად, მის
საკურთხეველზე სამსსეურბლოდ. ბედმა მარ-
თლაც უმტყუნა და სხვის მიწაზე პოვ სასუ-
ფევლი. ვინ იცის, სად გაითხარა მისი სამარე
— „ბნელი ორმო“, როგორც თავად ამბობდა
ავი წინათგრძნობით დაწერილ ლექსში „უკ-
ვდაება“:

ბნელსა ორმოში დამტოვე მარტოდ,
ნუ მოაკითხავ ჩემს სამარესა...
ცელქი ნიავი ობოლს გამართობს:
ზღაპრებს მიამბობს ლექს მწეხარესა.

სად არის სიმონიკო ბერუებანის საფლა-
ვი? ამაზე ქვემოთ, ახლა კი მის სიცოცხლე-
ზე — სიხარულით და სევდით, გამბედაობით,
ნიჭიერებით აღსავსე, სამშობლოს სიყვარუ-
ლით მოჯადოებულ ცხოვრებაზე ორიოდე
სიტყვა.

„ნამდვილი პოეტი, მხატვარი, მსახიობი,
მოძღვრალი, ერთი სიტყვით, პარიზის ქართვე-
ლი საზოგადოების დამაშვენებელი“, — წერ-
და სიმონიკოზე ნინო სალია, კალისტრატე სა-
ლიას მეუღლე და უურნალ „ბედი ქართლი-
სა“ გამოცემელი პარიზში.

სიმონიკო — დაბადებული თაყაიშვილად,
მონათლული ბერუებანად, გარდაცვლილი
ბერგერად.

„მას ბედმა სამშობლოს გარეთ სიკვდილი
არ აკმარა, — ქართული გეარით დამარცხაც
არ ეღირსა“, — წერდა ემიგრანტი შოთა ბე-
რეჟიანი სიმონიკო ბერუებანის ლექსთა კრე-
ბულის წინათქმაში 1982 წელს. აკი, წიგნის
ყდაზე სამი ფოტოა გამოსახული, სამი ფო-
ტო ერთი კაცისა, თუმცა არა სამსახოვანისა.

სიმონ ბერეჯანის ერთი სახე პქნონდა, სახე სამ-შობლოს თავდავიწყებული მიჯნურისა.

გარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი
ჭირის უფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით
მსურს გავიხარო,
ოუ საქართველო არ იქნება
თავის უფალი,
დე, მტვრად ქცეულიც დამენახოს
მოლი სამძარო!

ეს მხოლოდ პოეტს შეეძლო ეთქვა, — სა-
ქართველოს სიყვარულით შეპყრობილ მამუ-
ლიშვილს.

სიმონ ბერეჯანი 1897 წელს (სხვა ცნო-
ბით, 1899 წელს) დაბადებულა გურიაში, ერ-
მილე თავაიშვილის ოჯახში. იგი შეიღლად აუკ-
ვანია უშვილო დეიდას, გოგუცა ქარციზაძესა
და მის მეუღლეს, სიმონ ბერეჯანის. მამობილს
ნათლობისას მისთვის თავისი სახელი და გვა-
რი მიუცია.

სიმონი კო თბილისში, ვარაზისხევის მახ-
ლობლად იზრდებოდა, სათავადაზნაურო გიმ-
ნაზიაში სწავლობდა. მოგვანებით, ემიგრა-
ციაში, 1935 წელს გაზეთ „თეორ გიორგიში“
გამოქვეყნდა სიმონიკო ბერეჯანის „მოგონე-
ბანი ვაჟაზე“ — ეპიზოდები 1910-იან წლებში
სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლის დრო-
იდან. ვაჟა-ფშაველა სწევებიათ ბავშვებს. შემ-
დევ მასთან ერთად ნერგები ჩაუყრიათ და ფო-
ტოც გადაუდიათ. ერთი კვირის თავზე მის საყ-
ვარელ მასწავლებელს ლუარსაბ ბოცვაძეს ფო-
ტოც უჩვენებია. მოგონებებში სინაულით და-
წერს: „რომ მცოდნოდა, ვაჟა გახდებოდა ჩე-
მი უსაყვარლესი მგოსანი, მხოლოდ მის სა-
ხეს დავაცერდებოდი, რათა ყოველი ნაკვთი
მისი სახისა დამემახსოვრებინა.“

თვალებს ვხუჭავ... ვიგონებ — მხოლოდ
შავ ჩიხას ეხედავ.

რომ მცოდნოდა ათი წლის ბავშვს, უცხო-
ეთში ვაჟას სიტყვით გავითბობდი გაყინულ
ცხოვრებას, აუცილებლივ მოვიპარავდი სუ-
რათს“.

მოგვიანებით, 1918 წლის 26 იანვარს გიმ-
ნაზიის შეობაში ქართული უნივერსიტეტი გა-
იხსნა, პირებელ სტუდენტთა შორის სიმონიკო
ბერეჯანიც იყო.

სამიოდე წლით ადრე, 1915 წელს, გიმნა-
ზიის ზედა სართულში წმინდა ნინოს საავად-
მყოფო განათვალეს.

უკანასკნელად ვაჟა-ფშაველა ავადმყოფის
სარცელზე ნახა... „რკინის ლოგინზე ლევა
სულს დაჭრილი მინდაა.“

1920 წელს სიმონიკო ბერეჯანი დამოუ-
კიდებელმა საქართველომ აუგულობით სტუ-
დენტთან ერთად ევროპაში სასწავლებლად
წარვავნა. გამგზავრებამდე უნივერსიტეტის
ეზოში ვაჟას სტუმრობისას დარგულ ჭადარს
გამოიტვიდობა. მასთან ერთად ფესვებს,
მმობლიურ ფესვებს. რას იფიქრებდა, რომ სა-
მუდამოდ... ის ჭადარი იქნებ ახლაც შრიალებ-
დეს ჩვენი უნივერსიტეტის ეზოში.

შემდგვ კი დაწერს უცხობობაში: „ჩემო ჭა-
დარო, შორის ვარ შენგან! დიდ ქალაქში
კცხოვრობ... აღარ მინდა ასეთი სიცოცხლე!
შენთან ყოფნა მირჩევნია“.

საქართველოს ოკუპაციამ სამუდამოდ და-
უკტა სიმონიკოს სამშობლოში დასაბრუნე-
ბელი კარი. ერთხანს გერმანიაში განაგრძობ-
და სწავლას, 1923 წლიდან კი საფრანგეთის
ემიგრაციას შეუერთდა.

სიმონ ბერეჯანის ლექსით კრებული,
პარიზი, 1982 წ.

სიმონ ბერეჯანი

ლექსი



SIMON BEREJIANI

ŒUVRES POÉTIQUES GÉORGIENNES
PARIS - 1982



პატრიოტული ორგანიზაცია „ოუთრი გიორგის“ I გრძელობის მონაწილეობი, 1925 წელი, პარიზი. პარველ რიგში მარც ხნიდან მესამე — ქონსტანტინე სალია, მესამე რიგში დაგანახ მარც ხნიდან: მეტუთი (დროშასან) — კოდ დათანა, მეუთხე — ლეო ჭრუსელიძე, მარჯვნიდან მეორე (უან კედელიან) — სიმონ ბერეჟიანი

გაზით „ოუთრი გიორგი“, პარიზი, 1926-1939 წწ.



სიმონიკო ქართული „ემიგრანტული ოჯახის თვალად ითვლებოდა“, — წერდა მისი ბიოგრაფი მარკოზ ტუღუში 1943 წელს ბერლინში გამოცემულ სიმონიკო ბერეჟიანის წიგნში „ნაწერები“.

სიმონიკოსთვის როული აღმოჩნდა უცხოიბასთან შეეუბა, მძიმე ტვირთად დაწევა ემიგრანტული ცხოვრება. პოეტის სულიერი მდგომარეობა და განწყობა არეკლილია მის პოეზიაში. მიუხედავად ყველაფრისა, იგი არ შეწერუბელა — წერს ლექსებს, მოთხრობებს, მოგონებებს, ხატავს კარიკატურებს, მონაწილეობს სპექტაკლებში... რაც მთავარია, მისი მბორგავი სული პოულობს აქტიური ბრძოლის არენას — გენერალ ლეო კერესელიძის თაოსნობით 1924 წლის ოქტომბერში პარიზში დაფუძნდა ქართველი პატრიოტული ახალგაზრდობის ორგანიზაცია „ოუთრი გიორგი“. სიმონიკო ორგანიზაციის ერთ-ერთი დამთუენებელი და აქტიური წევრია. სწორედ მის კალამს ეკუთ-

ვნის „თეთრგიორგელთა სიმღერა“, რომელიც ემიგრანტ ქართველთა ბრძოლის შინს, მოქმედების გეგმასა და ნათელ მიზანს გამოხატავს:

ჩვენ მოუვლინეთ საქართველოს
განწირულ დროში,
მიგვიღო ზეცამ, მაგრამ მიწა
გვეძახის გერებს.
მივდივართ მწყობრივ ბნელ დამეში
გიორგის დროშით.
დაგგმეთ წითელი და ვაღიდებთ
წარსულის ფერებს...
მივდივართ ქარში, მძიმე მარშით,
გამართულ ფეხით
და გვჯერა, მთვარე ვერ წაშლიდა
მთებში შხის ნაკალს.
ჩვენს მიწა-წევალზე გავივლით მეხით,
რომ გაშუკაფოთ გზები მომავალს!

მოგვანებით, 1949 წელს, უურნალი „ბედი ქართლისა“ ბეჭდავს „თეთრგიორგელთა“ განცხადებას:

„წება გვიბოძეთ, თქვნი უპარტიო უურნალის საშუალებით გამოვაქვეყნოთ 1940 წლიდან დაღუპულ ქველ ემიგრანტ თეთრგიორგელთა სია, რომელთა ხსოვნას დირსეული პატივი ვერ ვეცით საკუთარი ორგანოს უქონლობის გამო.

ლეო კურესელიძე, ვასო ციცქიშვილი, სი-

მონიკო ბერეჟიანი, ირაკლი კალანდარაშვილი, ლევან ჯაყელი, ივანე გახოვიძე, არჩილ გაჩნაძე, კუჭია ალანია, სიმონ სერნიაშვილი, ლ. ღუდუმიძე...“

განცხადებას ხელს აწერენ დიტო კლდიაშვილი, მერაბ კვიტაშვილი და ირაკლი ოთხებული.

ბევრი ქართველი დაიღუპა ბრძოლის ველზე. მთელი ემიგრაცია ეძებდა მათ საფლავებს, მათ გზა-კვალს. ბევრი დღემდე მიუკავშირდა.


მიუკავლველია სიმონიკოს საფლავიც.

სიმონ ბერეჟიანი, ჯვრ კიდევ ემაწვილობისას, 1918-1920 წლებში ახალშექმნილი სახელმწიფოს დასაცავად გამართულ უკელა ბრძოლაში მონაწილეობდა. და რა გასაკვირია, რომ მეორე მსოფლიო ომსაც არ აარიდა თავი.

მეორე მსოფლიო ომმა ხომ დიდი იძედი გააჩინა, იძედი საქართველოს გათავისუფლებისა და გადარჩენისა. აკი, წერდა:

და თუმცა მამულს აოხრებულს,
მიგდებულს ობლად
ჩვენს სამარცხვინოდ, ბინძურ ქუსლის
ნაკვალი აზის,
მაგრამ მე მჯერა, რომ მომავალს
სანუგეშებლად
მოევლინება თამარის შე და
ჯვარი ვაზის.

სიმონ
ბერეჟიანი,
„ნაწერები“,
ბერლინი,
1943 წ.





ქართველი ემიგრანტები, 1937 წ. პირველ რიგში, მარცხნიდან პირველი — თ გედვანიშვილი, ცენტრში — ს. ბერეჟანი, დგანან: მარცხნიდან დ. სინჯიაშვილი, ..., ვ. ნოზაძე, დ. მარჯანიშვილი, მ. ქვამარაძე, შ. მაღლაშვილიძე, ად. ცომაია

სიმონიკო იმედითა და რწმენით, იარაღით
ხელში იბრძოდა, მაგრამ ვერ მოასწრო თავი-
სი სიტყვის შესრულება:

ისე არ ჩაგალ, ცით მოსული,
ბელ სამარეში,
ოუ არ შევლებე მტრების სისხლით
ჩემი ჭაღარა!..

იმქამად, იმ პოლიტიკურ თუ საომარ ვი-
თარებაში, ანუ 1941-1945 წლებში სიმონიკოს
საშობლოს გათავისუფლება არ წერა.

ეს, წლების შემდეგ, 1991 წელს მოხდა. მაგ-
რამ ამ დიდებულ დღეს ვერ მოესწრნენ გულ-
ანთებული მაძულიშვილი, საშობლოს ნატ-
ვრაში რომ ამოხდათ სული.

ომის დაწყების პირველივე თვეებში სიმო-
ნიკო ბერეჟანის ჯანმრთელობამ უმტყუნა.
სულიერი დააგადების ნიშნები დასტყობია და
სამხედრო პოსტალში მოუთავსებათ. ეს რუ-
მინეთში მომხდარა. შემდეგ კი, თითქოს,
შტუტგარტის ფინქიატრიულ სააგადმყოფო-

ში გარდაცვლილა 1942 წელს და ალბათ, იქ-
ვა დაკრძალული. იგი სამხედრო წიგნაკით
სიმონ ბერეჟი ყოფილა.

სიმონ ბერეჟი, შტუტგარტი, ობლად მი-
ტოვებული საფლავი!

მოგვიანებით ნინო სალია წერდა: „ცოდ-
ვაა, არ მოვძებნოთ ვერზე მომტირალი მგოს-
ნის საფლავი და მისი ნეშტი პარიზის ქარ-
თველთა მმათა სასაფლაოს არ მივაბაროთ“.

მანამდე კი, თავს გალდებულად მივიჩნევთ,
შევასრულოთ სიმონიკო ბერეჟანის უკანას-
კნელი თხოვნა, ვახტანგ დამბაშიძის ალბომ-
ში რომ ჩაუწერია გამოთხოვებისას: „თქვენ კი
გთხოვთ, და გთხოვთ ყველას, ჩემი „პაქმანი
მთაწმინდაზე“, ჩემს საყვარელ თბილის მთაწ-
მინდიდან წაუკითხოთ“.

გაზაფხულზე, ვარდობის თვის ოცდაექვსს,
მთაწმინდიდან მოისმენს თბილის სიმონ ბე-
რეჟანის პოემას „პაქმანი მთაწმინდაზე“.

რუსულან პოპარიშვილი

3030ნბების ლეგენდარული მზის ქანკოვია

XVI საუკუნეში
ჩაძირული გემის
ნამსხრებებში
მეცნიერებმა
კრისტალი იპოვეს,
რომელიც ძალიან
ჰგავს ისლანდიურ
საგაში მოხსენიებულ
ვიკინგების
სანაფივაციო
ხელსაწყოს.



ისლანდიური საგის მიხედვით, სწორედ ეს კრისტალი ქმარებოდა ვიკინგ მეომრებს ცუდი ხილვადობის პირობებში, ღრუბლიან ამინდში, მიეგნოთ მზის მდებარეობისთვის და სწორად მოქმდინათ ორიენტირება. ამ აღმოჩენამ შესაძლოა დაადასტუროს, რომ ლეგენდა მზის ქვის, ე.წ. სანსტოუნის შესახებ სათვეს რეალობდიდან იღებს.

ბრიტანული ხომალდი, რომლის ნამსხვრებში კრისტალი აღმოაჩინეს, ლა მანშის სრუტეში, კუნძულ ოლდერნისთან ჩაიძირა 1592 წელს. ფრანგი მეცნიერები რენეს უნივერსიტეტიდან ამტკიცებენ, რომ გამჭვირვალე კრისტალი, რომელიც ასანთის კოლოფის ზომისაა, მზის მდებარეობის განსაზღვრის საშუალებას მოღრუბლულ დღეებშიც იძლევა.

ხომალდზე ნაპონი მასალა ამყარებს იმ თეორიას, რომ ამ მინერალით შესაძლოა ადრე შეუსა საუკუნების სკანდინავიილ მეზღვაურებს ესარგებლათ. ისინი შორეული მიწების კენ მაგნიტური კომპასის გაურცელებამდე გაცილებით ადრე დაცურავდნენ. მათ შორის გრენლანდიის, ისლანდიის, რუსეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის მიმართულებით.

თუმცა მეცნიერთა დიდი ნაწილი სკეპტიკურად უყურებს თეორიას, რომ ვიკინგების ამ წარმატების საიდუმლო სწორედ „სანსტოუნშია“.

ისლანდიური ბროლი ცნობილია იმით, რომ სინათლის სხივს ორად ყოფს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბროლის ქვას თუ დაატრიალებ, შესაძლებელია იმ წერტილის აღ-

მოჩენა, სადაც ორივე სხივი ერთმანეთს ემთხვევა. მათი დამთხვევა კი იმის ნიშანია, რომ მზე ამ მიმართულებითაა. მათივე მტკიცებით, ეს მეთოდი მოქმედებს მაშინაც, როდესაც მზე ჩადის ან ღრუბლითაა დაფარული.

ვიკინგების მოგზაურობებმა პიკს IX-X საუკუნეებში მიაღწია. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ მზის ქვა ვეროპულ ზღვაოსნობაში გაცილებით გვიანაც გამოიყენებოდა, როგორც ჯერ კიდევ არცთუ სამეცნიერო მაგნიტური კომპასის შემცვლელი, რომელიც ვეროპაში XIII საუკუნეში შემოიტანეს.

45 წლის წინ მეცნიერთა ნაწილმა წამოაყენა თეორია, რომ „სანსტოუნში“ იგულისხმებოდა რომელიმე მინერალი, რომელსაც სინათლის პოლარიზების უნარი ჰქონდა. ვიკინგები კი ნავიგაციისთვის სწორედ ასეთ მინერალს იყენებდნენ. თუმცა დღემდე რამე მსგავსი მიკვლეული არ ყოფილა.

ჩანს, ბრიტანელ მეზღვაურებს მინერალი თავის დაზღვევის მიზნით ჰქონდათ, რადგან ხომალდზე განლაგებული ქვემქები გავლენას ახდენდნენ მაგნიტური კომპასის ისარჩე და მასზე დაცრდობა ზოგჯერ შეუძლებელი იყო.

როგორც ირკვევა, მზის ქვას შეეძლო მზის ადგილმდებარეობის განსაზღვრა როგორც ღრუბლიან ამინდში, ასევე მზის ჩასვლის შემდგაც და მისი ცდომილება მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენდა.

მომზადებულია History.com-ისა და BBC-ის მაჟდევით

ქართავრაქტები იპორიაში

**ვახტანგ
გორგასლის
არმიის მმიმა
კავალერია**

„ხოლო სპანი იგი წარუმართნენ
განძნადებულინ, ცხენ-თოროსანნი
და ჯაჭვ-ჩაბატა ხოსანნა, წინა კერძო
და მათ უკანა ქუეითნი, და ქუეითთა
უკანა სიმრავლე მხედართა“.

კუანძერი



V საუკუნის II ნახევრის კვროპისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორია მძაფრი
სამხედრო-პოლიტიკური ძოვლებებითა და მნიშვნელოვანი ცვლილებებით გამოირჩება.
ეს იყო კვროპის ტრანსფორმაციის ხანა — ცეცხლითა და მახვილით, ნერგით, ძარცვით
— დაცუა ქალაქები, დაცარიელდა წარსულში დიდებული დასახლებები, დაქნინდა
რომაული კულტურა. დასაცავები რომის იმპერიის დასუსტება და დაცემა იმ დროისთვის
სამყაროს დასასრულად აღიქვეს — „არ არის რომი, არ არის სამყარო“. ხალხთა დიდი
გადასახლება, რაც რომის განადგურების მთავარი ძინები გახდა, ნიშნავდა იმას, რომ
რომანულ კვროპაში (რომის იმპერიის საზღვრებში მოქცეული ქვეყნები) გამოჩნდენ
სკანდინავიელი, ბალტიის ზღვის სანაპირო ზოლზე მცხოვრები და შორეული რუსული
სტეპებიდან წამოსული ხალხები. დაარსდა ახალი, ბარბაროსთა სახლმწიფოები.

აღმოსავლეთ რომის იმპერია, რომელიც რომის მეტვიდორეს უწინდებდა თავს, კვლავ პირველობდა კვროპულ სივრცეში VIII საუკუნის ბოლომდე, როცა ფრანკთა იმპერიის მონარქი კარლოს დიდი რომის პაპმა ლეო III-მ იმპერატორად აკურთხა. ეს გახლდათ *Translatio Imperii* — იმპერიის გადატანა. V საუკუნეში კვროპასა და ახლო აღმოსავლეთში კონსტანტინოპოლის მამართველებს თითო-ოროლა თანასწორი მეტოქე თუ მოქებნებოდათ. მათგან უპირველესი იყო სასანიდური ირანი. III საუკუნეში დასუსტებული პართიის არშაკიდების სამეფო სწორედ სასანიდებმა ჩაანაცვლეს და რომისთვის ბევრად მძლავრ მოწინააღმდეგებ იქცნენ, ვიდრე პართიელე-

ბი. ელინიზებული არშაკიდი დიდი მეფები III საუკუნის დასაწყისიდან ჩამოაგდეს ახალი დინასტიის, სასანიდების წარმომადგენლებმა, რომელთაც განახლეს ძელი აქემენიდური ირანი. რომსა და ირანს შორის ომები ხშირად მთავრდებოდა სპარსელთა გამარჯვებით. 365 წლის კამპანია, რომელიც იმპერატორ იულიანე აპოსტატის (განდგომილის) დაღუპვით დასრულდა მესოპოტამიაში, ისეთივე დიდი კატასტროფა იყო რომისთვის, როგორიც ადრიანოპოლის ბრძოლაში გოთების გამარჯვება თხუთმეტი წლის შემდეგ — აღნიშნავდა ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი ჯონ კიგანი. სასანიდ დიდ მეფეთა სურვილი გახლდათ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში არსებული

უდელტეხილების ჩაკვტვა, რითაც თავიდან აი-ცილებდნენ ამ მხრიდან მოსალოდნელ საფ-რთხეს ალანებისა და განსაკუთრებით თუთრი პუნების — ჰეპტალიტების მხრიდან, რომლე-ბიც ირანის დაუძინებელ მტრად მიიჩნეოდნენ. აღმოსავლეთ რომის იმპერიისთვის ეს გზები ასევე მნიშვნელოვანი იყო და რეგიონში გაბა-ტონებას რომალებიც ცდილობდნენ. ორი უზარმაზარი და მძლავრი სახელმწიფოს ინ-ტერესებში მოქცეულ იბერიას სათავეში იმ დროისთვის შესაფერისი ლიდერი — „დიდი მეფე“ ვახტანგ გორგასალი ედგა.

ვახტანგ გორგასალი იბერიის ისტორია-ში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. მისი მე-ფობა საინტერესოა როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური და დიპლომატიური თვალსაზ-რისით წყაროების სიმცირის მიუხედავად, აღ-სანიშნავია რამდენიმე საუკუნის შემდგომ მოღვაწე ჯუანშერ ჯუანშერიანისა და ვახ-ტანგისვე პერიოდის სომქი ავტორის, ლაზარ ფარპეცის თხზულებები. ისინი ვახტანგს ქლი-ერ და უნარიან მმართველად მოიხსენიებენ. მკვლევარ კირილ თემანოვის აზრით, ვახტან-გი უნდა დაბადებულიყო დაახლოებით 439 წელს და ტახტზე 446 წლისთვის ასულიყო. როგორც ჩანს, იგი სამოც წელს იყო მიტანე-ბული, როცა დიდი მეფე შაპი კავად I 502-506 წლებში ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ამ-ზადებდა ომს. გორგასალი საგრაუდოდ, გარ-დაიცვალა 522 წელს, როცა ოთხმოცდასამ წელს გახდათ მიტანებული, მისი მოწინააღ-მდეგე კავადი კი 531 წელს აღესრულა 80-82 წლის ასაკში. ვახტანგი ცდილობდა ირანის გავლენიდან გამოსვლას. მან 482 წელს მოაკ-ვლევინა თავისი უძლიერესი ვასალი — ვარ-სქენი, გოგარენეს, იმავე გუგარქის, ქვემო ქარ-თლის პიტიახში (*Vitaxa of Gogarene*). რო-გორც ცნობილია, იგი ზოროასტრიზმის მიმ-დევარი გახდა და ქრისტიანი ცოლი (შემდგომ წმინდანად აღიარებული) შუმანიკი, ვარდან II მამიკონიდის ასული წამებით მოკლა. ამ აქ-ტით აშკარა გახდა ვახტანგის დაპირისპირე-ბა თავის სიუზერებს ირანის შაპთან, რომელ-მაც წააქეშა ვარსექნი განდგომისკენ.

ვახტანგ გორგასალი დაუკავშირდა სომქ მმართველებს ალანების ჩამოსაყალიბებლად, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის პუნებს — დახ-მარებისთვის. რისთვის უნდა მიეღწია პატა-რა ქართული სახელმწიფოს მონარქს ასეთ

როგორ ვითარებაში, თუ სათანადო უნარს არ გამოიჩენდა. როგორც ჩანს, მიუხედავად იმი-სა, რომ ვახტანგი ბევრჯერ დამარცხდა ირან-თან დაპირისპირებისას, მაინც მოახერხა უამ-რავი დაღვრილი სისხლისა და დიპლომატიუ-რი ბრძოლის ფასად, შეენარჩუნებინა სამეფო. ვახტანგ გორგასალის პილიტიკური მოღვაწე-ობიდან ნიშანდობლივა შემდეგი მომენტები, რომელთაც სწორედ რომ შესაძლებელია მის მიერ „დიდი მეფეს“ ტიტულის მიღება დაუკა-ვშიროთ. ეს მომენტებია: ვახტანგის ლაშ-ქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში და ალანისი შაპ-ქრობა ირანის შაპთან ერთად იმ სივრცეში, სადაც სწორედ ამ პერიოდში არსებობდა „დი-დი მეფეს“//„მეფეთა მეფეს“ ტიტული; მისი ალანისი თეთრ პუნებთან. ასევე აღსანიშნა-ვა ბიზანტიელთა წინააღმდეგ მოქმედება და-სავლეთ საქართველოში, ციხე-ქალაქების მშე-ნებლობა და რელიგიური თვალსაზრისით უმ-ნიშნელოვანესი — საქართველოში პეტრე კა-

დიოკლეიტანესა და მისი თანამშართველების — ძალაშიმანებს, გალერიუსისა და ქანტანციუს ხლორუსის სკულპტურა





სასანიდური ირანის კატაფრაქტის რეკონსტრუქცია



ირანის
სასანიდი
მეფის,
პერზის
მონეტა,
V ს.



თოლიკოსის ჩამოყვანა, რომელმაც მთავარებისკობოსი ჩაანაცვლა.

ამჯერად ჩვენ მიმღიხილავთ სამხედრო საკითხებს.

იმუამად სპარსული სამხედრო ძალები საუკეთესოდ ითვლებოდა ახლო აღმოსავლეთში. სასანური ირანის მხედრობამ გავლენა მოახდინა ბიზანტიის სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე. ირანის ჯარის სამხედრო შეიარაღება და წყობა სანიმუშო გახდა ვეროპული სახელმწიფოებისთვის. ცხენოსან ბარბაროსებთან რამდენიმე დამარცხებამ დააფიქრა ვეროპა ახალი არმიის შეიარაღებასა და წყობაზე. ნაწილი ისტორიკოსებისა შუა საუკუნეების რაინდს მიიჩნევს ირანის მხედართა სამხედრო ტექნიკასა და ხელოვნების მემკვიდრედ. იბერიას, რომელიც სასანიდთა გავლენის ქვეშ იყო, სწორედ მათგან უნდა აეღო ბრძოლის წარმოებისა და არმიის შეიარაღების წესები.

ვახტანგ გორგასლის ჯარის შესახებ, რომლითაც მან ალანების წინააღმდევ იღაშქრა, ცნობებს ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულება გვაძლევს. ჯუანშერ ჯუანშერიანის ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში არის მნიშვნელოვანი ტექსტი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში იბერიელთა და სპარსულთა ჯარის ალან-ოსებსა და მათ მოკავშირებონ ბრძოლას უკავშირდება: „ხოლო სპანი იგი წარემართნენ განმზადებულნი, ცხენ-თოროსანნი და ჯაჭვ-ჩაბალახოსანნი, წინა კერძო და მათ უკანა ქუეითნი, და ქუეითთა უკანა სიმრავლე მხედართა, და ესრუთ მიმართეს ოვსთა ხოლო ოვსნი წარმოდგეს ქარაფსა ზედა და დაასხეს ისარი, ვითარცა წვიმა მძლავრი“. მიუხედავად იმისა, რომ ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის მეფობიდან რამდენიმე ასწლეულის შემდეგ მოღვაწეობდა, იყო საკმაოდ ზუსტ აღწერილობას იძლევა ირანის გავლენის ქვეშ მეოფეთ იბერიის ჯარის სამხედრო წყობასა და შეიარაღებაზე. ირანული არმია სწორედ ასეთი წყობით იბრძოდა: წინ მძიმე კავალერია — კატაფრაქტები, შემდეგ ქუეითი ჯარი, ბოლოს კი მსუბუქი ცხენოსნები. იმავდროულად, ჯუანშერისეული ტექსტის მიხედვითვე ჩანს, რომ იბერიელი მეომრები იყვნენ „ცხენ-თოროსანნი და ჯაჭვ-ჩაბალახოსანნი“, ანუ როგორც მხედარი, ისე ცხენი აბჯრით იყო დაფარული. აქ კი საქმე გვაქვს ირანულ კატაფრაქტების

თან. ეს ცხენოსნები მეფის გვარდიიდან ან ვარაზ-ბაკურის სპარსული ჯარიდან უნდა ყოფილიყვნენ: „და გამოგზავნა გარაზ-ბაკურ სპანი თვისნი თორმეტი ათასი მხედარი“. ჯუან-შერივე აღნიშნავს: „მუნ მიერთნენ ყოველნი მეფები კავკასიანნი“. საინტერესოა, ვინ იყვნენ „მეფები კავკასიანნი“. საკარაულოდ, ისინი მოქირავნები ან ირანის ვასალი მომთაბარები უნდა ყოფილიყვნენ. იმავდროულად ჯუანშერი მიუთითებს, რომ „მეფენი კავკასიანნი“ მხედრობას ახმარენ ვახტანგს — „ორმოცდათი ათასი მხედარი“. რა თქმა უნდა, რიცხვი გაზრდილია, მაგრამ ჩანს, საქმე გვაქვს ცხენოსან ჯართან. ეს არც არის გასაკვრი — ჩრდილოეთკავკასიელი მომთაბარე ხალხები ქვეითად არ იძრმოდნენ. მათი ცხენოსანი ჯარი კი შიშის ზარს სცემდა მოულ მაშინდელ მსოფლიოს.

ჯუანშერი ასახელებს ვახტანგის არმიის რაოდენობას: „ხოლო ვახტანგ მოუწოდა ყოველთა საათა ქართლისადა; და შემოკრბეს ყოველნი და დაიბანაკეს მუხნარს და ხერქს, ამიერ და იმიერ არაგუსა: და იყო ასი ათასი მხედარი და სამოცი ათასი ქუეითი“, რასაც ემა-



აღანი მეომრები ჩრდილოეთ აფრიკაში, V ს.

სარმატი კატაფრაქტების გამოსახულება ტრაიანეს სკელზე რომში, II ს.



ტება ვარაზ ბაკურის თორმეტი ათასი და „კავკასიის მეფეთა“ ორმოცდათი ათასი მხედარი. რიცხვები, შეიძლება ითქვას, მეტისმეტადაა გაზრდილი. იბერიის სამეფოს პოტენციალი, რომელიც წმინდად ქწირუბოდა მომთაბარე ტომებისა და მეზობელი იმპერიების რეილებს, მაღალი არ ყოფილა. ამას გამოაკლდებოდა ის მეომრებიც, რომლებიც სამეფოს დასაცავად იყენენ საჭირო და მუდამ გარნიზონებად უნდა მდგარიყვნენ თავდაცვით პუნქტებში. როცა რომის იმპერატორმა იულიანე განდგომილმა კამპანია დაიწყო სასანიდების წინააღმდეგ და დაგევმა მათი დედაქალაქის – ქტესიფონის დაკავება, 70-80 ათას ჯარისკაცს მოუყარა თავი და ესეც საქმაოდ გაზრდილ რიცხვად მოჩანს. თუ რომის იმდროინდელ მდგომარეობას განვიხილავთ, იმპერატორი ვალდებული იყო დაეტოვებინა დიდი რაოდენობით გარნიზონები, რათა მისი სპარსული კამპანიის პერიოდში საზღვრები დაცული ყოფილიყო. IV საუკუნის რომის იმპერიას კი,

რომელსაც ძირითადად თავდაცვითი პოზიცია ეკავა და ძლიერ უძლებდა ბარბაროსთა ყოველმხრივ შეტევებს, უწევდა მუდმივად ჰყოლოდა Limitanei-ს, ანუ მესაზღვრეთა ლეგიონები. ეს ლეგიონები ერთ ადგილას ცხოვრობდნენ, იმპერატორი კი ლაშქრობებში Comitatenses-ს (შიდა სამსახურის ჯარებს) იყენებდა. ადრიანოპოლის დიდ ბრძოლაში 378 წელს იმპერატორ ვალენსის მეთაურობაში მყოფი აღმოსავლეთ რომაული არმიის რიცხოვნობა 15-20-დან 25-30 ათას კაცამდე მერყეობს. ირანული არმიების რაოდენობრივი მაჩვენებლები არცუ ბევრი გვაქვს და უმეტესობა VI საუკუნისა და VII საუკუნის პირველი ნახევრისაა, როცა სასანიდები ისლამურ ხალიფატს ებრძოდნენ. ბიზანტიის წინააღმდეგ სატალასთან გამართულ ბრძოლაში მერ-მეროეს 30 ათასამდე ჯარისკაცი ჰყავდა. ვალაჯის გადამწევეტ ბრძოლაში 633 წელს ირანელებს 40 ათასი მეომარი უნდა ჰყოლოდათ. ყველაზე როტელი მაინც მომაბარეთა ჯარის რაო-



რომელი
ჯღაბარიები,
IV-V სს.

რომელი მეომრის
მეზარადი,
IV-V სს.





დარიალის ხეობა, ერთ-ერთი უმნიშვნელოფანები გადმოსასვლელი დიდ კავკასიონზე


დენობის განსაზღვრაა. ისტორიული წყაროები მათ უზარმაზარ რიცხვზე საუბრობენ, მაგრამ როგორც შემდგომ გამოჩნდა, არც ეს შეესაბამება სიმართლეს. ავართა მომთაბარე ტომსა და ბიზანტიის ჯარს შორის ბრძოლა ვიმინაციულთან 599 წელს ავართა სასტიკი მარცხით და თითქმის მისი სრული განადგურებით დასრულდა. ავარებმა 28 ათას მეომრამდე დაკარგეს.

რიცხვები ასე თუ ისე ნათელია და ალბათ აღარ საჭიროებს იმის გამეორებას, რომ შუა საუკუნეების ისტორიული წყაროები სამხედრო ძალების რაოდენობის დასახელებისას ხშირადაა აცდენილი რეალობას.

„მხედრები თავისუფალ წვრილ მესაკუთრე მიწათმოფლობელთა რიგებიდან გამოდიოდნენ. ცხენი და იარაღი მათ საკუთარი უნდა ჰქონდოთ. ვისაც ქონებრივი შეძლება ჰქონდა, ცხენს ჯვშანს ადგამდა („თორნი“) და თვითონაც „ჯაჭვ-ჩაბალახით“ იმოსებოდა. მძიმედ შეჭრვილი მხედრები — „თოროსნები“, ჯარის აკანგარდულ ნაწილს ქმნიდნენ, მათ მოპყვებოდნენ ქვეითები („მეკირცხლი ერისაი“), რომელთაც ზურგში ედგნენ მსუბუქად შეგიარაღებული ცხენოსნები — „სიმრავლე მხედართაი“.

„მხედრებს სამსახურის სანაცვლოდ, ჩვე-

ულებრივ, უღუფა და სარგო ეძლეოდათ, რასაც „როჭიე“ ეწოდებოდა. ფეიდალური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების შედეგად, მხედრის სამსახურის საფუძვლად თანდათან მიწა იქცა. საერთოდ, მემამულეთა თვალსაზრისით, „მხედრები“ ძირითადად წვრილი მიწათმფლობელები არიან. ისინი, ვის ხელშიც საქმარისი მიწა აღმოჩნდა, ლაშქრობასა და სამსახურს ახლა უკეთ ახერხებდნენ და აზ-



მომთაბარე ცხენოსან-მოისართა საბრძოლო ტაქტიკა: а) ცხენოსან-მოისართა პოზიციები; б) სარუტერო ცხენოსანი ჯარი; გ) ქვეთი ჯარი; დ) ცხენოსან-მოისართა აღჭურვილობის მარაგი; ე) ცხენოსან-მოისართა მანქვრირების არჯალი; ვ) ძოწინააღმდევების ჯარი.



პუნქტი კატალაუნის კულტურული ძროლაში, 451 წ.

ნაურდებოდნენ. ამ მხრივ საურადლებოა ვახტანგ გორგასლის ღონისძიება, რომელმაც ოსებზე გამარჯვების შემდეგ „წარჩინებულ ქმნა მხედარნი, მსახურნი მხედ“ (ქართლის

ცხოვრება). ჯარის ორგანიზაციის ეს ტიპი ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური და სოციალური დიფერენციაციის შედეგი იყო.

ვახტანგ გორგასლის დროს უნდა დაწყე-

რომაული ლუგიონი ძროლაში, IV ს.



ბულიყო იმ საზოგადოების ფორმირება, რო-
მელიც შემდეგში ტაძრეულის სახელით გახ-
და ცნობილი. „მსახურების“ ერთ განსაზ-
ღვრულ, პრივილეგირებულ ჯგუფს ქმნიდნენ
„ტაძრეულები“. ოუ „მსახური“ „სახლისაგან“
არის ნაწარმოები, „ტაძრეულები“, „ტაძრის-
გან“ მომდინარეობს (ბვ ს. თაცარა ნიშნავს
სასახლეს). „ტაძრეულები“, „სამეფო სახლის“,
„სეფექვეჭინის“ ხალხია. ისინი რანგით მაღ-
ლა დაგანან ჩვეულებრივ მსახურზე. მათი და-
წინასაზრება-გააზნაურების შესაძლებლობაც,
ცხადია, მეტია.

მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ფეხოსნები,
როგორც ირანის შემთხვევაში ვნახეთ, არც
იძერიას ჯარში ასრულებდნენ ძირითად
როლს, მაგრამ მიუხედავ ამისა, კავალე-
რიის მიღწეული შედგი მათ უნდა გაემტა-
ცებინათ, დაეკვებინათ პოზიციები და დაურ-
ტყათ ცხენოსნებისგან მოცელილი და დაფან-
ტული მოწინააღმდეგისთვის. ასევე ფეხოსნე-
ბი იღებდნენ მტრის ციხესიმაგრებსაც. მათ
შორის უმეტესობა მსუბუქად იყო შეიარაღე-
ბული, რადგან აბჯარ-საჭურველი ძეირი ჯდე-
ბოდა, ხოლო დარიბ ყმებს არ შეეძლოა, დი-
დებულთა მსგავსად აღჭურვილიყვნენ. იქნებ
ამასთან დაკავშირებით უწოდეს მათ „მკვირ-
ცხლი ერისაი“. მსუბუქი ქვეითი ჯარი შეია-
რაღებული იყო ძირითადად ხელშუბებით,
შევიღდა-ისრებით, შურდულებით, შუბებითა
და ფარებით. მათ უკან მოჰყვებოდა მსუბუქი
კავალერია, რომელსაც ის ფუნქციაც გააჩ-
ნდა, რომ არ მიეცა საშუალება საკუთარი
ქვეითებისთვის, ბრძოლის ველიდან გაქცეუ-
ლიყვნენ. ირანული მაგალითის მიხედვით შევ-
ვიძლია ვივარაუდოთ, რომ ვახტანგის არმი-
ის მსუბუქი ცხენოსნები მოქირანე ან მო-
კავშირე ჩრდილოეთ კავკასიელები იყვნენ
(თუნდაც ჯუანშერის „მეფები კავკასიანის“),
რომელთაც სასანიდებიც იყნებდნენ.

V საუკუნის იძერიული არმიის მთლია-
ნი და დეტალური სახის აღდგენა მნელია,
რადგან არ გვაქვს საქმარისი არქეოლოგი-
ური და დოკუმენტური მასალა, რომელსაც
დავექრდნობოდით კელევისას, თუმცა მიუ-
ხედავად ამისა, უცხოური წყაროებისა და
მეზობელი სახელმწიფოების კარგად შესწავ-
ლის შედეგად, შესაძლებელია მისი ზოგადი
სახის ჩვენება.

თეთა ხოზერია



შებითა და შევიღდა-ისრით აღჭურვილი რომაელი
მეომარი (პიპოტოქსოტი), IV-V სს.

ერთ-ერთი გერმანული ბარბაროსული ტომის
მეომარი, IV-V სს.





პირველი ტანკები საქართველოში

შეჯავშული საბრძოლო მანქანა — ტანკი პირველად 1916 წელს სომის ბრძოლის დროს გამოიყენეს ბრიტანელებმა. ამან მოწინააღმდეგის ჯარისკაცებზე შოკის მომვრცელი ეფექტი მოახდინა. წარმოიდგინეს, რომ მათგან ნამდვილი ეშმაკი მიემართოდა. ოთხი წლის შემდეგ ასეთი „ეშმაკები“ საქართველოს პირველი რესუბლიკის არმიის შეიარაღებაშიც გამოჩნდნენ, მაგრამ საბჭოთა რუსეთმა ეს ტექნიკა აღაფის სახით ისე ავაწაპნა, რომ ამორტიზებულ „ეშმაკების“ სიარულიც კი კურ ვასწავლეთ.

როგორ მოხვდა ტანკები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის შეიარაღებაში? იმ დროისთვის ტანკები უკვე რამდენიმე დიდი სახელმწიფოს არმიის შეიარაღებაში ჰქონდათ, თუმცა არც ერთ მათგანს

აზრად არ მოსვლია, საქართველოსთვის უსასყიდლოდ დაეთმო ან მიეყიდა ისინი.

სამაგიეროდ, დასაყლეთი ტანკებით ამარაგებდა რუსეთის სამოქალაქო ომში ბოლშევიკებს დაპირისპირუბულ თუთოგვარდიულ შენაერთუბს. 1920 წლის გაზაფხულზე სამოქალაქო ომში ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოპერაციაში თუთოგვარდიელები დამარცხდნენ და მათი ნაწილი გენერლების ივან ერდელისა და დანიილ დრაცნების მეთაურობით, 10 ათასი კაცის შემადგენლობით იძულებული გახდა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულიყო დარიალის ხეობიდან. საქართველოს საისტორიო არქივის ფონდსაცავში არსებული დემოკრატიული რესუბლიკის არმიის, გვარდისა და რუსეთის სამხედრო ატაშეს ფონდებში დაცულ დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის შეჯერების შედეგად ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ სწორედ ამ შენაერთუბს ჩამოართვა ქართულმა გვარდიამ საბრძოლო



გენერალი
დევა
გრძელი

მანქანები და სხვა ტიპის შეიარაღებაც. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ეს ტანკები ბათუმში შეიძინეს ქართველებმა ვრანგელის ოფიცრისგან, რაც საარქიფო დოკუმენტებით არ დასტურდება.

ამორტიზებული ტანკების ტრანსპორტირება საქართველოს სამხედრო გზაზე ძალიან როგორდა მიმდინარეობდა — სამხედრო მანქანის ნაწილებს ურმებით ეზიდებოდნენ სახალხო გვარდიის წარმომადგენლები, რაც მარტივი არ იყო ცუდი და დაიოულილი გზის გამო. თუთრებისთვის ტანკების ჩამორთმებამ შეაშფოთა ბრიტანელები და ამიერკავკასიაში ბრიტანეთის უსაღლესამ კომისარმა უორდირომა 1920 წლის 5 აპრილს ქართველებს ტანკების დაბრუნება მოსთხოვა, რათა სასწრაფოდ გაჟღვანათ ყირიმში, რასაც ქართველმა მხარეებ უარით უასეუხა. არგუმენტად ის მოიყვანეს, რომ ტანკები თოვლიანი გზის გამო ჯერ არ მიეღოთ, იმაგდორულად, ეს ტანკები წარმოადგენდა სამხედრო ქონებას და „მოხალისეთათვის“ მათი გადაცემა შეუძლებელი იქნებოდა. მოგვიანებით თბილისში ჩამოტანილი ტანკები გადაეცა სახალხო გვარდიას. გვარდიის ჯავშნოსან ავტომობილთა გუნდი გადაკეთდა ჯავშნოსან საავტომობილო სატანკო დოკიზონად, რომელსაც სათვეში ჩაუდგა გვარდიელი ორჯონიაძე და იმანარჩუნები არი ცალი **Mark V-ი** ტიპის ტანკების გარდა შედიოდა ექვსი ჯავშნავტომობილი და სხვა მანქანები.

ბრიტანეთმა **Mark V-ი ტიპის ტანკების წარმოება** პირველი მსოფლიო ომის ბოლოს დაიწყო, პირველი მოდელი აიწყო 1918 წლის იანვარში. ომის დასრულებამდე 400-მდე ტანკის აწყობა მოხერხდა. საბრძოლო მანქანის პარამეტრები და საბრძოლო შესაძლებლობები შემდგენაირია: ტანკის მასა „მამალი“ — 29 ტონა, „დედალი“ — 28 ტონა; შეიარაღება „მამალი“ — ორი 57 მმ-იანი ქვემეხი და ოთხი 8 მმ-იანი ტყვიამფრქვევი; „დედალი“ — ექვსი 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი. ტანკის მოქმედების რადიუსი მოიცავდა 72-80 კილომეტრს. სიჩქარე 4-8 კმ/სთ-ს. ძრავა — რიკარდოს 6-კილონიზრიანი 150 ცხ/ძ. კარბურატორიანი ძრავი. ეკიპაჟი — 8 კაცი (ტანკის მეთაური, მძღოლი და 6 მსროლებელი). ჩვენთვის უცნობია, რომელი „სქესის“ **Mark V-ები** იყო გვარდიის შეიარაღებაში, თუმცა ცნობილია ზოგიერთი ქართველი ტანკისტის ვინაობა.



თუთრებისთვის ჩამორთმებული ტანკები სახალხო გვარდიას გადაეცა

ერთ-ერთი ტანკის მეთაური იყო ოფიცერი სერგო გაბელაშვილი, ასევე ტანკების „დამტარებლად“ მეორე ხარისხის თანამდებობაზე მსახურობდნენ თეოცრები — ანატოლი იმნაძე და ივანე მაისურაძე. ტანკების ჩამოყვანამ დიდი ინტერესი გამოიწვია მთელ შეიარაღებულ ძალებში. მაგალითად, რეგულარული არმიის ათასეულების უფროსები გვარდიის მთავარ შტაბს სთხოვდნენ, რათა მათვის მიეცათ შესაძლებლობა, ათასეულის მოული შემადგენლობა მისეულიყო და ამ უახლეს საბრძოლო საშუალებას გასცნობოდა.

მიუხედავად ასეთი ინტერესისას, ტანკების შეკეთების საქმე ძალიან ნელა მიიწვედა წინ — 1920 წლის ნოემბერში გვარდიის მთავარმა შტაბმა აირჩია სპეციალური კომისია ფარნიკვის, ფარქოსაძის, ჯიბლაძისა და ჭაბრიშვილის შემადგენლობით. შათ ყურადღება უნდა



სირველად ტანკი სომას ბრძოლაში გამოიყენეს 1916 წელს

მიექციათ და მიეღოთ ყუველგვარი ზომები, რათა ტანკები რაც შეიძლება სწრაფად ჩამდგარიყვნენ მწყობრში. ამ პრობლემის გადაჭრისთვის გვარდიას მიეცა დამატებით 300 ათასი მანეთი საშედრო ფონდიდან. მცდელობის მიუხედავად, ტანკების მწყობრში ჩაყენება საბჭოთა რუსეთთან ომისთვის ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმიის ავტოსატანკო რაზმში ზუსტად იმავე ტიპის თიხი ბრიტანული ტანკი შედიოდა, სამი მათგანი გამოიყენეს თბილისთან 24 თებერვლის ბრძოლაში. ტანკებმა ვერ შეძლეს ქართველთა პოზიციების გარღვევა. ბურუსის გამო ქართულ არტილერიას სანგრებთან მოწინააღმდეგის ტანკების მოსვლა ვერ შეუნიშნავს, ხოლო სანგრებში მყოფ სამეცნიელოს გვარდიის ნაწილებს ტანკისთვის სროლა ტყვიამფრქვეუბითა და თოვებით აუტეხავს და

ბოლო მომენტში სანგრები უწესრიგოდ მიუტოვებდა. მაგრამ იმერთის მეორე ბატალიონს აკავი კვიტაიშვილის მეთაურობით, ორი სამთო ზარბაზნისა და ფლანგიდან ახალციხის ბატალიონის მასირებული ცეცხლის დახმარებით, მოწინააღმდეგის ტანკები და ქვეითი ნაწილები უკანვე განუდევნიათ.

მოწინააღმდეგის ერთი ტანკი 20-მეტრიან ხევში ჩაჩეხა, რომლის ეკიპაჟიც მშიმედ დაშავდა. მას შემდეგ, რაც ქართულმა ნაწილებმა ქალაქი დატოვეს, იქ გადარჩენილი ორი რუსული ტანკი შევიდა. მალევე რუსებმა თბილისის სადგურის სახელოსნოში აღმოაჩინეს ნაწილობრივ დაშლილი ქართული ტანკები, რომლებიც მოსკოვში გააგზავნეს, როგორც „საქართველოს მთავრობის“ საჩუქარი რუსეთისადმი.

დიმიტრი სლაბაძე



სახალხო
გვარდიის
ტანკები
რუსებს
თბილისიდან
გააქვთ

ასოფლიოს ილუსტრირებული ისტორია

24
მთავარი

სამყაროს დასაპამილან
ღლევანდელოგამდე

„ქვირის პალიტრასთან“
ერთად



სისხლი!



ნიანს ზასი:
6 ლარი
აზეთთან ერთად:
7 ლარი

ნაიკითხე, გაერთე და შეიწანი!

ნიანსი 1 დღიულზე მიტანით ფასიამატის გარეშე
ნორ.: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 www.elva.ge

ქართული ეალაჟების სენიორი აშშ-ში

„ახ, ნეტავი
ცრთად
იყოს...
ბათუმი და
ტირილისი“

Batum, Washington 99159

© 2012 Google

Google earth

Imagery Date: 8/8/2011 1996

47°14'08.10" N 118°48'31.90" W elev. 487 m

Eye alt. 1.49 km


ამერიკული ბათუმი და ტირილის „გუბლის“ რეკტჩე

ამერიკის შეერთებული შტატების ვრცელ ტერიტორიაზე, რომელზეც მსოფლიოს ძრავალი ქვეყნის ქალაქის სახელწოდება სხვადასხვა ფორმით მეორდება, ვაშინგტონის შტატში ორი ქართული ქალაქის სახელიც გვხვდება. ვაშინგტონის შტატში, გრანტის საგრაფოში, 90-ე გზატბქცილის ხიახლოებეს ძღებარეობს პატარა დასახლება ტიფლისი, მეზობლად, აღამისის საგრაფოში კი უფრო ძცირე დასახლება — ბათუმი.

ბუნებრივად იბადება კითხვა, საიდან გაჩნდა ტიფლისი და ბათუმი აშშ-ის უკიდურეს ჩრდილოეთ-დასავლეთ შტატში (თუ არ ჩავთვლით ალასკას). რატომ შეიძლება მოსვლოდათ ამერიკელებს თავში ამ სახელების დარქმება საკუთარი დასახლებებისთვის? საქმე ის არის, რომ თავდაპირველად დასახლებები ისე გაჩნდა, მათვის სახელი არავის დაურქმევია. ამ ადგილების სკნ რუს ფერმერთა ჯგუფები დაიძრნენ, რომელებიც იქურმა ნიადაგმა და ხორბლის მოყანისთვის სელსაყრელმა პირობებმა მიიზიდა. 1910 წლიდან ამ ადგილებში დიდი სარკინიგზო ხაზის შენებლობა დაიწყო. ამ ხაზს წენარი ოკეანის სახაპირო და ე.წ. დიდი ტბები უნდა დაეკავშირებინა ერთმანეთთან. იგი გადაჭიმული უნდა ყოფილიყო ვაშინგტონის შტატის უკიდურესი დასავლეთიდან ვისკონსინის შტატის ქალაქ მილუოკიმდე, რომელიც მიჩიგანის ტბის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირზე მდებარეობს, იქიდან კი სენტ-პოლისა და ჩიკაგოსკნ გაგრძელდებოდა.

როგორც ჩანს, 1910 წლისთვის იმ ადგილებს, სადაც რუსი ემიგრანტები სახლობდნენ, ჯერ კიდევ არ პქონდა სახელი. ერთ-ერთი ინტერნეტსაიტის მონაცემებით, სახელი ბათუმი სარკინიგზო კომპანიამ შეარჩია, კავკასიის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ტიფლისის შესახებ მსგავსი ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა, ეს ცნობა შეიძლება სანდოდ მივიჩნიოთ, რადგან ამ ორი დასახლების გარდა, ვაშინგტონის შტატში, ლინკოლნის საგრაფოში მდებარეობს პატარა დასახლება, რომელსაც ოდესა პქვია. ვინაიდან 1910 წლისთვის სამივე ქალაქი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა, სავარაუდოა, რომ სარკინიგზო კომპანიამ სწორედ „რუსული“ ქალაქების სახელები შეურჩია დასახლებებს.

„ბიგ ბენდის“ სარკინიგზო ხაზის სამშენებლო სამუშაოები 1909 წლიდან იწყება, ტიფლისი კი დოკუმენტაციაში უკვე 1911 წლიდან




ჩანს. მასზე სარკინიგზო ხაზის ის ტოტი გადიოდა, რომელსაც მოზების ტბისკენ ეჭირა გეზი. ტიფლისს პეტდა მარსელუსისკენ მიმავალი გზაც. სარკინიგზო კომპანიის მუშებმა 1911 წლის 25 ივნისს ტიფლისის დასაცლეთით დაიწყეს ხაზის გაყვანა და 31 ოქტომბრისთვის 42 მილით წაიწინეს წინ. აქედან მოყოლებული, ტიფლისი ხმირად ფიგურირებს სარკინიგზო კომპანიის საბუთებში. შემორჩენილია მატარებლების მოძრაობის გრაფიკიც. მაგალითად: ვერდენიდან 07:00 საათზე გამოსულია მატარებელი №115 ტიფლისში 07:25 საათზე შევიდა; ტიფლისიდან გასული მატარებელი №215 ნეპელში ჩავიდა 08:25 საათზე; მატარებელმა №216-მა დატოვა ნეპელი 08:40 საათზე და ტიფლისში შევიდა 09:45 საათზე; მატარებელმა №115 ტიფლისი დატოვა 09:45 საათზე და ჩავიდა მარსელუსში 12:15 საათზე. ასეთი იყო მატარებლის მოძრაობის გრაფიკი ტიფლისიდან და ტიფლისისკენ 1915 წლის 9 ნოემბერს.

ტიფლისი რომ ამ დღიდა სარკინიგზო ხაზის ცხოვრებაში მოკრძალებულ როლს ყოველთვის ასრულებდა, კარგად ჩანს მომდვენი პერიოდის დოკუმენტაციაშიც. 1954 წლის 27 აგვისტოს გმოწერილი ორდერი №8 თანდართული ანგარიშსწორების აქტით, რომელიც მატარებელს ტიფლისის გაულით მოძრაობის უფლებას აძლევდა. მსგავსია 1954 წლის 4 დეკემბერს გამოწერილი ორდერი №23, ასე-

ვე თანდართული ანგარიშსწორების აქტით. პირველი მათგანი მარსელუსისკენ მოძრაობის ნებართვას იძლეოდა, მეორე კი მოზების ტბის მიმართულებით.

ტიფლისი ფიგურირებს 1970-იანი წლების დოკუმენტაციაშიც. როგორც ჩანს, ამ დროს სარკინიგზო ხაზის რეკონსტრუქცია დაიწყო. 1976 წლის ნახაზებიდან ირკვევა, რომ რეკონსტრუქცია შექმნა იმ მონაკვეთებს, რომლებიც ტიფლისზე გადიოდა. კერძოდ: მოზების ტბიდან ტიფლისამდე და ვერდენიდან მარსელუსამდე.

რაც შექება ბათუმს, ხელმისაწვდომია მისი საკადასტრო რუკა, რომელიც 1912 წლით თარიღდება. რუკის მიხედვით, ბათუმი რკინიგზის პირას გაშენებული პატარა დასახლება გახლდათ, რომელსაც ოთხი პროსპექტი ჰქონდა. დასახლების შუაგულში ამ პროსპექტებს ორი ქუჩა კვეთდა და დასახლების განაპირა ადგილებშიც გადიოდა. საერთო ჯამში, დასახლება ათი კვარტალისგან შედგოდა. გეგმის მიხედვით, გზის პირას გათვალისწინებული იყო სკოლის მშენებლობაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ 1912 წლამდე ბათუმი ორგანიზებულ დასახლებას არ წარმოადგენდა. ბათუმი ფიგურირებს ჩვენ მიერ უკვე ნახენებ რკინიგზის 1976 წლით რეკონსტრუქციის გაგმაშიც. ის მარსელუს-ვერდენის მონაკვეთზე მდებარეობდა.



ორკერი №8, თანდართული ანგარიშწრების აქტით
მარსელუსისკენ მოძრაობის ნებართვას იძლევთ

ამერიკული ბათუმი დღეს



საინტერესოა, რომ ვაშინგტონის შტატის ერთ-ერთ მაგისტრალს ბათუმის გზა ეწოდება. ის ვაშინგტონის შტატის რამდენიმე საგრაფოზე გადის, კვეთს 90-ე გზატკეცილს და თითქმის ორგონის შტატამდე აღწევს.

თუმცა ვერც ტიფლისი და ვერც ბათუმი სიცოცხლისუნარიანი დასახლებები ვერ აღმოჩნდა და მათი ქალაქებად ქცევა ვერ მოხერხდა. 1980 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯომი კარტლერმა ხელი მოწერა ფედერალურ კანონს, რომელიც სტაგერსის სარკინიგზო აქტის სახელითაა ცნობილი. ამ აქტის ძალით ამერიკული სარკინიგზო ინდუსტრიის რეგულირება შეწყდა. სტაგერის აქტმა ჩანაცვლა შტატთაშორისი კომერციული აქტი, რომელიც 1887 წლიდან მოქმედებდა და სარკინიგზო სისტემის მკაცრ რეგულირებას ითვალისწინებდა. ახალმა კანონმა შესაძლებელი გახდა წამებიანი სარკინიგზო ხაზების რეორგანიზება და გაუქმება. 1977 წლის კვლევამ ნათლად აჩვენა, რომ „ბავ ბენდის“ რკინიგზა წაგებაზე მუშაობდა. ტიფლის-მარსელუსის მონაკვეთზე სატვირთო გადაზიდვათა საერთო ღირებულება ხსნებულ მონაკვეთზე მხოლოდ \$918,5 იყო. თუმცა დასკვნაში ეწერა, რომ ხორბლის დიდი მარაგის გამო ამ მონაკვეთის გაუქმება 1980 წლამდე, ახალი გვირაბის გაყვანმდე, არ იყო მიზანშეწონილი. სწორედ 1980 წლიდან, ახალი კანონის მიღების შემდეგ, წყნარი ოკეანისა და დიდი ტბების დამაკუშირებელი რკინიგზის მრავალმა განშტოებამ მოქმედება შეწყვიტა. მათ შორის მოხვდა ის ხაზებიც, რომელებიც ტიფლისსა და ბათუმზე გადიოდა.

დღეს ტიფლისსა და ბათუმს მნელია ქალაქი უწოდო. კისმოსიდან დაკიირვებით ტიფლისის ტერიტორიაზე ჩანს რამდენიმე სამურნეო დანიშნულების ნაგებობა და საცხოვრებელი სახლი. გარშემო კი მხოლოდ ხორბლის ფანებია. დასახლების განაპირას ჩანს გაუქმებული სარკინიგზო ხაზიც. რაც შექება ბათუმს, იქ კიდევ უფრო ნაკლები სამურნეო ნაგებობაა. გარშემო მხოლოდ ყანებია, რომელთაც შეაზე ბათუმის გზა კვეთს.

როგორც აღნიშნეთ, ეს დასახლებები რუსი ფერმერების დაარსებულია. მნელი სათქმელია, იყვნენ თუ არა მათ შორის ეთნიკური ქართველები. ამის დადგენა საკითხის ადგილზე შესწოლის გარეშე პრაქტი-

კულად შეუძლებელია. ერთი რამ ფაქტია, სარკინიგზო ხაზის გაუქმებამ ამ დასახლებებს ფუნქცია დაუკარგა. ჩვენი მცდელობის მიუხედავდ, მათი მოსახლეობის ოდენობის დადგენა ვერ მოხერხდა. რაც შეეხება პაოუმის გზას, მასზე არაერთი სასტუმრო, კვების ობიექტი თუ ბეზინგასამართი სადგურია განთავსებული. განსხვავებული მდგომარეობაა ოდესაში, ოომელიც პატარა, კოხტა დასახლებად ჩამოყალიბდა, საკუთარი ბეისბოლის მოედნით, გოლფკლუბით, სკოლითა და საავადმყოფოთი. მისი მოსახლება ოფიციალური მონაცემებით, 957 კაცია (აშშ-ის ტერიტორიაზე კიდევ ორი ოდესა — ტეხასისა და დელავერის შტატებში). ვაშინგტონის შტატის საზღვარზე, აიდაკოს შტატში, ასევე მდებარეობს ქალაქი მოსკოვი, სადაც 23,8 ათასი მოსახლეა. ის 1871 წელს დაარსდა, ხოლო ქალაქის სტატუსი 1987 წლიდან მიიღო. შესაძლოა ტიფლისიცა და ბათუმიც მაშინ დაარსდა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, ისინი 1911 წელზე ადრეულ დოკუმენტებში არ გვხვდება.

ამერიკული ტიფლისი დღეს






მიუხედავად ყველაფრისა, ვაშინგტონის შტატის ტოპოგრაფიულ რუკაზე დღესაც გვხდება ქართული დასახლებანი — ტიფლისა და ბათუმი. ისინი ერთ შტატში, მეზობელ საგრაფოებში, 90-ე გზატკეცილის სხვადასხვა მხარეს მდებარეობენ. მათ შორის მანძილი დაახლოებით 37 კილომეტრია. ამ მანძილის დაფარვა ავტომობილით 46 წუთშია შესაძლებელი. საფეხმავლო გზა ოდნავ მოკლეა, 34,6 კილომეტრს შეადგენს და მისი დაფარვა, სურვილის შემთხვევაში, 6 საათსა და 54 წუთში შეიძლება. ველოსიპედით კი ამ მანძილს 1 საათსა და 45 წუთში დაფარავთ — ამგვარი გაზომვები „გუგლის“ რუკების მეშვეობითა შესაძლებელი.

არ არის გამორიცხული, რომ რუს ფერმერთა შორის ყოფილიყვნენ ეთნიკური ქართველებიც. ამ ვარაუდის დადასტურება ან უარყოფა მხოლოდ ვაშინგტონის შტატში, გრანტისა და ადამსის საგრაფოების არქივებში დასახლებების შესახებ არსებული მსალების გაცნობის შემდგვერებებში მოხდება შესაძლებელი.

დავით პრაგაძე

ისტორიანი ცლისაა



საქათაო

იანვრის შუალედს ფაენატა 32 გვერდი.
ფასი გასდა 3 ლარი.

ისტორიების ათეროგელი



სარაინდი! სარაინდი! სარაინდი!

გამოიხატ 1 წლით
ჩართალი „ისტორიები“
და მიღეთ პონასად
2012 წლს 12 ზარალი
საჩუქრად!
www.elva.ge

ტელ.: 2382673, 2382676





საქართველო საჯარო კუნძული

ჩვენი ქვეყნის ისტორიული ფარიტორიის გადაცაზილება
დიდ იმპერიას ჰორის (1700-1921)

(გაგრძელება. დასწენის იხ. „ისტორიაზ“ №2-3)

ოთხი საუკუნის განმავლობაში, 1514 წლიდან (ირან-ოსმალეთის ომების დაწყებიდან) 1914 წლამდე (პირველი მსოფლიო ომამდე), სამწუხაროდ, საქართველოსთვის გარე სამყაროს ირანი, ოსმალეთი და რუსეთი წარმოადგენდა. ვრომის სახლმწიფოები სამხრეთ კავკასიის (ამიერკავკასიის) საქმეში კერ ერუოდნენ. საქართველოსა და ქართველობის ბედი ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირებაში წყდებოდა.

10. რუსეთ-ოსმალეთის 1791 წლის 29 დეკემბრის საზაფო ხელშეკრულება (იასის ტრაქტატი)

რუსეთის ბრძოლა ჩრდილოეთი შავი ზღვის-პირიესა და აზოვისპირეთში გაბატონებისთვის 1783 წელს მნიშვნელოვანი გამარჯვებით დასრულდა ყირიმის სახანო რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა. ოსმალეთი კერ ეგუებოდა ყირიმის სახანოს დაკარგვას. 1787 წელს ოსმალეთმა რუსეთს ყირიმის სახანოს დაბრუნება მოსთხოვა, რაზეც რუსეთმა უარი განაცხადა. ომი გარდაუვალი გახდა. 1787 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი, რომელიც 1791 წლამდე გაგრძელდა. 1787 წელს კინბურნთან (ოჩაკუჯის მახლობლად) რუსე-

თის არმიამ ოსმალები სასტიკად დაამარცხა. 1788 წელს რუსებმა ოჩაკუჯის ძლიერი ციხე-სიმაგრე დაიკავეს. 1789 წელს ფოქშასთან (მდინარე რომინიკზე) ოსმალები კადვე უფრო სასტიკად დამარცხდნენ. 1790 წელს რუსეთის არმიამ აიღო მდინარე დუნაის შესართავში მდებარე იზმაილის ციხესიმაგრე. რუსეთის სამხედრო ფლოტმა შავ ზღვაზე რამდენჯერ-მე დაამარცხა ოსმალეთის ფლოტი. დამარცხებული ოსმალეთი ზავს დათანხმდა.

1791 წლის 29 დეკემბერს იასის რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზაფო ხელშეკრულება (ტრაქტატი). რუსეთ-ოსმალეთის 1791 წლის 29 დეკემბრის იასის საზაფო ხელშეკრულებამ (ტრაქტატმა) დადასტურა რუ-

სეთ-ოსმალეთის 1774 წლის 10 ივნისის ქუჩუკ-კაინარჯის საზაფო ხელშეკრულების (ტრაქტატის) ყველა მუხლი. საზაფო ხელშეკრულების ძალით ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთის ტერიტორიად გამოცხადდა. რუსეთს გადაეცა შვი ზღვის სანაპირო მდინარეებს დნესტრსა და სამხრეთ ბუგს შორის.

იასის საზაფო ხელშეკრულება საქართველოსაც შექმო. ოსმალეთმა ცნო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლა რუსეთის მფარველობაში. საზაფო ხელშეკრულების მე-5 მუხლის ძალით ოსმალეთის სულთანი გალდებულებას იღებდა, რომ აზალციხის ფაშა თავს აღარ დაესხმოდა ქართლ-კახეთის მეფის სამფლობელოებს. დასავლეთ საქართველოსადმი (იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროები) ძალაში დარჩა 1774 წლის 10 ივნისის ქუჩუკ-კაინარჯის საზაფო ხელშეკრულების (ტრაქტატის) პირობები.

* * *

11. რუსეთ-ოსმალეთის 1812 წლის 16 მაისის საზაფო ხელშეკრულება (ბუქარესტის ტრაქტატი)

XVIII საუკუნეში რუსეთთან ომებში დამარცხების მიუხედავად, ოსმალეთი რეგანშისთვის ემზადებოდა. XIX საუკუნის დამდევს რუსეთსა და საფრანგეთს შორის ოსმალეთის ლავაირება დამთავრდა იმით, რომ აუსტრიაში ცის ბრძოლაში (1805 წ.) რუსეთის მარცხის შემდევ თავის მიემხრო და საფრანგეთს მიემხრო და

რუსეთთან ურთიერთობას ხელოვნურად ძაბულდა. ოსმალეთმა რუსეთის გემებისთვის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები დაბურა. ამავე დროს სულთანმა უგულებელყო რუსეთთან დადებული საზაფო ხელშეკრულებებით მოლდავეთის, გალახეთისა და სერბეთისადმი ნაკისრი ვალდებულებები.


1806 წელს დაწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც 1812 წლამდე გაგრძელდა. ოსმალეთი მიზნად ისახავდა ყირიმის ნახევარკუნძულისა და ჩრდილოეთ შვი ზღვისპირეთის დაბრუნებას, ასევე მოლდავეთზე, გალახეთისა და სერბეთზე სრული ბატონობის დამკარებას.

1806-1810 წლებში რუსეთმა დუნაისპირეთსა და ბალკანეთზე ვერ შეძლო ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციების წარმოება. 1810 წელს რუსეთის არმამ გადალახა მდინარე დუნაი და მიაღწია ბალკანეთის უღელტეხილებს. რუსებმა მიღწეულის შენარჩუნება ვერ შეძლეს, ჩრდილოეთ ბულგარეთი დატოვეს და საწყის პოზიციებზე დაიხიეს. 1811 წელს რუსეთის არმამ შეტვაზე გადავიდა და რამდენიმე ბრძოლაში ოსმალეთის არმამ სასტიკად დაამარცხა.

რუსეთის არმამ წარმატებები მოიპოვა კავკასიის ფრონტები. 1810 წელს რუსებმა აიღეს ფოთი და სოხუმი, 1811 წელს — ახალქალაქი.

1812 წლის 16 მაისს ბუქარესტში რუსეთსა და ოსმალების შორის დაიდო საზაფო ხელშეკრულება (ტრაქტატი). ბუქარესტის საზაფო ხელ-

იზმალის აღება, 1790 წ.



შეკრულების (ტრაქტატის) მესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ უცვლელად რჩებოდა რუსებისა და ოსმალების შორის ადრე დადებული ყველა ხელშეკრულება. ბუქარესტის საზაფო ხელშეკრულებით რუსებმა მიიღო ბესარაბია.

რუსეთ-ოსმალების 1812 წლის 16 მაისის ბუქარესტის საზაფო ხელშეკრულება შექმნა საქართველოს, ოსმალებთმა სცნო ქართლ-კახიის სამეფოს, იმერუთის სამეფოს, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების გადასკვლა რუსეთის მფლობელობაში. საზაფო ხელშეკრულების მე-6 მუხლში აღნიშნული იყო, რომ რუსეთ-ოსმალების საზღვარი აზიაში უნდა აღდგენილიყო ომამდელი სახით რუსების ოსმალებთისვის უნდა დაეპრუნებინა აზიაში (სამხრეთ კავკასიაში) დაკავებული ციხესიმაგრები, ქალაქები, დაბები და სოფლები.

რუსებმა ოსმალებს დაუბრუნა ფოთი და ახალქალაქი, მაგრამ შეძლო სოხუმის შენარჩუნება. სოხუმი რუსეთს დარჩა იმის გამო, რომ 1810 წელს აფხაზეთის მთავარი რუსეთის იმპერიის ქვეშვერდომობაში შევიდა. დამარცხებულმა ოსმალებთმა თავი ვეღარ გამოიდო აფხაზეთის შესანარჩუნებლად. საბოლოოდ, რუსეთს დარჩა შავი ზღვის სანაპირო სოხუმიდან რუდუტ-კალემდე (მდინარე ხობის შესართავამდე).

გენერალი პავლე ციციანოვი



12. რუსეთ-ირანის 1813 წლის 12 ოქტომბრის საზაფო ხელშეკრულება (გულისტანის ტრაქტატი)

ქართლ-კახეთის დაპყრობას (1801-1802 წწ.) შემდგენ რუსეთის იმპერია შეუდგა სამხრეთ-აღმოსავლეთი ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიების დაპყრობას. 1802 წელს ფუბისა და თალიშის ხანები იძულებული გახდნენ, რუსეთის ქვეშვერდომობაში შესულიყვნენ. განჯის ხანმა ქვეშვერდომობის მიღებაზე უარი თქვა. 1804 წელს საქართველოს მთავარსარდალმა, გენერალმა პავლე ციციანოვმა განჯის სახანოს დაპყრობა დაიწყო. რუსეთისა და ირანის ურთიერთობა დაიძაბა და 1804 წელს ამ ორ ქვეყანას შორის ომიც ატყდა. ირანის ჯარები აღმოსავლეთ სომხეთიდან თბილისისკენ გაჭრას ცდილობდნენ. ამის საპასუხოდ პავლე ციციანოვმა ერევანს შეუტია. რუსებმა ეჩმიაძინთან ირანის ჯარი დაამარცხეს და ერევანს შემოარტყეს ალფა. ის დიდხანს (1804-1805 წწ.) გავრძელდა. სამავიეროდ, რუსებმა უკუაგდეს თბილისის მიმართულებით შეტევაზე გადმოსული ირანის ჯარები. რუსებმა შეტევა განავითარეს ჩრდილოეთ აზერბაიჯანში და დაიკავეს ყარაბაღის, შექისა და შირვანის სახა-



აუსტრიულიცის ბრძოლა, 1805 წ.

ნოები. ოსმალეთთან ომის დაწყების შემდეგ (1806 წ.) რუსეთს ირანთან ომის გაგრძელება გაუჭირდა. 1812 წელს ირანის ჯარები ყარაბაღში შეიჭრნენ, მაგრამ ასლანდუზთან რუსებმა კვლავ დაამარცხეს მოწინააღმდეგე. ამის შემდეგ რუსეთ-ირანის ომში მნიშვნელოვანი ბრძოლები აღარ გამართულა.

1813 წლის 24 ოქტომბერს სოფელ გულისტანში (ყარაბაღში) ხელი მოწერა რუსეთ-ირანის საზაო ხელშეკრულებას (ტრაქტატს).

გულისტანის საზაო ხელშეკრულების მე-3 მუხლით რუსეთის შემადგენლობაში გადაღიოდა ყარაბაღისა და განჯის სახანოები, შექის, შირვანის, დერბენდის, ფუბის, ბაქოსა და თალიშის სახანოების ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც რუსეთის ჯარებს ეკავათ. რუსეთის ხელში გადადიოდა ასევე მთელი დაღესტანი, საქართველო (იგულისხმებოდა ქართლ-კახეთი) შერეგალის პროვინციასთან ერთად, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი და მთელი ის ტერიტორია, რომელიც მდებარეობდა კაუკასიის ხაზსა (გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში) და გულისტანის საზაო ხელშეკრულებით დადგენილ რუსეთ-ირანის ახალ საზღვარს შორის. რაც შექება გულისტანის საზაო ხელშეკრულებით რუსეთ-ირანის ახა-

ლი საზღვრის დადგენას, აქ ბევრი რამ ბუნდოვანი იყო. ხელშეკრულების მე-2 მუხლის მიხედვით რუსეთ-ირანის საზღვარი იწყებოდა ადინე ბაზართან და პირდაპირი ხაზით გადიოდა მუდანის კელზე, მიუყვებოდა მდინარე არაქს იმ ადგილამდე, სადაც მას მდინარე ქაფნაქაი ერთვის, შემდეგ საზღვარი გასდევდა ფარაბაღის, ნახშენის, ერუვნის სახანოების საზღვრებს და შერეგალის რაიონიდან მდინარე არფაჩამდე გრძელდებოდა. ეს კი ნიშნავდა, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორია ჭარ-ბელაქანი (საინგილო) ირანში რუსეთს დაუთმო.

* * *

13. რუსეთ-ირანის 1828 წლის 10 ოქტომბერის საზაო ხელშეკრულება (ოურქმანჩაის ტრაქტატი)

ირანი ვერ გუებოდა 1813 წლის 12 ოქტომბრის გულისთანის საზაო ხელშეკრულების (ტრაქტატის) პირობებს. ირანს რუსეთის წინააღმდეგ აქტებდა ინგლისი, რომელსაც არ სურდა რუსეთის გაბატონება სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით, კასპიისპირეთში. 1826 წელს რუსეთსა და ირანს შორის მორიგი ომი დაიწყო, რომელიც 1828 წლამდე გაგრძლდა.



ერების აღება რუსეთის არმიის მიერ გენერალი ი. ფ. პასკუაზ-ერიცხანესის მეთაურობით

1826 წელს ირანის 60-ათასიანი არმია აზერ-ბაიჯანში შეიჭრა, ყარაბაღი და განჯა დაიკავა და ბაქოს მიადგა. იმავდროულად ირანის არმია საქართველოს საზღვრების კენტრონი გაიჭრა და თბილის შეუქმნა საფრთხე. რუსებმა თავდაცვის ორგანიზება შეძლეს, შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ და 1826 წლის სექტემბერში შემქორთან სასტიად დაამარცხეს მოწინააღმდეგე. 1826 წლის ბოლოსთვის რუსებმა ირანის არმია ჩრდილოეთ აზერბაიჯანიდან განდევნეს, 1827 წელს აიღეს ერევანი, 1827 წლის სექტემბერში კი თავრიზი დაიკავეს. 1828 წლის იანვარში რუსეთის არმიამ თეირანის მიმართულებით შეუტია და დაიკავა ურმია, მარადა, არდებილი და მიანი. ირანის შაჰმა ზავი ითხოვა.

რუსეთსა და ირანს შორის საზაფო ხელშეკრულება (ტრაქტატი) დაიდო 1828 წლის 10 თებერვალს სოფელ თურქმანჩაიში (მიანთან). საზაფო ხელშეკრულების მე-3 მუხლის ძალით, ირანმა ცნო ერევნისა და ნახჭევნის სახანოების გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში.

თურქმანჩაის საზაფო ხელშეკრულების მე-4 მუხლით დადგინდა რუსეთ-ირანის საზღვარი. საზღვარი იწყებოდა რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის იმ ადგილიდან, რომელიც პირდაპირი ხაზით ყველაზე ახლოს იყო მცირე არარატის მწვერვალთან. შემდეგ სასაზღვრო ხაზი მიუკვებოდა მდინარე არარატს არაქსთან შეერთებამდე, შერტედის მოპირდაპირე მხარეს. არარატის არაქსთან შეერთების ად-

გილიდან საზღვრის ხაზი მიუკვებოდა მდინარე არაქსს აბას-აბადის ციხესიმაგრემდე (მდინარე არაქსის მარჯვენა ნაპირზე). აბას-აბადის გასწვრივ სამ-ნახევარი ვერსის (3,73 კმ) სიგანის ტერიტორია უნდა გადასულიყო რუსეთის შემადგენლობაში. აბას-აბადიდან სასაზღვრო ხაზი გასდევდა მდინარე არაქსს ედიბულუკის ფორნამდე, შემდევ კი გადაკეთდა მუღანის ველს მდინარე ბოლგარუმდე, საიდანაც საზღვარი მიუკვებოდა მდინარე ბოლგარუს ადინე ბაზრისა და სარიყამიშის შეერთების ადგილამდე, აქედან კი საზღვარი გასდევდა მდინარე ადინე ბაზარს, შემდევ მდინარე ასტარს მისი კასპიის ზღვაში ჩადინების ადგილამდე.

ამრიგად, საქართველოს ისტორიული ტერიტორია ჭარ-ბელაქანი (საინგილო) რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში დარჩა.

14. რუსეთ-ოსმალეთის 1829 წლის 2 სექტემბრის საზაფო ხელშეკრულება (აღრიანობლის ტრაქტატი)

რუსეთისა და ოსმალეთის დაპირისპირებამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და რუსეთის იმპერიის სწრაფვამ, დასავლეთ კერთის კვეყნებთან შედარებით უპირატესი გავლენა მოეპოვებინა ოსმალეთზე, რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი გამოიწვია. ომი 1828 წელს დაიწყო და 1829 წლამდე გაგრძელდა. რუსეთ-ოს-



საბრძოლო ეპიზოდი ჯავახეთში რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლის ომიდან

მალეთის ომი თავიდანვე ორ ფროტზე — ბალკანეთისა და სამხრეთ კავკასიაში დაიწყო.

1828 წელს რუსეთის არმიამ გადალახა მდინარე პრუტი და მოლდავეთის სამთავროს ტერიტორიაზე შევიდა. რუსებმა დაიკავეს იასი და ბუქარესტი. 1829 წელს რუსეთის არმიამ აიღო ძლიერი ციხესიმაგრები — შულმა და სილისტრია. 1829 წელს რუსებმა გადალახეს ბალკანეთის მთები და უბრძოლეველად შევიდნენ ადრიანოპოლიში. წარმატება მოიპოვეს რუსებმა ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთისა და კავკასიაში. 1828 წელს რუსეთის არმიამ დაიკავა ანაპა (ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთი), ყარსი, ახალციხე და ბაიაზეთი.

1829 წლის 2 სექტემბერის ადრიანოპოლიში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო საზაფო ხელშეკრულება (ტრაქტატი). რუსეთიმა მიიღო მდინარე დუნაის დელტა (შესართავი). საზღვრი რუსეთსა და ოსმალეთს შორის ვეროპაში კვლავ მდინარე პრუტზე უნდა დარჩენილიყო.

რუსეთ-ოსმალეთის 1829 წლის 2 სექტემბრის ადრიანოპოლის საზაფო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის ძალით ოსმალეთმა აღიარა რუსეთის ხელში საქართველოს (იგულისხმებოდა ქართლ-კახეთი), იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის გადასვლა. ოსმალეთმა ასევე აღიარა გულისტანის საზაფო ხელშეკრულებით ირანის მიერ სამხრეთ კავკასიაში რუსეთისთვის ტერიტორიების დამობა, ე.ი. ჭარბელაქანის (საინგილოს) გადასვლა რუსეთის

შემადგენლობაში. იმავე მეოთხე მუხლის ძალით რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში უნდა გასულიყო შავი ზღვის სანაპიროდან გურიასა და აჭარას შორის (მდინარე ჩოლოქზე). შემდევ სასაზღვრო ხაზი მიუყვებოდა იმერეთის სამხრეთ საზღვრებს, ახალციხისა და ყარსის საფაშოების საზღვრებს, ისე რომ ახალციხე და ახალქალაქი რუსეთის საზღვრებში რჩებოდა (ახალციხიდან და ახალქალაქიდან ოსმალეთის საზღვარი დაშორებული უნდა ყოფილიყო არანაკლებ ორი საათის საფაშოსა). რუსეთ-ოსმალეთის ახალ სასაზღვრო ხაზის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები — ყარსისა და ტრაპეზუნდის საფაშოებისა და ახალციხის საფაშოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი რჩებოდა ოსმალეთის შემადგენლობაში. ტერიტორიება რუსეთ-ოსმალეთის ახალი სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით — საქართველო (იგულისხმებოდა ქართლი და კახეთი), იმერეთი, გურია, ასევე შავი ზღვის სანაპირო — წმინდა ნიკოლოზის სიმაგრიდან (შეკვეთილიდან) მდინარე ფერანის შესართავამდე გადადიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. რუსეთის ჯარს უნდა დაეტოვებინა ომის დროს დაკავებული ახალციხის საფაშოს სამხრეთი ნაწილი, ყარსი და ყარსის საფაშო, ბაიაზეთი და ბაიაზეთის საფაშო, არზრუმი და არზრუმის საფაშო.

ვახტანგ გურული

(დასასრული მომღევნო ნომერში)



ამერიკული და ცეცხლსასროლი იარაღი

ველური დასავლეთი, თავისი მკაცრი კოუელდლიურობით, შეიარაღებული ფერმერებითა და ქალაქის მცხოვრებლებით, გარემოცული იყო რომანტიკული შარავანდებით, რომელიც იზიდავდა აღმოსავლეთ სანაპიროს საზოგადოების ფურადღებას და უფრო მიმზიდველი ჩანდა, ვიღრე ამერიკის დიდი ინდუსტრიული ქალაქები. მითებისა და ღვევენების მთულებაზე, მკვლელობა ველურ დასავლეთში არ ყოფილა ჩვეულებრივი ამბავი. სამოქალაქო ობის შემდგომ ველურ დასავლეთში მყოფი ყოფილი ჯარისკაცების გამო იქ მოქმედებდა დაუწერული კანონი, რომლის მიხედვითაც, აკრძალული იყო უიარაღო კაცითვის სროლა, ნებისმიერს პრონდა თავდაცვის უფლება. ვინც ამ კოდექსს დაარღვევდა, მას მოქლეულის ნათესავებისა და მეობრუბისგან, ან კიდევ უბრალოდ იქ მყოფი მოწმების მხრიდან აუცილებელი შურისძიება ელოდა.

ამერიკაში მოგზაურობისას ცნობილი ინგლისელი მწერალი რადიარდ კიპლინგი ქრისტიანი „ცივილიზებულ ქალაქ“ პორტლენდს. იგი ერთგვარი ზიზღით აღნიშნავდა, რომ მკვლე-

ლობათა საქმეებს, ყველა საგამოძიებო პროცედურის უგულებელყოფით, სასამართლო მხოლოდ დასავლეთის მორალური კოდექსის შესაბამისად განიხილავდა. ველური დასავლე-


თის ცხოვრების წესმა და ნირმა ჩამოაყალიბა თავისებური ფილოსოფია: თუ იარაღი დამნაშავის ხელშია — ეს საფრთხეა, ხოლო თუ კანონმორჩილ მოქალაქეს უპერია, ეს შანსია, რათა დაუპირისპირდე საფრთხეს. იარაღი იყო ერთადერთი დამცავი საშუალება იარაღისგან. ამიტომაც, საზოგადოებაში თანასწორუფლებიანობა და სამართლიანობა რომ შენარჩუნებულიყო, კოლტი და ვინჩესტერი ერთ-ერთ მთავრი ატრიბუტად მიიჩნეოდა.

ამერიკულთა ინტერესი და დამოკიდებულება იარაღისადმი სათავეს კოლონიზაციის პერიოდიდან იღებს. XVII საუკუნეში ოკეანეში მბიძე და სახიფათო მოგზაურობის შემდეგ, მუშკეტებითა და არკებულებით შეიარაღებული აქ დასახლების მსურველი მათოვის უცნობ და არცუ სტუმართმოუგარე მიწაზე გადმოღილდნენ. ისინი მუდმივად შხად უნდა ყოფილიყვნენ მტრის თავდასხმის მოსაგერიებლად. საინტერესოა, რომ კვრობული ადათ-წესების მიხედვით, პირველ კოლონისტებში მხოლოდ მაღალი წარმომავლობის პირთ შეეძლოთ იარაღის ტარება. პირველი 107 კოლონისტიდან, რომელთაც ამერიკის მიწას ფე-

ხი დაადგეს, მხოლოდ 54 მიიჩნეოდა ჯეტლმენად, ანუ ვისაც იარაღის ტარების უფლება ჰქონდა. მაგრამ სულ მაღლე ეს განსხვავება უკანოუნებდავად მიეცა დაგიწყებას. იარაღის შეძენა და ტარება ნებისმიერ მსურველს შეეძლო. ამტრიკის დასავლეთი იქცა ერთ-ერთ ყველაზე შეიარაღებულ მხარედ მსოფლიო ისტორიაში. „ამერიკული ერი აღმოცენდა ძალადობაზე. ეს არც ლიტერატურას და არც კინოს მართულებულად არ უჩვენებია“, — ამბობდა იტალიელი რეჟისორი სერჯიო ლეონე.

ინგლისური კანონების თანახმად, თუ შელაპარაკებისას სიტუაცია გამძაფრდა, კაცმა კონფრონტაციას თავი უნდა აარიდოს, სანამ რამე დანაშაული მომხდარა. ამერიკაში კი საქმე სხვაგვარად იყო. მაგალითად, ოპაიოს უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ არის აუცილებელი, სიტუაციის განმეობრივის გამო ალალ-მართალი კაცი კონფრონტაციის ადგილს გაეცალოს, არამედ მას შეუძლია პირისპირ ჩაებას ორთაბრძოლაში და თუ საჭიროა, მოკლას კიდევაც მოწინააღმდეგე.

ინდიელებისა და თუთოი კოლონისტების, აგრეთვე ამერიკის შეურთულებული შტატების მთავრობის სისხლიანი დაპირისპირება XIX საუკუნის ბოლომდე გაგრძლდა



ინგლისური კანონების თანახმად, თუ შელაპარაკებისას სიტუაცია გამძაფრდა, კაცმა კონფრონტაციას თუ უნდა აარიდოს, სანამ რამე დანაშაული მომზღვდარა. ამერიკაში კი საქმე სხვაგვარად იყო.



სემიუელ კოლტი (1814-1862)

1662 წელს ვირჯინიაში ინდიელთა ამბო-ნებისა და მისი სისხლში ჩახშობის შემდეგ პირველი ლაშქარი-მილიცია გაჩნდა, რომელშიც 50 წლამდე მამაკაცები გაერთიანდნენ (ინდიელებისა და თუთოი კოლონისტების, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სისხლიანი დაბირისპირება XIX საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა). სულ მალე ყოველ ახალ კოლონიას საკუთარი მილიცია ჰყავდა. ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეორე შესწორების მიხედვით „კარგად ორგანიზებული მილიცია საჭიროა თავისუფალი ქვეყნის დასაცავად, იარაღის შენახვა და ტარუბა კანონის დარღვევად არ ჩაითვლება“. აქედან მოყოლებული, ქამარზე ჩამოკიდებული ან ჯიბეში შენახული იარაღი პიონერს (ადამიანები, რომლებიც დასავლეთში ახალ ტერიტორიებზე სახლდებოდნენ) საშუალებას აძლევდა, ხელები თვისეუფლად პქონოდა, ეტარებინა ცხნი, ემუშავა მინდორსა თუ ფერმაში და თანაც მზად ყოფილიყო თავდაცვისთვის. XIV საუკუნეში ევროპელმა ხელოსნებმა პირველად დაამზადეს მსუბუქი, მცირე ზომის ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის ტარება ნებისმიერ ადამიანს შეეძლო. ევროპელები მათ ხელის ქვემტებს ან ცეცხლოვან ჯოხებს ეძახდნენ. ახალი ტერიტორიების აღმოჩენებმა დააჩქა-

„კოლტის“ პირველი მოდელის კბზემბლარი, რომელიც კონფერენციუტის შტატის გუბერნატორს, შემდგომში აშშ-ის პრეზიდენტ ფრანკლინ პირსს ეკუთვნილა (დღევანდველი შეფასებით, მისი საჯარულო საბაზრო ფასია \$250.000-\$450.000)



რა იარაღის, მათ შორის რევოლუცირის წინაპრის ახალ კონტინენტზე მოხვედრა. მოგვიანებით ცნობილი რევოლუცირის, „კოლტის“ შესახებ ასეთი სლოგანიც კი გაჩნდა: „ლერთმა ადამიანები სხვადასხვაგვარი შექმნა, სემ კოლტმა კი ვევლა გაათანაბრა“.

ამერიკის კონტინენტსა თუ მის ფარგლებს გარეთ მომხდარი ყოველი ომის შემდეგ იარაღი იცვლებოდა, იხვეწებოდა და მისი მოხმარება იზრდებოდა. მაგალითად, 1846-1848 წლების მექსიკა-აშშ-ის ომის დროს მთავრობამ სემიუელ კოლტის იარაღის ნახევარი სტანდარტებთან შეესაბამისის გამო დაიწუნა. მაშინ კოლტმა საკუთარი ნაწარმის გაყიდვა ჩვეულებრივ მოქალაქებზე დაიწყო, რომელიც დიდი ენთუზიაზმით ყიდულობდნენ რევოლუციებს და თანაც ბევრად უფრო მაღალ ფასად, ვიდრე მთავრობას შეეძლო გადაეხადა. იარაღის ხელმისაწვდომობამ და ომიდან დაბრუნებული შეიარაღებული ჯარისკაცებისა და მოხალისეების ფაქტორმა კი გაზარდა ძალამობრივი ქმედებებისა და დანაშაულებათა რიცხვი. შეცვლილი ფსიქიკისა და მსოფლმხედველობის ქონების ვეტერანები საზოგადოებისგან გარიყულად გრძნობდნენ თავს, საკუთარ ადგილს ვერ პოულობდნენ, დაგროვილი უარყოფითი ენერგია მოსვენებას არ აძლევდათ და სმირად საკუთარ პრობლემებს ძალადობრივი ქმედებებით აგვარებდნენ.

მიუხედავად ცუდი რეპუტაციისა, ცნობილია, რომ დასავლეთის „მენახირე“ ქალაქებსა და ლია ტერიტორიის ქედზე ძალადობა და მკვლელობა იმ დროსაც კი, როცა კლასიკური ამერიკული კინოესტერნის მოქმედება მიმდინარეობს ხოლმე, ანუ სამოქალაქო ომის შემდგომ 30 წლის განმავლობაში — ახლოსაც ვერ მივიღოდა დიდ ქალაქებში გამეოებულ დამნაშავეობასთან. 1870-1885 წლებში, როცა ვესტერნების მიზედვით, დასავლეთი ყველაზე უფრო ველური იყო, მის ყველაზე აუგად ცნობილ ქალაქებში — აბილენში, უიჩიტასა და დოჯ-სიტიში 45 მკვლელობა მოხდა. 1865 წლიდან 1900 წლის ჩათვლით ამერიკის დასავლეთში ოფიციალურად 600 მკვლელობა აღირიცხა. უდავოდ, მკვლელობათა რიცხვი ბევრად მეტი იქნებოდა, რადგან დასავლეთში „ათასობით იყო მსროლები და ათასობით ხდებოდა შეტაქება“. ხოლო ნიუ-იორკში, სადაც სასამართლო სისტემა უმაღლეს დონეზე იდგა, მხოლოდ 1866 წელს 799 მკვლელობა აღინიშნეს (ამ თემაზე შექმნილი მარტინ სკორსეზეს ფილმი „ნიუ-იორკის ბანდები“ (2004) საკმაოდ ზუსტად ასახავს იმდროინდელ სასტიკ რეალობას).

ვითარება რომ დიდხანს არ შეცვლილა, ამას ერთი ფაქტი მოწმობს: როცა 1910 წელს ერთმა ნიუიორკელმა ქალაქის მერი დაჭრა, პოლიციის კორონერმა განაცხადა: „ეს ქალაქი ველური დასავლეთის ქალაქს ჰგავს. მას ია-

კადრი ფილმიდან „ნიუ-იორკის ბანდები“, რეჟისორი მარტინ სკორსეზე, 2002 წ.





გერი კუპერი

რაღიანი ადამიანები, განფაიტერები (gunfighter) აკონტროლებენ*.

ტერმინი განფაიტერი, რომელიც აღნიშნავდა ადამიანს, როგორც ბანდიტს, ასევე კანონის დამცველს, ვინც იარაღს კარგად ფლობდა, პირველად 1874 წელს გაჩნდა, თუმცა საყოველთაოდ XX საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდა. ამერიკელი განფაიტერი უნიკალური მოვლენაა. მსგავსი პერსონაჟები გამოჩნდნენ ასტრალიასა და სამხრეთ აფრიკაში, მაგრამ ცნობილი ბაფალო ბილის „ველური დასავლეთის“ შოუში უზარმაზარი სამსახური გაუწია კობოის, განფაიტერს, ველურ დასავლეთს და მისმა დიდებამ სხვა ქვეყნის ყველა ცნობილი განფაიტერი (ნედ კელი, „შეშლილი ძაღლი“ მორგნი, ჯეპ დონოვიუ, ბენ კოლი) დაჩრდილა. აღბათ ბაფალო ბილი ვერც კი იფიტებდა, რაოდენ დიდ როლს ითამაშებდა განფაიტერის პერიოკული იმიჯის ჩამოყალიბებაში, როცა სცენაზე უკვე ღეგენდად ქცეული „ველური“ ბილ ჰიკიკი გამოიყანა. კლასიკურ ვესტერნებში ამ განფაიტერებს, რომლებსაც ასახიერებდნენ უილიამ ჰარტი, ტომ მიქსი ან გერი კუპერი, ჰინოდათ გამოგონილი და რომანტიზმული ბიოგრაფიები, რომლებიც, როგორც წესი, არავითარ რეალურ ფაქტს არ ემყარებოდა. ეს ვესტერნები იყო მშვენიერი ზღაპრები სიმამაცეზე, კეთილ-

შობილებაზე, მეგობრობასა და სიყვარულზე. ამერიკელებს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ სანაპიროზე, ბერი რამ წაეკითხათ დასავლეთის ცნობილ ბანდიტებზე, მათ ჰეროიკულ ცხოვრებაზე და კინოს გამოჩენისთანავე მათი ცოცხლად ნახვა მოისურვეს. ეს კი მშვენივრად გამოიყენეს კინოს მესეურუებმა და ველური დასავლეთის ბანდიტები და მძარცველები სამართლიანობისთვის მებრძოლი გმირების რაბგში აიყვანეს, რითაც მაშინვე მოუპოვეს მაყურებლის სიმპათია. ასე მოხდა პოაკინ მურიეტას, ბილი კიდის, ჯესი ჯეიმსისა და სხვათა მაგალითზე. მათ შესახებ გადაღებულია უამრავი ფილმი: ბილი კიდსა და ჯესი ჯეიმსზე შექმნილი ფილმების რაოდენობა სამათეულს აღწევს. უფროსი თაობის ადამიანებისთვის გარგად არის ცნობილი ფილმი „შურისაძებელი ელდორადოდა“, სადაც ბანდიტი მურიეტა ნაჩვენებია უმწიკვლი და უსამართლოდ დაჩაგრულ ადამიანად, რომელიც იძულებული გახდა, ხელში იარაღი აელო და კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ჩაედინა (სწორედ მან მისცა დასაბამი ზოროს შესახებ შექმნილ ლეგენდას). ისტორიული ფაქტების მიხედვით კი მურიეტა კალიფორნიაში იყო მეთაური კველაზე დიდი ბანდისა, რომელიც ასამდე კაცს ითვლიდა. მათ მიერ მოკლულთა რიცხვი კატასტროფულად დიდია, განსაკუთ-

რებით დაუნდობელი იყვნენ ჩინელებისა და შავკანიანებისადმი, არ ინდობდნენ არც ბავშვებს, არც ქალებსა და არც მოხუცებს. პოაკინ მურიეტა 23 წლის ასაკში მოკლეს, მის გვამს თავი მოაჭრეს, სპირტიან ქილაში ჩადეს და მნახველებს ერთ დოლარად უჩვენებდნენ. 1906 წლის კალიფორნიის მიწისძერის შემდეგ მისი თავი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ლეგენდები და მითები ცნობილი განფაიტერების მსხვერპლთა რიცხვს რამდენჯერმე ზრდიდნენ. მაგალითად, ცნობილია რომ ბილი კიდს ოთხი კაცი ჰყავდა მოკლული, მაგრამ ლეგენდის მიხედვით — 21, ანუ ერთი კაცი ჰოველ წელიწადზე, რომელიც იცოცხლა. „ველური“ ბილ ჰიკიკა ამტკიცებდა, რომ ასზე მეტი კაცი გაისტუმრა იმქვენად და „არც ერთი უმიზეზოდ“ არ მოუკლაშ, თუმცა ამის დამამტკიცებელი ისტორიული საბუთები არ არსებობს. ან ავიღოთ უაიეტ ერთი ან სანდენს კიდი, რომლებიც ფილმებისა და რომანების მიხედვით ზედიზედ ხოცავდნენ, ზოგიერთი მექვენის მიზე მოკლებრის მტკიცებით კი მათ არც ერთი კაცი არ მოუკლავთ.

ამერიკის დასავლეთში ახალადმოცენებუ-

ოპაიოს უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არის აუცილებელი, სიტუაციის განმუხტების გამო აღალ-მართალი კაცი კონფრონტაციის აღიღოს გაეცალოს, არამედ მას შეუძლია პირისპირ ჩაებას ირთაბრძოლაში და თუ საჭიროა, მოკლას კიდევაც მოწინააღმდეგ.

ლი ქალაქებისა და დასახლებების მცხოვრებნი ირჩევდნენ ადამიანს, რომელსაც ევალებოდა მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა. კანონის ეს დამცველები ხშირად დაქრივებული განფაიტერები იყვნენ. შერიფსა და მის თანაშემწებს მოსახლეობა ირჩევდა, ხოლო პოლიციის უფროსს — ადგილობრივი ან ფედერალური მთავრობა ნიშნავდა. სხვა მოქალაქეებისგან განსხვავებით, მათ კარგი ხელფასი ეძლეოდათ — თვეში დაახლოებით ასი დოლარი, ასევე ყოველ დაპატიმრებულ ან მოკლულ დამნაშავეზე პრემია. ეს სამუშაო დიდ გამბედაობას, რკინის ნერვებსა და დიპლომატიურობას მოითხოვდა. მოსახლეობა და მთავრობა ცდი-

ფრედერიკ რემინგტონის ნახატი





ძერნარდ გოტსხი
(სურათზე შუაში)
ნუ-იორკის
გეტროში 1984
წლის 22
დექემბერს ოთხი
აფრიამერიკული
გმაწვილი
ცაც ხლას სროლი
არალიდან
მძიმე დაჭრა

ლობდა, კანონის დამცველად ქლიერი პიროვნება აერჩია, რაც მთავარია, — ჩუბინი. მისი წარსული და რეპუტაცია არავის აინტერესებდა. ამიტომაც იყო, რომ ხშირად შერიფად დაუნიშნავთ ყოფილი ქურღი, მკვლელი ან შულერი. უმრავლეს შემთხვევაში, სამართლიანობის აღსაღენად შერიფს იარაღის გამოყენება უხდებოდა. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ამას მხოლოდ მუშტი-კრიფის საშუალებით ახერხებდნენ. ამის კარგი მაგალითია ტომ სმითი, რომელმაც ნახევარი წლის განმავლობაში, ერთი გასროლის გარეშეც შეძლო ქალაქი აბილინის

იარაღი კველა ასაკის ამერიკულებს უკვართ



(კანზასის შტატში) ბანდიტებისგან გაქმინდა. თუმცა ბოლოს იგი დალატის მსხვერპლი შეიქნა და ნაჯახით მოკლეს. მაგრამ ასეთიც გამონაკლისები იყვნენ. შერიფების უმრავლესობა მაინც „კოლტისა“ და თოფის მეშვეობით ამყარებდა წესრიგს. ამას გარდა, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება მოქალაქებისგან შექმნილი დაჯგუფებები, რომელებიც კანონს საუთარ ხელში იღებენ, ანუ პოლიციის ფუნქციას ითვისებენ. XIX საუკუნეში ინდუსტრიალიზაციის პროცესმა ამერიკაში წარმოშვა ფართომასშტაბიანი მოძრაობა, ე.წ. ვიჯილანტიზმი, რომელიც მიმართული იყო იმ „მარგინალთა წინააღმდეგ, ვინც განხე არიან გამდგარი და ახალ წესებსა და კნონებს არ ითვალისწინებენ“ (პირველად სიტყვა *vigilante* გამოიყენეს 1856 წელს, მისი ფუძე ესპანურია და ნიშნავს დარაჯს, მცველს). ფაქტობრივად, ეს იყო ლინჩის წესით გასამართლების დამკაიდრება, ანუ სასამართლოს ვერდიქტის გარეშე ადამიანის დასჯა, რასაც უშეტესად სასურველი ნებატური შედეგი არ მოსდევდა. ძალადობა ხშირად ისევ ძალადობას ბადებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ვიჯილანტიზმა პიკს მიაღწია. იმ დროს ეკონომიკური ელიტისა და საშუალო კლასის ხელშეწყობით ამოქმედდა უამრავი დაჯგუფება, რომელთა ამოცანას შეადგენდა გაქმინდა ახალი ქვეყანა კანონგარეშე ადამიანებისგან, რათა ყნებს, ველებსა და მაღაროებს ემუშავათ სიმშეიღეში, რათა შეექმნა ნედლეული ფაბრიკა-ქარხების თვის აღმოსავლეთში, რაც თავის მხრივ, შემთავალს მოუტანდა საშუალო და მაღალი ფენე-

ბის წარმომადგენლებს დასავლეთში. მსგავსი ვიჯილანტიზმის კარგი მაგალითთა ცნობილი მქები ერთგები კანზასა და ტუმბსტოუნში. მქებში გამოირჩეოდა რესპუბლიკური პარტიის წევრი, „პატარა კაპიტალისტი და სპეციალისტი“ უაიეტი, რომელიც ქრისტეს საგრაფოში მოქმედ ბანდიტებს ებრძოდა. ვიჯილანტიზმი აქტორების საზოგადოებაში მუდამ დიდი მხარდაჭირით სარგებლობდა, ამის მაგალითთა უამრავი დოკუმენტური მასალა, ასევე ამ ოქმაზე შექმნილი მხატვრული ლიტერატურა და ფილმები. განსაკუთრებით გმირებოთდი „სიკვდილის წეურეილს“ (1974) ჩარლზ ბრონსონით მთავარ როლში: ნიუიორკელ არქიტექტორს ნაძირალები ცოლს მოუკლავენ, შეიღლს კი გაუჟატიურუბენ. ის გადის ქუჩაში და კრიმინალებს დაერევა. მსგავსი სცენარი ოდნავ სახეშეცვლილი სახით სინამდვილეში განმეორდა 1984 წლის 22 დეკემბერს, როცა ვინქ ბერნარდ გოტსმა ნიუ-იორკის მეტროში თავდაცვის მიზნით ოთხი აფრომერიკელი ქმწვალი ცეცხლსასროლი ასრულდან მშიმედ დაჭრა (ფილმში ჩარლზ ბრონსონის გმირი მეტროში ორ ნაძირალას სიცოცხლეს გამოასალებს). ამ შემთხვევაში დიდი რეზონანსი გამოიწვია, სასამართლომ და საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა (57%-მა, აქედან 37% ფერადგანიანი იყო) გოტსის ქმედებანი მართუბულად

მიიჩნია და განაცხადა, რომ იგი თვედაცვის მშნით გამოიყენებდა იარაღს. გზეთებმა მას „მეტროს ვიჯილანტი“ უწოდეს. ამ შემთხვევაში გოტშია აირჩია ამერიკული მოდელი და გაცლას ჩათრევა არჩია, ანუ ინგლისურად კონფრონტაციას კი არ არიდა თავი, არამედ ამერიკულად, იარაღით გადაჭრა საკითხი.

იარაღის პრობლემა დღესაც ისევ აქტუალურია ამერიკის საზოგადოებაში. ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვევით სასწავლო დაწესებულებებში მოწყობილი სასტიკი ზოცვა-ულებტის შემდეგ წამოიჭრება ხოლმე. ამერიკელთა ერთი ნაწილი მოუწოდებს მთავრობას, შეიზღუდოს ანდა საერთოდაც აიკრძალოს იარაღის გაყიდვა (ამერიკაში ქუჩასა და პარკში ალკოჰოლური სასმელის დალევისთვის კაცს აპატიმერებენ და ამავე დროს 20 წლის შმაწვილს საშუალება აქვს, ხელში ჩაიგდოს აუტომატური იარაღი), მაგრამ ამას მოწინააღმდეგებიც ჰყავს და ერთი მხრივ ეს გასაბებიცა, რადგან მსგავსად 1873 წელს გამოშევებული ვინჩესტრისა, რომელმაც პიონერებს ველური დასავლეთი დააპირობინა, იარაღი შექმნა ამერიკული საზოგადოება და იარაღი-სადმი სიყვარული და პატივისცემა ამერიკულებს დღემდე სისხლში აქვთ.

ირაკლი მახარაძე

აშშ-ის იარაღის მაღაზიებში არანაკლებ მდიდარი არჩევანია, ვიდრე ჩვეულებრივ სუპერმარკეტებში



ერჩის სადასაცო ოპერაცია



სამხედრო სასახლაო ღანკაჩით 1:40-თან

შეორუ მსოფლიო ომის ისტორიაში მნიშვნელოვანი აღვილი უკვია საბჭოთა კუშირის უმაღლესი მთავარსარდლობის ორგანიზებულ და განხორციელებულ ქერჩის სადესანტო ოპერაციას, რომელიც მიმდინარეობდა 1941 წლის 26 დეკემბრიდან 1942 წლის 20 მაისამდე. თავდაპირველი წარმატების მიუხედავად, ქერჩის სადესანტო ოპერაცია საბჭოთა ჯარუბისთვის ტრაგედიით დასრულდა. განადგურდა საბჭოთა 44-ე, 47-ე და 51-ე არმიები, ხოლო სერიოზ დანაკარგი შეადგენდა 300 ათას კაცს, მათ შორის 170 ათასამდე ტყვევდ ჩავარდა. ასევე დიდი იყო ტექნიკური ზარალი. სადესანტო ოპერაციის წარუმატებლობამ გადაწყვიტა კიდევ აღყაშემორტყმული სევასტოპოლის ბეჭა. მოვკიანებით კი ვერმახტის ნაწილებს გაუადვილდა კუკახის ფრონტზე შეტყვა...

1941 წლის 26 სექტემბერს გერმანული ვერმახტის მე-11 არმია გენერალ ერის ფონ მანშტაინის მეთაურობით ყირიმის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე პერეკოპის ყელს მიადგა. სწორედ აქედან უნდა შევღწია გერმანულ ნაწილებს ყირიმის ნახევარ კუნძულზე და მთლიანად დაეკავებინა. საბჭოთა 51-ე არმიას უნდა დაეცვა პერეკოპის ყელი და არ დაშვა გერმანელთა შემოსვლა ნახევარ კუნძულის სიღრმეში, თუმცა 20 ოქტომბრისთვის გერმანელებმა მოახერხეს ფრონტის გარღვევა. ამავე დროს ოდესიდან ზღვისპირეთის სამხედრო ნაწილები საბ-

ჭოთა ჯარუბის დასახმარებლად გამოემართნენ. შედეგად ექვსი დღით, 26 ოქტომბრამდე მოხერხდა ვერმახტის ნაწილების შეჩერება, სანამ გერმანელებმა არ დაიკავეს იშუნი (დასახლებული პუნქტი პერეკოპთან) და საბჭოთა არმიას ფლანგებიდან შემოუარეს. ალყაში რომ არ მოხვედრილიყო, საბჭოთა ზღვისპირეთის არმია სამხრეთისკნ დაიძრა, ხოლო 51-ე არმიას ქერჩის მიმართულება უნდა დაეცვა. ამიტომ ეს შენაერთუბი განლაგდნენ ქალაქ აკმონიასთან (დღვენდელი კამენსკოე), კველაზე ვიწრო ყელზე აზოვისა და შევ ზღვას შორის,

რომლის სიგანეც 18 კილომეტრია. დაიწყო სისხლისშედებული ბრძოლები.

ამავე დროს გერმანელთა ნაწილები იბრძონენ სამხრეთით, სევასტოპოლითან. ქალაქს ალფა შემოარტყეს, თუმცა 30 ოქტომბრიდან 21 ნოემბრამდე გამუდმებული ბრძოლების მიუხედავად, მისი აღება ვერ შეძლეს. მანშტაინის სევასტოპოლის მიმართულებით ვერმახტის ნაწილების დიდი რაოდენობა გაგზავნა, ხოლო ქერჩის დასაცავად კი მხოლოდ ერთი ქვეითი დივიზია.

27 ოქტომბრიდან მოყოლებული, ქალაქი ქერჩი გამუდმებით იბრძობდოდა გერმანული აჯაციის მიერ. ქალაქის შენარჩუნება საბჭოთა ნაწილებისთვის შეუძლებელი გახდა. უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის განაკარგულებით, დაიწყო ჯარების გადაფენა ქერჩიდან ტაანის ნახევარკუნძულზე. საბოლოოდ, ვერმახტის ნაწილებმა ქერჩი 16 ნოემბერს აიღეს კიდეც.

საბჭოთა გეგმა

7 დეკემბერს საბჭოთა უმაღლესმა მთავარსარდლობამ ქერჩის ფრონტზე გასაგზავნ სამხედრო ნაწილებს, რომელთაც მეთაურობდნენ დამიტრი ტომითევეკინ კოზლოვი და ფიორორ ივანოვიჩ ტოლბუხინი, შემდეგი სამოქმედო გეგმა დაუსახა: უნდა მიმზადებულებო სადესანტო სამხედრო ოპერაცია ქერჩის დასაბრუნებლად. ოპერაციის გეგმა თავად ტოლბუხინის მიერ იყო შედგენილი და ითვალისწინებდა 51-ე და 44-ე არმიების ერთდროულ გადასხას ქერჩისა და ფერდონის ნაპირებზე, ქერჩის გერმანული ნაწილების ალფაში მოქცევასა და განადგურებას. შემდგომ საბჭოთა ჯარების მოქმედება უნდა გაგრძელდებულიყო ყირიმის ნახევარკუნძულის სიღრმისკენ, გათავისუფლებულიყო სევასტოპოლი და მთელი ყირიმის ნახევარკუნძული მოქცეულიყო საბჭოთა არმიის კონტროლქვეშ.

მთავარი დარტყმა 44-ე არმიას ფერდონის რაიონში უნდა მიეყნებინა, ხოლო დამხმარე ძალად გამოიყენებოდა 51-ე არმია ქერჩის რაიონში. მაქსიმალურად რომ შევეიწროებინათ ვერმახტის არმიის ნაწილები და მათთვის მანევრირების საშუალება მოესპორ, საბჭოთა ჯარების ყირიმის ნახევარკუნძულის ნაპირებზე უნდა გადამსხდარიყვნენ რამდენიმე

ადგილას — 250-კილომეტრიან სივრცეზე ფერდონისა და ქერჩის შორის.

დესანტი

1941 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა 51-ე არმია ქერჩის სანაპიროზე გადავიდა. სამი დღის შემდეგ, 29 დეკემბერს ფერდონის ნაპირებს 44-ე არმია მიადგა. დესანტის რაოდნობა ოპერაციის დასაცილებში 40 ათას კაცს შეადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფერდონის ნაპირზე არსებული პორტის გამო, საბჭოთა ნაწილების დესანტირება საქმაოდ მოსახერხებული იყო და სამიათასიანი გერმანული გარნიზონი, რომელიც საბჭოთა ნაწილებს ფერდონისაში დახვდა, 44-ე არმიის ნაწილებმა მაღამოიყვანეს მწყობრიდან.

გაციილებით როული მდგომარეობა შეიქმნა ქერჩში, სადაც დესანტის გადასხა პირდაპირ ყინულივით ცივ წყალში ხდებოდა. ჯარისკაცები მკრდამდე ზღვაში მიაბიჯებდნენ

ბრძოლები ქერჩის ნახევარკუნძულზე





გენერალი
ერი ფონ
მანშტაინი



გენერალი
რავინ
არმიის
კომანდი
ლე
ზაბარიფი
მებლისი



გენერალი
ფიოდორ
ტოლბუხინი
საბჭოთა
კავშირის
მარშალიც
გახდა

ნაპირისკენ. ყინვის გამო დიდი იყო დანაკარგი. დესატტირებიდან რამდენიმე დღეში კი ძლიერი ყინვა დაიწყო, რის გამოც გაიყინა ქერჩის სრუტის დიდი ნაწილი და ჯარისკაცებს ყინულზე გავლით უწევდათ ნაპირზე გადასვლა.

რაც შექმება ვერმახტის ნაწილების განლაგებასა და მდგომარეობას, ამ დროისთვის გერმანული ნაწილები მხოლოდ 46-ე ქვეითი ბრიგადისა და რუმინელთა სამთო მსროლელი პოლკის ძალებით იცავდნენ პარაბაზის მთების ტერიტორიას. საბჭოთა ნაწილები ბევრად აღმატებოდნენ გერმანელთა ნაწილებს, სწორედ ამიტომ მოუწიათ ამ უკანასკნელთ უქანდახევა. ეს იყო საბჭოთა არმიის დიდი წარმატება, რომელიც დიდხანს არ გაგრძელებულა...

ერის ფონ მანშტაინი თავის ჩანაწერებში აღნიშნავდა: „მოწინააღმდევეს რომ შექმნილი ვითარება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და ვერმახტის 46-ე ქვეით დოკიზიას დადევნებოდა, პარალელურად კი ფერდოსიიდან უკანდახეული რუმინელებისთვის შეეტია, მდგომარეობა სავალალო გახდებოდა არა მხოლოდ ზემოაღნიშნულ მონაკვეთზე მებრძოლი გერმანული ნაწილებისთვის, არამედ მთელი მე-11 არმიისთვის, თუმცა ამ დროს საბჭოთა ნაწილები „არსად ჩქარობდნენ“...

ქერჩში 51-ე არმიის მოძრაობის სისწრავე საკმაოდ ნელი იყო, 44-ე არმიის ნაწილები კი, ნაცვლად იმისა, ფერდოსიიდან დასავლეთის მიმართულებით ემოძრავათ, აღმოსავლეთით 51-ე არმიის შესახევდრად დაიძრნენ. ამან საშუალება მისცა გერმანულ ნაწილებს, შეექმნათ გამაგრებული ზოლი ქალაქ აკმონიას დასავლეთით, სივაშის სანაპიროსთან.

1942 წლის 2 იანვრისთვის საბჭოთა ნაწილებმა მთლიანად დაიკავეს ქერჩის ნახევარკუნძული. გერმანული ნაწილების სავალალო მდგომარეობის გათვალისწინებით, საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობა მიუთითებდა დმიტრი კოზლოვს, პერეკოპის მიმართულებით სწრაფი შეტევა განვითარებინა, თუმცა კოზლოვი არასაკმარისი ძალების მომიზეზებით შეტევის დაწყებისგან თავს იკავებდა.

ოპერაციის დაგეგმვისას საბჭოთა გენერლების ზემოაღნიშნულ შეცდომათა გარდა, უნდა აღინიშნოს უმაღლესი მთავარსარდლობის შეცდომები:

ფრონტზე არ არსებობდა არც ერთი სამე-



ეირიმის ნახევარეუნდულზე გამართულ ბრძოლებში თავდაპირველად უპირატესობას საბჭოთა ჯარუბი ფლობდნენ

დიცინო დაწესებულება. უახლესი ჰოსპიტალი მდებარეობდა კუბანში. დაჭრილი ჯარისკაცები, პირველადი დახმარების შემდეგ, პოზიციებიდან ქალაქ ქერჩში გადაჰყვდათ, ხოლო იქიდან კი ზღვით უნდა გადაევენათ ნოვოროსიისჭი.

მეორე დიდ შეცდომად საბჭოთა მთავარ-სარდლობის მხრიდან მიიჩნევა ფრონტზე საპატიო თავდაცვის არჯონა. შედეგად, 4 იანვრისთვის, მოწინააღმდეგის საპატიო მოქმედებათა შედეგად საბჭოთა არმიის ზარალი დიდი იყო.

ფერდოსიის დათვობა

1942 წლის იანვრის პირველ ნახევარში საბჭოთა ნაწილები გეგმავდნენ შეტევას ყირიმის ნახევრების სიღრმისკენ და ამისთვის დამხმარე ძალებითაც მარაგდებოდნენ, თუმცა მანშტაინმა რამდენიმე დღით დაასწრო კოზლოვს და 15 იანვარს გერმანული ნაწილები მოულოდნელად შეტევაზე გადაიდნენ 51-ე და 44-ე არმიების მიმართ უდებით, ქალაქ ვლადისლავოვკასთან. საბჭოთა ნაწილების რიგი რიცხობრივი და ტექნიკური უპირატესობის მიუხედავად, ვერმახტის ნაწილებმა 18 იან-

გარს შეძლეს ფეოდოსიის აღება, რის შემდეგ გაც საბჭოთა ჯარის მომარაგების ერთადერთ გზად გაყინული ქერჩის სრუტე რჩებოდა...

ყირიმის ვრცელი

1942 წლის 28 იანვარს საბჭოთა მთავარ-სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება ჯარუბის გამოყოფისა და ცალკე ყირიმის ფრონტის შექმნის შესახებ, გენერალ დმიტრი კოზმიავიგი ბრძოლის შემდევ





დაჭრილი ჯარისკაცების გაუჟავა

ლოგის მეთაურობით. ოქტერებლის დასაწყისში ყირიმის ნახევარკუნძულზე გადასვეს საბჭოთა 47-ე არმია გენერალ კონსტანტინ კოლგანიგის მეთაურობით. ფრონტი გააძლიერეს სატანკო ნაწილებით, არტილერიითა და მსროლელთა დოვიზიებით.

მთავარსარდლობამ ასევე გადაწყვიტა, გა-

ეძლიერებინა ახალი ფრონტის სამხედრო შტაბი და ქერჩში რამდენიმე ფიცირის თანხლებით გაგზავნა პირველი რანგის არმიის კომისარი ლევ ზახაროვის მებლისი, რომელიც საბჭოთა მთავარსარდლობის უშუალო წარმომადგენელი იყო ყირიმის ფრონტზე. მებლისი ერთ-ერთი სამხედრო პირი იყო იმათგან, ვისაც სტალინი ენდობოდა, მეტიც — იგი გენერალისიმუსის რჩეულიც კი ყოფილა, ალბათ იმ საერთო თვესების გამო, რომელიც მას და „დიდ ბელადს“ აკავშირებდათ — დაუნდობლობა! ცნობილია, რომ ერთ-ერთ ფრონტზე, საღაც მებლისი „დამხმარედ“ გაგზავნეს, მისი ბრძანებით ორი გენერალი დაიხვრიტა პანიკაში ჩაგარდნის ბრალდებით(!). ლევ მებლისი სამხედრო საქმის სპეციალისტი არ იყო. ის ყირიმის ფრონტზე გაიგზავნა საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად და მთავარსარდლობის ბრძანების პირნათლად შესასრულებლად, რითაც გენერალი კოზლოვი ნამდვილად ვერ დაიკვებნიდა.

ქერჩის ბრძოლები. მოქალაქეების მიერ საკუთარი ახლობლების ამოცნობა (დმიტრი ბალტერმანტის ფოტო)





ტევე საბჭოთა ჯარისკაცები ქერჩში, 1942 წ.

1942 წლის 27 ოქტომბერის საბჭოთა არმიაში შეტყვაზე გადავიდნენ ქერჩის მიდამოებში. პარალელურად დაიწყო საბჭოთა მხარის შეტყვა სევასტოპოლში. ბრძოლები გრძელდებოდა 3 მარტამდე, თუმცა ვერც ქერჩისა და ვერც სევასტოპოლის მიდამოებში საბჭოთა არმიამ წარმატება ვერ მოიპოვა და ვერ შეძლო ვერმახტის ნაწილების ხაზის გარღვევა.

საბჭოთა მხარის შეტყვა განახლდა 13-დან 19 მარტის ჩათვლით, თუმცა წარმატების მოპოვება ვერც ამ პერიოდში მოხერხდა. „გაძლიერებული“ საბჭოთა არმიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად დამძიმდა.

გერმანელთა კონტრშეტავა

1942 წლის აპრილის დასაწყისში, ვერმახტის ნაწილებმა მიიღეს შევსება და მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ სატანკო შემადგენლობით.

საბჭოთა ნაწილები მეხლისის ბრძანებით განლაგდნენ პარაბაზის მთების ჩრდილოეთით, რაც მათ ფრონტის სიღრმეს სწყვეტდა. გერმანელებს მოწინააღმდეგის ამგვარი შეცდომა

ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ ვერმახტის ნაწილებმა საბჭოთა ჯარებს სამხრეთიდან შემოუარეს. ამ ოპერაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანულმა სამხედრო ავიაციამ, რისთვისაც ჰიტლერის ბრძანებით ყირიმში გადაისროლეს მე-8 საპატრო ფლოტი „ლიუფტბაფე“, ვოლფრამ ფონ რიხტჰოფენის მეთაურობით.

გერმანელთ შეტყვა დაიწყო 1942 წლის 8 მაისს, 04:15 საათზე. საპატრო დარტყმების შედეგად 51-ე არმიის დიდი ნაწილი განადგურდა. დაიღუპა არმიის მეთაური, გენერალი ვლადიმირ ლვოვი. ჩრდილოეთის მიმართულებით გერმანელებმა ცრუ მანევრი მოაწევეს, მთავარი დარტყმა კი საბჭოთა ნაწილებს სამხრეთის (ნაკლებად დაცული) მიმართულებიდან მიაყენეს. შედეგად, თითქმის ორკვირიანი ბრძოლის შედეგს, საბჭოთა ჯარები ქერჩის სრუტესთან მოიმწევდიეს. გერმანულმა აეიაციამ გაანადგურა არა მხოლოდ საბჭოთა ჯარი, არამედ დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია საბჭოთა ნაწილების დანებება და

**აჯიმუშკაის
მემორიალური
მუზეუმი**



ფირიძელი პარტიზანები



ერთ-ერთი შესასვლელი აჯიმუშკაის კატაკომბებში



20 მაისს ქერჩი დაეცა. გერმანელებმა ქალაქი დაიკავეს.

საბჭოთა ჯარების ნაწილმა შეძლო ვაკუაცია ტამანის ნახევარკუნძულზე, ხოლო 162 282 კაცი, რომელთაც ვერ მოახერხეს ვაკუირება, დაიღუპა. ნაწილი კი ტყვედ ჩავარდა. თავად გერმანელთა მტკიცებით, მათ ქერჩის აღქის შემდგომ 170 000 სამხედრო ტყვე აიყვანეს, თუმცა, როგორც ცნობილია, ტყვეთა შორის დიდი რაოდენობით იყო ქერჩის მშვიდობიანი მოსახლეობაც. გერმანელებმა დაკარგეს დაახლოებით 4 ათასი კაცი და შედარებით უმნიშვნელო სამხედრო ტექნიკა, მაშინ როცა ვერმახტის ნაწილებმა შეძლეს სამი რუსული (44-ე, 47-ე და 51-ე) არმიის გნადგურება.

აჯიმუშკაის ქვის სამტებლოები

გერმანელთა მიერ ქალაქ ქერჩის აღების შემდგვ, როცა საბჭოთა ჯარების ნაწილი ტამანზე გადავიდა, ქერჩზე დაახლოებით 10 ათასამდე ჯარისკაცი დარჩა, რომელთაც მთავარი ნაწილები ვაკუაციისას უნდა დაეცვათ. ნახევარკუნძულზე დარჩენილ სამხედრო ნაწილებს, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ქალაქ ქერჩის ახლოს მდებარე აჯიმუშკაის ქვის სამტებლოებისთვის მოუწიათ თავის შეფარებამ.

ქვის სამტებლოების გვირაბებში თავშეფარებულ ნაწილებს ხელმძღვანელობდნენ პოლკოვნიკი პაველ მაქსიმოვიჩ იაგუნოვი, ბატალიონის უფროსი კომისარი ივან პავლოვიჩ პარახინი, უფროსი ლეიტენანტი მიქაელ გრიგორიევიჩ პოვაჟნი და სხვ. გერმანელებმა სამტებლოები რკინის მავიულხლართებით შემოღებს და დაიწყეს ძირითადი შესასვლელების აფეთქება და მათი ჩახერგვა. წყლისა და პაერის ნაკლებობის მიუხედავად, აჯიმუშკაის ქვის სამტებლოებს შეფარებული მებრძოლები მოწინააღმდეგეს მედგრად ებრძოდნენ. ამ ბრძოლებში სამხედროებთან ერთად ქალაქ ქერჩის მრავალი მოქალაქე დაღუპა. საბოლოოდ, აჯიმუშკაის ქვის სამტებლოები 1943 წლის ნოემბერში გაათავისუფლა საბჭოთა 56-ე არმიამ.

1966 წელს შეიქმნა აჯიმუშკაის ქვის სამტებლოების თავდაცვის მუზეუმი, ხოლო 1982 წელს ქალაქ აჯიმუშკაიში ქვის სამტებლოების გმირთა მემორიალი გაიხსნა.

კახაბერ შალიჩავა

უსმითოთ „ისტორიანს“ რაზიონ პალიტრის ეთარზი

საქართველოსა
და მსოფლიოს
ისტორიის ნაცნობი
და უსნობი ფაკტები,
პიროვნებები,
მოვლენები-ახალი
კუთხით!

თომაშვილი
ავტორი და წევავადი
ჯავა სამუშაო

ჩვენთვის ტაგუაზე უძინ თავისი არ არსა მოასე



უსმითოთ!
FM 103.9

www.palitratv.ge

უყარეთ!



ყოველ სამაგათს
16.00 სთ-ზე
გადაღებით კვირას
17.00 სთ-ზე



ომარი

1050

წლისასაცავი

წმინდათ ნათლისმცემელო, 1050 წლის შემდეგ, ხარება დღეს ისევ შემოგთხოვთ, მეოთხ და მგარეველ ყვავ...
1050 წლის უკან, ხარება დღეს, 25 მარტს

963 წელსა, კურთხეულა ოშეის ეკლესიის შენება: დაკიწვეთ ეკლესიათა ქრონიკას: ოპგ: — მარტსა: (ე) დღეს ხარებას.

განა დამთხვევა იყო ოშეის შენების დაწყება ხარება დღეს?

ქართლის ცხოვრების თანახმად, 25 მარტს, ანუ ხარება დღეს, ახალი აღთქმის დაწყების დღესასწაულზე იჭრება „ხე ერთი მარტო, მდგომარეო კლდესა ზედა“ და მისგან იქმნება ახალი სახე ჰემპარიტი სიცოცხლის ხისა, ანუ ჯვარი. ჯვარი, რომელიც წმინდა ნინომ აღმართა მცხეთას და რომლის სანაწილედ და ბუდედ აშენდა მოგვიანებით ჯვრის ტაძრი (ა. ოქროპირიძე, „მცხეთის ჯვრის ტაძრის შინაარსისათვის“, რწმენა და ცოდნა 1(11) 2003: 34-37).

ოშეის ქტიოტორებმა 963 წლის ხარება დღეს, წარმატებით მთაბერეს ახალი სიცოცხლე ეპოქას, რომელიც წმინდა ნინოს მიერ დამკვიდრებულ ფასეულობებზე დადგა და ქართლს მოშორებულ ტაოს მთებში აღმართული ჯვრის სახის ეკლესია ქართული ეკლესიისა და მისი პატრონებისთვის საქრის-


ოშეი, სამხრეთ კარის ტიმპანის ქვა

ტიანოს გუშაგად დგომის კიდვე ერთ გაცხადებად იქცა.

ქ(რისტი)ე ძ(ე)ო ღ(მრღდი)ს(ა)ო აღ(ი)ღ(ე)ნ
მ(ე)ფ(ე)ნი ჩ(უენ)ნი მო(ნა)ნი შ(ე)ნი
ბ(ა)გრ(ა)ტ და ღ(ავი)თ ორს(ა)ვე
ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)სა, წ(მიდა)ო
ნ(ა)თლასმც(ემე)ლო მეოთ და მფ(ა)რვ(ე)ლ
ჯ(ა)ვ...

მთავარი ტაძრის სამხრეთ შესასელელის თავზე წითელი სინგურით შესრულებული ასომთავრული წარწერა გვამცნობს: ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელზე კურთხეულა, ქტიოტორნი ყოფილან მევენი ჩვენნი დავით (მომავალში დავით III კურაპალატი) და მისი მმა ბაგრატი, მშენებლობის ზედამხედველობა გრიგოლისთვის მიუნდვიათ, ყოველწლიურად 5000 ფისხის ღვინი გაუციათ და 250 გრივი ხორბალი გაუხარჯავთ, 50 ლიტრი რინია დასჭირებიათ და ყოველწლიური ხარჯი 20.000 დრამა ყოფილა. მუდმივად 50 გალატოზს, მშენებლსა და მჭედელს უმუშავია, სულ კი 80 კაცი მუშაობდა, ქვას 30 ხარი ეზიდებოდა, 30 იყო გრიგოლემინდიდან სპონდაკის ქვის მომტანიო... მშენებლობა ათი წელიწადს გრძელდებოდა.

თოთქმის ათი წელიწადია, რაც ოშეის გადასარჩენი კამპანია დაიწყო. საქართველოსა





ხედი აღმოსავლეთის მხრიდან

**ხედი ჩრდილო-დასავლეთის მთის ფერდიდან, კახა
ხიმშიაშვილის ფოტო**



და ოურქეთის მთავრობების შორის რამდენჯერ-
მე გაიმართა მოლაპარაკება, ოშკი ძეგლთა
დაცვის მსოფლიო ფონდის (WMF Watch List)
2012-2013 წლების სახედმხედველო სიაშია.

ოშკის მდგომარეობა რომ საგანგაშოა,
არახალია. უკვე ყველამ იცის, რომ მისი გუმ-
ბათის დაჭური კონსტრუქცია გარღვეულია.
ძეგლთა დაცვის მსოფლიო ფონდის წარმოგ-
ზავნილი საერთაშორისო ექსპერტების — სე-
ისმოლოგ პ. გაგრილოვიჩისა და ინჟინერ-კონ-
სტრუქტორ ს. კელის წინასწარი დაკვირვებით,
შენობის მდგრადობა შერყეულია დროთა გან-
მავლობაში მიმდინარე გრუნტის გამორეცხვის
შედეგად. გუმბათის დაქცვების საშიშროების
გარდა, არის საფრთხე, შენობა ოთხად გადა-
იშალოს. დაკვირვებულ თვალს ალბათ კარ-
გად ქსომება, რომ გახსნილია როგორც აფ-
სიდების კედლები, ასევე დასაცლეთი მკლავის
სამხრეთ-დასავლეთ შეერთების კიდე. უაღრე-
სად მაღალი ხარისხის დუღაბისა და უნიკა-
ლური სეისმური მდგრადობის მქონე კონ-
სტრუქციის წყალობით, ოშკმა დროს გაუძლო,
მაგრამ ახლა მას საფრთხეს გამორეცხილი
გრუნტი უქმნის.


2012 წელს ოურქეთის რესპუბლიკის ერ-
ზერუმის ვილაიეთის არქიტექტურისა და გე-
ოდეზიის სამსახურის მიერ გამოცხადებული
ტექნიკით შეირჩა ფირმა, რომელიც ოშკის
სამონასტრო კომპლექსის ყველა ნაგებობის
სკანირებას, კვლევასა და პროექტირებას
ახორციელებს. სანამ სარეაბილიტაციო სამუ-
შაოები დაწყება და პროექტი საბოლოოდ ჩა-
მოყალიბდება, ქართველი და ოურქი ექსპერ-
ტები უნდა შეთანხმდნენ, რა მასშტაბისა და
შინაარსის იქნება ქართველ ექსპერტთა მო-
ნაციონალობა.

ოშკის მონასტრები თურქეთის ჩრდილო-
აღმოსავლეთ პროვინციაში, სოფელ ჩამლია-
მაჩის ცენტრში მდებარეობს. გარდა საკუთ-
რივ დიდი ეკლესიისა, შემორჩენილია რამდე-
ნიმე სამონასტრო ნაგებობა, მათ შორის დი-
დი სამნავიანი შენობა და მასზე მიღმული
გუმბათიანი კვადრატი, სატრაპეზო და სკრიპ-
ტორიუმი, შესაძლებელია სამზარეულოც. ეს
შენობები დიდად დაზიანებულია, სახურავები
ჩამონგრუებული და ნახევრად მიწითა დაფარუ-
ლი. მოშორებითა ორი დარბაზული ეკლესია,
რომლებიც საწყობებად გადაუკეთებიათ ად-
გილობრივებს.

ოშკის მონასტერი XVII საუკუნეებდე მოქმედებდა, ხოლო XIX საუკუნიდან XX საუკუნის სამოცდაათიანი წლების ჩათვლით, მთავარი ტაძრის სამხრეთის მკლავში მეჩეთი იყო განთვალისწილებული. მეჩეთის არსებობაზ ნაწილობრივ დაიცვა კიდევ ოშკის ტაძარი.

იოანე ნაიოლისმცემლის სახელობის ეკლესია თავისი დროის ყველაზე დიდ ნაგებობაა. გუმბათის სიმაღლე 36 მეტრია, ტაძრის სიგრძე — 43, სიგანე კი 28 მეტრი. შენობა საგანგებოდ მოსწორებულ სამკუთხა ბაქანზე დგას. გზა მას სამხრეთიდან უდგება და ტაძარიც მთელი სიდიადითა და შშვენებით იშლება მნახელის თვალწინ. ნაშენია ყვითელი ქვიშაქვით დუღაბზე. კველა ფასადი და კონსტრუქციული დეტალი მოპირეობით უძველესია კარგად ნათლი ქვის კვადრუბით, რომლებიც სწორ მწკრივებად ლაგდება. შედარებით მცირე ზომის უხეშად დამუშავებული ქვის კვადრუბი გამოიყენება დანარჩენი კედლების მოსაპირეობლად. იატაკზე დიდი ზომის ქვის ფილები იყო დაგებული, რაც 1917 წლის ფოტოებზე ჩანს. გუმბათის კონუსი გადახურულია მოჭიქული კრამიტით, ხოლო სხვა კველა სახურავი — ქვის ლორთინებით.

ოშკი, გვერდი, კ გრუმელაშვილის ანაზომი



ოშკის სამი აფისიდის მოხატულობიდან მხოლოდ მცირედი ფრაგმენტება შემორჩენილი. მათგან კი განსაკუთრებულ ყურადღებას ბანას ტაძრის გამოსახულება იმსახურებს, რომელიც სამხრეთი აფისიდის კედელზე ბაგრატ IV-ისა და რომანის არგიროსის დისტულის, დედოფლების ელენეს ბანაში ქორწილის სცენა გამოისახება, როცა ბიზანტიიდან შზით გად მოტანილ ძელიცხოვლის ნაწილის მობრძანებას ტაო ეგებებოდა.

ოშკის ინტერიერში მიწის დონე საგრძნობლად წეულია, რაც დასავლეთი მკლავის კამარისა და აღმოსავლეთი კონქის ჩამოქცევითა გამოწვეულია. ექსტერიერში კი ჩრდილოეთ ფერდობიდან ჩამონაცარ მიწას კედლები რამდენიმე მეტრით მიწით დაუფარავს. აღმოსავლეთ ფასადზე მიღგმული სამეურნეო ნაგებობები 2007 წელს მოშალეს და ფასადი სრულყოფილად გამოაჩინეს, თუმცა კი უცნობია, რა არქეოლოგიური მასალა გადავიცა ამ გაწმენდით სამშაოებს. ადგილობრივ მმართველობა სანაქებოდ უნდა თიქეას, რომ ტაძარს დასავლეთიც მოაშორეს თანამედროვე მინაშენებიც.

დროისა და ბუნების ზემოქმედების გარდა, ტაძრის დაზიანებას ხშირად ადამიანებიც



1917 წლის ექსპლიციის წერტილი ი. შდანუაში და
ლ. გურამებილი ოშკის ფრესკების ასლების
შესრულებისას.



აბხიდის ის ნაწილი, რომელზეც ჯერ კიდევ 1917
წელს კარგად განირჩოდა ფრესკები

ოშკი, ინტერიერი, გარჯვნივ ჩაშენებული მეჩეთია. დედიდ უინფილდის ფოტო, 1960-იანი წლები. კონკრეტული დაბლიუოფების საკუთრება



„ახერხებდნენ“. მაგალითად, რუსეთ-ოურქეთის ომის დროს სამხრეთის ფასადის რელიეფი ჯარისკაცთა სამიზნე ყოფილა; ჩვენ თვალწინ, ამ ათი წელიწადის განმავლობაში დაიკარგა ჯერ ღვთისმშობლის, შემდეგ კი ქრისტეს ქანდაკებები ვედრების კომპოზიციიდან, ასევე გაქრა მცირე ვედრება და წმინდა ნინოს გამოსახულება რგანახნაგა სკეტიდან...

იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის შენობა ჯვარგუმბათოვნია, ტიპოლოგიურად ეს ტრიკონქია, როცა სამი მკლავი (აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის) აფსიდური დაბოლოებისაა, დასავლეთი მკლავი კი სწორკუთხაა და საკმაოდ გრძელიც (გრძელდასავლეთი მკლავები ტაო-კლარჯეთის არქიტექტურისთვისაა დამახასიათებელი). ჯვრის გადაკეთა გუმბათით გვირგვინდება, რომელიც ოთხ მასიურ ბურჯს ჟერდნობა. ოთხივე ბურჯი მასიურ ბაზისებზე დგას აღმოსავლეთისკენ ნიშებით, რაც ასევე ტაო-კლარჯეთის სკოდისთვისაა დამახასიათებელი. წრიული ფორმის გუმბათის ეკლესი 12 სარკმელია გაჭრილი.

ტაძარი საკმაოდ როტული აგებულებისაა, მისი შიდა სივრცე მრავალმხრივ დატვირთუ-

ლია. გუმბათის საბჯენად ბურჯების აღმართვით ოშეიას არქიტექტორმა ტაძრის შიდა სივრცე გაზარდა, ასევე შექმნა მთაგარი, კარგად ხილული და მის მიღმა არსებული მეორეხარისხოვნი სივრცეები. ამასთან ერთად, საფეხურებად დაწყობილი სხვადასხვა ფორმის სკეტები თუ ნახევარსკეტები, ოდნავ შეისრული დიდი და ნახევარწრიული მცირე თაღების ფორმები, არათანაბარი განათების სისტემა, ქვის დამუშავებისა და სამშენებლო ხარისხის მონაცელეობა და მკვეთრად გამოხატული ასო-მეტრიულობა მნახევლზე თაებრუდამხვევი ეფექტით მოქმედებს.

გუმბათის ბურჯებზე აღმართვის პრაქტიკა საქართველოში ჯერ კიდევ VII საუკუნის წრომის ტაძრიდან იწყება. წრომი ე.წ. ჩახაზული ჯვრის ტიპისაა, რაც მოცულობის კვადრატულ სივრცეში მოქცეული გულისხმობს. ოშეკის შექნებელმა კი სწორკუთხა კედლების ნაცვლად მკლავები აფსიდებით გააფართოვა და აძლენდ საფუძველი ჩაუყარა ახალ არქიტექტურულ ფორმას, რომლის ვრცელი და მასშტაბები შიდა სივრცე იდეალური აღმოჩნდა როგორც დიდი სამონასტრო ეკლესიის, ისე კა-

ოშეკის ტაძარი, 2012 წ.



თედრალების სოვისაც. ოშეის მიხედვით აშენდა ბაგრატის ტაძარი და ალავრიდა, ოშეის გეგ-მარების თანამედროვე ინტერპრეტაციას წარ-მოადგენს სამების კათედრალი(3).

მაგრამ მხოლოდ საქართველო როდი იყო
ოშკის არქიტექტურული ტიპის გამოცდისა და
გავრცელების არეალი.

არქიტექტურის თვალსაზრისით, ათონის ივერთა მონასტრის კათოლიკონი საერთო ათონური წრის ძეგლთა რიცხვში დგას, მაგრამ დიდი ლავრისგან განსხვავბით, გუმბათის დამჭურად მოხდენილი სვეტები გვევლინება, რამაც უპირატესობა მიანიჭა ივირონს შიდა სივრცის გაფართოების თვალსაზრისით. როცა ათონზე ვატოპედისა და ივერთა მონასტრები ფუნქციებიდა, ტაოს სამეფოში უკვე დიდი ხნის განსაზღვრული იყო ბურჯვებზე დაფუძნებული გუმბათიანი ტრიკონქის ფორმები, და შემთხვევითი როდა, რომ ორივე ტაძრის ქათოლიკორებად ტაოს მმართველი დავით კურაპალატი და ქართველთა და ბიზანტიის სამეფო კარზე პატივდებული თორნიკე პატრიკი გვივლინებიან. „ოშეის სამოთხის“ ხელნაწერის მინაწერებით ცნობილია, რომ დავით კურაპალატისა და თორნიკეს ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე გადაწყვდა ქართველთა მონასტრის აშენება ათონზე 979 წელს მოპოვებული განხითა და აღაფით, რომელიც დავით მეფემ და თორნიკე ბარდა სკლიაროსის დამარცხებისთვის მიიღებს. უნდა ვიგარაუდოთ, რომ ოშეის არქიტექტურული კომპოზიცია ათონზე სწორედ ტაოს გაძოცდილებით განხორციელდა, ხოლო ათონიდან იგი გვირცელდა საბერძნეთსა და მთელ ბალკანუმში.

ოშეის ტაძრის გარე მასებში ასევე ნათლად ისახება ჯვრის ფორმა, რომელიც მკლავების სხვადასხვა დონეზე გადახურვთ იკვეთება. სამ ფასადს უწყვეტი თაღნარი აქ ჭიბს, ქართული

ოშკის სკოლების დეკორი

არქიტექტურისთვის ასე ჩვეული ფორმა სწორები რედ იშვიათან იმკვიდრებს ადგილს. უწყვეტი თაღედი აძვინს გუმბათის ყელსაც. შეწყვილებულ გრძებით ნახევარპილასტრუბზე 24 თაღია გადაყვანილი, კაპიტელებზე ერთმანეთს ენაცვლება ფიგურული თუ ორნამენტული კომპოზიციები ქრისტიანული იკონოგრაფიიდან.

ალბათ როგორი იქნება მეორე ეკლესიის
დასახელება, რომელიც ასე უხვად იყოს შემ-
კალი რელიეფებითა თუ ქვაზე კვეთილი ორ-
ნამენტებით.

ქვაზე კვეთის მოყლი გალურება თავშორი-
ლი სამხრეთ-დასავლეთ ნარტექსში (ტაძრის
შესასვლელი სათავის, აკადემიური დასავლეთის მხა-
რეს და განკუთხვილია მათთვეს, ვისაც მღლოც-
ველთა მთავარ სადგომში შესვლის უფლება არ
აქვს). მისი სამხრეთი კედელი ოთხი თაღითავინი
ღიობითაა გახსნილი და ორ რიგად დალაგე-
ბული განსხვავებული ჭრილისა და განსხვავე-
ბული ფორმის ორნამენტულებულ სვეტებზეა
დამტკარებული. მათგან გამორჩეულია რვწახ-
ნაგა სეეტი, დაფარული ძარღვინი მცენარეუ-
ლი ორნამენტით, რომლის ხლართებშიც სხვა-
დასხვა ფიგურა ან ფიგურული კომპოზიცია
ჯდება. რვწახნაგა სეეტზე იყო მოთავსებული
შეა საუკუნეების ქანდაკების ერთ-ერთი გამორ-
ჩებული ნიმუში — ვერდობის კომპოზიცია, რო-
მელასაც უკავშირდებოდა გრიგოლ ოშკვლის
გამოსახულება, ძვირფას ხალათში გამოწყო-
ბილი ოშკის შტენბლობის ზედამხედველისა.
ვერდობის ორსავ მხარეს გამოკვეთილია ორი
პორტრეტი სირიელი წმინდანების — კოზმა და
დამიანესა. კოზმას თავი ექვთიმე თაყაიშვილს
სოფელში უპოვა და დღეს ის საქართველოს
ხელონგების მუზეუმშია დაცული.

კელრების ამ კონკრეტულიციის გეგერდით იყო
გამოკვეთილი წმინდა ნინო, ორანტის პოზა-
ში (როცა წმინდანი გამოისახება მთელი ტა-



ნით, ხელებაპყრობილი სახემდე, ხელისგულებით მაყურებლასაკენ), ქართველთა განმანათლებელი ქალწულის ჩვენთვის ცნობილი უაღრესი გამოსახულება.

რვაწახნაგა სვეტის კაპიტელი უხვად არის შემჯელი ანგელოზთა, ქერუბიმთა და ტეტრამორფებით (თიხი მახარებლის სიმბოლური გამოსახულება). ამ სვეტის სიმბოლური მნიშვნელობა მას ზემოთ მოთავსებული ფიგურით მეღანდება. ედლების პირის ზემოთ სიმეონ მესვეტეა ორანტის პოზაში, სიცოცხლეშივე კულტად ქცეული სირიელი ბერი. ანტიოქიის ეკლესია და სირიული ასკეტური მონასტირიზმი VI საუკუნიდან მოყოლებული (როცა 13 ასურელი მამა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განმარტოვდა და იმავდროულად, განივრცო), დიდი პოპულარობით სარგებლობდა. როგორც ცნობილია, ქართველები ფლობდნენ კიდევ ეკლესიას სიმეონ მესვეტის მონასტერში, რომელიც მესვეტემ დედის, მართას სახელზე ააგების და რომელიც ალბათ შემთხვეოთაბა არ არის და ტრიკონექის ტიპისა იყო.

სიმეონ მესვეტის მეორე გამოსახულება დასავალეთის ფასადზე, შეწყვილებული სარკმლის თავზეა. ეს კომპოზიცია მსგავსია ხასულის სამხრეთ ფასადის კომპოზიციისა, იმ განსხვავებით, რომ იქ არწივია გამოსახული.

ტაო-კლარჯეთის სკოლაში, ოშკსა და ხასულში აღდგა მონუმენტური ქანდაკება, რომლის ტრადიციაც მცხეთის ჯვრის რელიეფებიდან მომდინარეობდა. ბიზანტიური მცირებლასტიკა სპილოს ძვლის რელიეფების სახით ერთგვარ ნიმუშსაც წარმოადგენდა ქართველი ოსტატებისთვის. მაგრამ მონუმენტური საფასადო ქანდაკება უცხო იყო თავად რომაულ ტრადიციებზე აღმოცენებული ბიზანტიისთვისაც კი. ოშკში კი X საუკუნის შუა წლებში ადამიანის სიმაღლის ქანდაკება ჩნდება. ის წინ უსწრებს, სულ ცოტა, ერთი საუკუნით მაინც, გვროკულ რომანულ ქანდაკებას.

არქიტექტურა უტყუარი სარგეა ქვეყნის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობისა.

ოშკის არქიტექტურაში არა მხოლოდ განასახიერა თავისი ეპოქა, არამედ შექმნა ახალი რეალობაც.

1050 წლის თავზე მისი რეაბილიტაციის პროცესი ისევ ისტორიულ რეალობას უნდა ასახვდეს, როგორია ეს რეალობა, ამას მომავალი ისტორიანი მოყვებიან.

ინიც გოვიაზვილი



კლდერების კომპოზიცია რვაწახნაგა სვეტიდან, ამჟამად განადგურებულია

ჩუქურთმა ოშკის ტაძრის კარიბჭეზე





ჩამოსახული კერა საჯალაპო სახლი

მინისაქართველო თბილისის თავზე, აც რა აკაშირებს ღია ცის ძველ მუზეუმსა და მეგრული სამუზეულოს მოყვარულებს....

დღესასივის შეკედურ სკანსენში XVIII-XX
საუკუნეების 150-ზე მეტი სახლ-კარია ქვეყნის
ყველა კუთხიდან. მათში შემონახულია იმ კუთ-
ხებისთვის დამახასიათებელი ისტორიულ-ეთ-
ნოგრაფიული ნიშან-თვის სებები; ნაჩვენებია,
როგორც ცხოვრობდებნენ სხვადასხვა სოციალუ-
რი ფენის წარმომადგენლები, როგორიც ავაჯი
პქნიდათ, რა ეცვათ და სხვ. აქვეა მინისამზეცე
როგორც გარეული მხეცებით, ასევე შინაური
ცხოველებით. სკანსენში ყოველწლიურად იმარ-
თება მრავალრიცხოვნი და მრავალთეროვნი

დღესასწაულები, რაც ღია ცის ქვეშ მუზეუმის
დიდ პოულარობაზე მეტყველებს.

შევდეთიდან სკანსენმა ნორვეგიასა და ვ-
როპის სხვა ქვეყნებში გადაინაცვლა. საქარ-
თველოში კი გასული საუკუნის 60-იან წლებ-
ში „შემოაღწია“.

როგორც ქართული დია ცის ქვეშ მუზეუმის დამარასხებელი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია წერდა, მისი მახანი „საქართველოს ბუნებასთან შეუწყმული განუმეორებელი ხუროთმოძღვრული ანსამბლების, ხალხის მიერ შექმნილი მატერიალური და სამეურნეო ფასეულობების ჩევნება იყო“. როგორ შეძლო ეს სახელგანთქმულმა ეთნოლოგმა და საზოგადო მოღვაწემ, ამაზე მეტყველებს 52 ჰეტტარზე „განთავსებული“ მინისაქართველო, რომელიც კუს ტბის მიმდევარ ქედის ჩრდილოეთი ფერდობიდან გადმოჰყურებს ობილისს (მუზეუმი მოული ათი წლის განმავლობაში იქმნებოდა და 1976 წლის გაიხსნა).

სოფელი ონცოფო და დავითაიშვილის სახლი

მდინარეების ნოდელასა და აბაშისწყალს შორის მდებარეობს სამურელოს ერთ-ერთი ლამაზი და ღონიერი სოფელი ონცოფო, საიდანაც 1976 წელს გადმოიტანეს ეთნოგრაფიულ მუზეუმი დაკითაების ოჯახის საჯალაბო სახლი (ფოტოზე მარცხნივ). ამგვარ სახლს გოდორას ან პიტაფიცარს უწოდებდნენ, რადგანაც აგებულია ნაჯახით გათლილი მოკლე, განიერი ფიცრით. საძირკველი ქვისაა, კედლები — წაბლის ხის. ყავრით გადახურვა ოქანობიანია, ხის ნივნივებზე.

სახლის ფართობი 80 კვმ-ია, სწორკუთხია, საფასადო მხარეს შეფიცრული იატაკით და ოთხსვეტანი აივნით ჭვირულ მოაჯირს ხის სკამი გასდევს. აფნის თახე-სხვენის გახსნილი ფასადი საბძლის დანიშნულებით გამოიყენებოდა. საფასადო მხარეს სახლს აქვს წინა კარი, ხოლო მოპირდაპირე მხარეს — უკანა კარი, რომლითაც ეზოში გაფლგართ. იგი ერთი, უფანჯრო ოთახისგან შედგება თიხატკებნილი იატაკით, რომლის ცენტრშია კერა შუაცეცხლით. მოექმ მარჯვენა კედელთან ერთი უზარმაზარი ტახტია, უფრო სწორად, ერთმანეთზე გადაბმული მრავალი ტახტი ერთი დიდი ოჯახის 3-4 თაობისთვის...

მას შემდეგ, რაც დაკითაების ახალი ოდასახლი აუშენებიათ, ძველ საჯალაბო სახლს სამზადის ფუნქცია შეუძლია. მოგვიანებით კი იგი მუზეუმმა შეიძინა, დაშალა და ხელახლა ააშენა ზუსტად იმ სახით, როგორითაც ონცოფოში იდგა.

დავით ქაჯაიასა და მიხეილ როსტომაშვილის ფოტოები

ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ ერთადერთია მთელ კაუკასიაში, ლანდშატტითა და გეოგრაფიული მდებარეობით კი მსოფლიოს ანალოგიური მუზეუმებისგანაც გამოირჩევა. მისი პარტნიორია სწორედ შევდეური სკნისენი და მაიჰაუგენის (ნორვეგია) მუზეუმი.

მრავალი „გულშემატკიფარი“ შეიძინა სამუზეუმო პროექტმა „ჩაუმქრალი კერა საჯალაბო სახლში“. მათი ერთი ნწილი მეგრული სამზარეულოს მოყვარულიცაა. რა აკავშირებს ღია ცის ქვეშ მუზეუმსა და მეგრული სამზარეულოს მოყვარულებს, როგორც ცოცხლდება ისტორია საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოტანილ 70-მდე საცხოვრებელი კომპლექსიდან ერთ-ერთში — მეგრულ საჯალაბო სახლში და კიდევ რომელი სახლის საკვამურიდან ამოვა ბოლო უახლოეს მომავალში, ამის შესახებ ვესაუბრებით დაეთი ქავაიას, გორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ადმინისტრაციულ მენეჯერს.

— რა შემატა პროექტმა „გაცოცხლებული ისტორია“ ღია ცის ქვეშ მუზეუმსა და დამთვალიერებელს?

დავით ქაჯაია: პროექტმა საშუალება მოგვცა, მუზეუმში გაგვიცოცხლებანა XIX საუკუნის სამუზელოს ოჯახი





— 2007 წლიდან, გასული წლის ჩათვლით, ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერითა და ამავე ქვეყნის ქალაქ ლილეპამერის მაიპაუგენის ბუზეუმთან თანაშრომლობით იუნესკოსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთობლივი პროექტი მიმდინარეობდა. ბოლო ფაზაში მოწყვეტი ხალხური რეწვის საზაფხულო სკოლა, აშენდა ახალი საცავი, მომზადდა ჩის ნაკეთობათა კონსერვაციის სახელმძღვანელო... „მუდმივი გამოფენის მოწყობის“ კომპონენტი კი გულისხმობდა XIX საუკუნის მეგრული საჯალაბო სახლისა და კარ-მიდამოს აღორძინებას. მოწყვეტი საველე ექსპედიცია აბაშაში, სოფელ ონტოფოში, საიდნაც იწყება ამ სახლისა და ოვახის ისტორია.

ონტოფოს სახლის გასაცოცხლებლად სარეალურაციო სამუშაოები ჩავატარეთ, ყავრის სახურავიდან და მოწყვეტი ექსპედიცია მომდინარეობდა.

▲ საჯალაბო სახლთან კიზიტიორს ღომისა და სიმინდის მომცრო ყანაც ხედება...

◀ ღომის თვეები მნახველთა თვალწინ იცხვება

ლი ღობის რეაბილიტაციით დასრულებული, რაც პრაქტიკულად აღარც არსებობდა. კარ-მიდამოში, ეწ. შევ ეწოში შეფარჩიეთ სადემონსტრაციო მიწის ნაკვეთი, რომელზეც დაუთესეთ და მოვიყვანეთ სამეცნიელოს რევიონისთვის და-მახასიათებელი ძველი კულტურა ღომი, ასევე სიმინდი, ლობით. ამ დარღის სპეციალისტის, ქუნიერ-თანამშრომელ ინგრა მაისაიას დახმარებით, რომ იტყვიან, „უხევი მოსავალი“ მოვიწიეთ. სხვათა შორის, უკვე დაუიწყეთ საგაზაფხულო სამუშაოები, აღნიშნულ კულტურულ ძალამტება ძველი პარკისნები — ძაბა და მუხუდო, აგრეთვე ფეტვი, რისგანაც საქართველოში სიმინდის ძემოსხლამდე ძვრდს აცხობდნენ. ასე რომ, წლეულსაც გვექნება საშუალება, დროდადრო ღომის ღომიც მოიხარშოს გაცოცხლებულ სახლში და ფეტვის მჭდიდი გამოიცხეს...

— სახლის გაცოცხლების მთაგარ კომპონენტამდევც მივდივართ...

— სწორედ ახალშა პროექტმა მოგვცა საშუალება, მუზეუმში გაგვეცოცხლებინა XIX საუკუნის სამეცნიელოს ოჯახი. შარშან სექტემბრიდან „ჩაუმქრალი გერა საჯალაბო სახლში“ უჩვეულო სახით მასპინძლობს ვიზიტორს. ძველებური ეზო და კარ-მიდამო, განფენილი სამეცნეო ინვენტარით, ღომისა და სიმინდის მომცრო ყანით, ზამთარში თვის ზეინით, თავისი ღროის შესაფერისად არის მოწყვეტიანი გამოიცხეს...

ეობილი. ბექობზე შემომღერაი თეთრწვერა თხა პირველი ათვალიერებს მოსულებს, აქვე დეზებიანი მამალიც და ქოჩორა დედალიც (ნეტავ გენახათ, იმ დღეს როგორ გაიხარეს მუზეუმში სტუმრად მისულმა პატარებმა, როცა ქოჩორა დედალმა კვერცხი იქვე, თივის ზეინში დადო. — ს.შ.). ტრადიციული კისტიუმები აცვათ „მასპინძლებს“. კოპლებიანი გრძელი კაბა და თავსაფარი „დიასახლისს“, ხოლო ჩოხა-ახალუხი — „ოჯახის უფროსს“. ზაფხულობით არდადეგებზე მათი „შვილებიც“ უმასპინძლებენ დამთვალიერებლებს. მკვირცხლი დიასახლისი დიმილით ხვდება სტუმრებს ოჯახის უფროსთან ერთად სახლის ზღურბლითან, რომელთაც უამბობენ ამ სახლის ისტორიას, აცნობენ მის ყოველ კუთხე-აუზჭულს, ავეჯს, ინუნტარს. ამასობაში შუალეცხლზე ძველებურ ქვაბში იხარშება ღომი, ოჯინჯალზე იბოლება სულგუნი, ჟურსა და კედელზე ღომის თაველი და სიმინდის ტაროები პკიდია ნივრისა და წიწაკის ასხმულებთან. სურვილისამებრ ვიზიტიორს შეუძლია ღომისა და შებოლლილი სულგუნის გასინჯვაც. ამ პროცესით გამორჩეულად უცხოელები ხალისობენ (ღომის მოხარშვის „ცერემონიალი“ შაბათ-კვირას იმართება ხოლმე. — ს.შ.). როგორც მუზეუმის კურატორი, პროფესორი ნოდარ შოშიტაშვილი გვეუბნება, ჩვენი დიასახლისი ნამდვილ მეგრულ ღომს ხარშავს.



სტუმრებს უამბობენ სახლის ისტორიას, აცნობენ მის ყოველ კუთხე-კუნტულს, ინუნტარს, ავეჯს...





საჯაღაბო სახლის დიასახლისი ნინო მაჩაბერიძე ვიზიტორებს ტრადიციული მუზეუმი დომითა და სულფუნით უმასპინძლდება. სტუმრებს შორის ამჯერად „ისტორიანის“ წარმომადგენლებიც აღმოჩნდნენ...

— ახალგაზრდებს თუ იზიდაგთ გაცოცხლებულ კერასთან კოფნა?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან მოსწონთ ზოგიერთი სურვილსაც გამოთქვამს, დიასახლისს შემა დაუჩქოს, ცეცხლის დანობაში მიქმაროს. უფრო აქტიურები ღომისაც ზელენ ტრადიციული ხის ჩოგნით. თევზები და კოვზები ხისაა, რომლებიც საგანგებოდ ამ პროექტებისთვის დამზადა ხალხური რწევის ოსტატება. ერთი სიტყვით, ამ სახლში მოსულო ზოვაჯერ წასელა აღარ უნდათ ხოლმე, ისე მოსწონთ აქაურობა. როგორც ამ პროექტის კოორდინატორმა, აქვე შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის ჩვენი პირველი მოკრძალებული ნაბიჯი, რითაც ერთგარად ვემვანებით მუზეუმის დამფუძნებლის, ბატონი გიორგი ჩიტაას იდეის აღირდინებას. იმავდროულად ეს პასუხია თანამედროვეობის გამოწვევებზე, რომელთაც პასუხობს საქართველოს ეროვნული მუზეუმი, რომლის განუყოფელ და კოლორიტულ ნაწილს ქართული სკანსენი — ეთნოგრაფიული მუზეუმი და ცის ქვეშ წარმოადგენს.

— თქვენს ნორვეგიელ პარტნიორებზეც გაიმპეთ.

— დიახ, საქართველოს ეროვნული მუზეუმი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუციასა და ორგანიზაციებისთან, მათ შორის ლილექამერის მაიკაუგენის

დია ცის ქვეშ მუზეუმთან, რომლის მხარდაჭერითაც განხორციელდა იუნესკოსთან ერთობლივი, ზემოაღნიშვნული პროექტი. ამ მუზეუმის დირექტორის, ბატონ გაუტე ააკობსენის „უესტბუკის“ პირად გვერდზე რომ შევიდეთ, პირველ რიგში, ჩვენი მუზეუმისა და ნორვეგიელი ეთნოლოგის ქართველ კალეგებთან გადაღებულ უამრავ ფოტოს ნახავთ. ნორვეგიელებიც ხშირად ჩამოდიან ჩვენთან და ჩვენი სპეციალისტებიც მიემგზავრებიან ნორვეგიაში. ერთობლივმა თანამშრომლობამ, ვფიქრობ, ბევრი რამ შესძინა როგორც ქართველ, ასევე ნორვეგიელ ისტორიკოს-ეთნოლოგებსა და როგორც თვისი, ასევე უცხო ქვეყნების ისტორიით, კულტურითა და ტრადიციებით დაინტერესებულ ადამიანებს.

— სამომავლოდ რომელი სახლ-კარის გაცოცხლებას აპირებთ?

— დაგვემილი გვაქეს, კიდევ ორ სახლს მიკანიჭოთ ახალი სიცოცხლე. პირველი — საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და სკანსენის დია ცის ქვეშ მუზეუმის (შევდეთი) ერთობლივი პროექტით მოვაზდეთ აბაშის რაიონიდან გადმოტანილ ოდა და სამზადი სახლების რესტორაცია-გაცოცხლებას. პროექტის კოორდინატორი მერაბ მიქელაძე მენეჯერ მიხეილ გაფრინდაშვილთან ერთად უკვე მუშაობს ამ ახალ პროექტზე. მეორე კი გიორგი იწმინდის (კახეთის რეგიონი) გვირგვინანი, მართლაც უნიკალუ-

რი სახლისა და კარ-მიდამოს აღორძინებას ისახავს მიზნად. ეს პროექტი მუზეუმის კურატორის, პროფესიონალ თამილა ცაგარეუმვილის რეკომენდაციებით ხორციელდება. ამჯერად მიმდინარეობს სახლის თიხის გრუნტოვანი ბანის ტრადიციული წესით დამუშავება, ამ გზაზე ულაზე დაგევმილია ღობე-ყორის რესტავრაცია, ეზოში კი ქართული სათონის მოწყობა, სადაც შესაცემის სამოსში გამოწყობილი „მცხობელი-დიასახლის“ სტუმრებს წარმოუდგენს ქართული პერის ცხობის პროცესს, ხოლო ოჯახის უფროსი მოუთხრობს ამ სახლის შესახებ, იქნება ეს დედაბობის საკრალურობა, ღვინის კულტურა, გუთინის დაგენერირება სამეურნეო იარაღები (რომლის ფართო და მრავალფეროვანი „ასორტიმენტიცაა“ წარმოდგენილი ამ სახლის წინა ეზოში, გუთხიდან დაწყებული ხარის უდელ-აპეურებით დასრულებული. — ს.შ.). და ბუნებრივია, „ფინალი“ — სტუმარს აქვე, თონეში მათ თვალწინ გამომცხარი ტრადიციული ქართული პერიოდი და ყველით გავაუსაბიძლდებით. ყოველთვე ეს კი მთლიანობაში საშუალებას მოგვცემს, დამთვალიერებულს წარმოუდგინოთ დასავალეთ საქართველოს ყოფითი კულტურისან (ამ შემთხვევაში სამუშაველოსგან) განსხვავებული აღმოსავლეთ საქართველო (კახეთი) თვისი არქიტექტურით, ყოფა-ცხოვრების წესით, ტრადიციებით, კოსტიუმებით და სხვ. აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და მაღლობა მინდა გადაუხადო პროექტის ყველა მონაწილეს — როგორც ეროვნული მუზეუმის სპეციალისტებს, ასევე ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლებს.

— ხომ არ გვმავთ მუზეუმში მუდმივმოქმედ ან სეზონურ გამოფენას. ვთქვათ, ამგვარი სახის: „საოჯახო ნივთები ძეველ საქართველოში“, „ქართველი ხალხის სამეურნეო-ყოფითი ინკურტარი XIX-XX საუკუნეებში“, „როგორ ეცვათ ჩვენს წინაპრებს ერთი-ორი საუკუნის წინათ“...

— ცხადია, ამ და მსგავს თემებზე ინტენსიურად ვმუშაობთ. მართალია, ექსპოზიციაში, დახურულ თუ ღია სივრცეებში გამოიყენილია სხვადასხვა კოლექციის საინტერესო სამეურნეო და სხვა ნივთები, მაგრამ ვფიქრობთ, ეს არ არის საქმარისი. აუცილებელია თემატური გამოფენების მოწყობა, რათა ფონდსაცავში დაცულმა უნიკალურმა ექსპონატებმაც იხილონ დღის სინათლე და ახლებურად ამჟამენლინენ. ამისთვის, ბუნებრივია, გვჭირდება ახალი, და-



**ხალხური რეჭის
სახაფხულო
გაცემალებით
ბაჟვები
განსაკუთრებულად
ინტერესებით**



**მაიაუგენის (ნორჯვაი) მუზეუმის დაირქესტორ გაუტე
აკადემიური ნაბადიც ძალიან მოხიროვანი...**



მატებითი სივრცეების მოწყობა, ღია ცის ქვეშ შესაბამისი ადგილების შერჩევა, რათა ექსპოზიცია თანამედროვე სტანდარტებით წარმოგადინოთ იმასაც გეტეგვით, რომ მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებსა და არქიტექტურულ სამსახურთან ერთად თანდათანობით ვამუშავებთ ამ თემების მონახაზს. კანკარის მოლაპარაკებებს უცხოელ პარტნიორებსა და ჩვენი მუზეუმის მეჯობენებთან.

თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი უნდა გაქციოთ ნებისმიერი ვიზიტიორისთვის მიმზიდველ ადგილად, სადაც სუფთა ჰაერზე დასკვნების გარდა დაგხვდებათ არა მოღუმული სახლები და მეგდარი ნივთები, არამედ გაცოცხლებული ანტურაჟი, სადაც საშუალება გექნებათ, ახლებურად გაეცნოთ ჩვენი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას, ჩაერთოთ შემეცნებით-სახლისო პროგრამებში, უშუალოდ მიიღოთ მონაწილეობა ხალხური რეწვის პროცესში (მუზეუმის არაერთ დამთვალიერებელს ეძახსვერებს ბოლო დროს ძალიან პოპულარული შემეცნებითი ღონისძიები, როგორიცაა თავის თანამდებობის „ამოუკანა“ კურამიკის ქურასთან, პრეისტორიული ასპარეზობები, რომლის მონაწილენიც ერთმანეთს შევიღების სროლასა და ხის ტოტებითა თუ კაუის ქვით ცეცხლის ანთებაში ეჯიბრებაან. — ს.შ.).

— უურნალმა „ისტორიანის“, სხვათა შორის, არაერთხელ დაუთმო თავისი ფურცლები მუზეუმში მიმდინარე საინტერესო ღონისძიებებს — არტგენს, ღვინის ფესტივალს, ახალი ან რესტავრირებული სახლებისა თუ სამუზეურნეო ნაგებობების პრეზენტაციას...

— მინდა გითხრათ, რომ უურნალ „ისტორიანს“ მთელი ჩემი ოჯახი კითხულობს. იგი ჩემი 8 და 12 წლის ქალ-ვაჟისთვისაც საკმაოდ მიმზიდველი აღმოჩნდა. ვფიქრობ, ეს განპირობებულია უურნალის მოსახერხებელი ფორმატის, დიზაინისა და საინტერესოდ გადმოცემული თემების წყალობით. ვემზრობიცნიბილი ფრანგი მწერლის, მარსელ პრუსტის მოსახრებას წიგნზე (თუმცა ვფიქრობ, მიესადაგება სხვა შემცენებით საკითხავსაც), რომ თავისთვალი წიგნი შეიძლება დაუფასებელ ღირებულებად დარჩეს, თუ თავად მკითხევლში შინაგანად არ გამოიწვია მასში გადმოცემულ ფასეულობათა შესაბამისი ეკვივლენტების გაჩენა-განვითარება. შინაგანი სამყაროს სწორედ ამგვარ განვითარებას ვუსურვებ უურნალის მკითხველს, მეტადრე ახალგაზრდებს, თქვენ კი, როგორც ყოველივე ამის ხელშემწყობთ — მშვიდობასა და შემოქმედებით წინსცლას.

ესაურა სალომ შოშილაშვილი

**დედაბობი
კახურ
ერდოვანი-
გვინან
სახლში**



სამთავისის ტაძრის საიდუმლო



სეტების ღრუბელი სამთავისის თავზე
დავითგრიგორისა და გარე მაცხამას ფრანგი

XI საუკუნის პათადრილის იატაკის შემდეგ ასურელი წმინდა მამის საცლავი აღმოჩენის აღმოჩენი

ბოლო დროს სამთავისის ტაძრსა და მის შემოვარუნში მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებზე დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა. ერთინი არქეოლოგებს წინაპართა საფლავების ხელყოფაში ადანაშაულებდნენ, მეორენი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აკრიტიკულებდნენ, მესამენი ცდილობდნენ, რეალურად შეუფასებინათ შექმნილი ვითარება... ერთი სიტყვით, არქეოლოგიურ სამუშაოებს ჰყავდა (და ჰყავს) როგორც მომხრენი, ასევე მოწინააღმდეგენ.

უბედესი ტაძრის თავს „დატორიალებულ“ ბოლო წლების მოვლენათა შესახებ ვესაუბრებით სამთავისის კომპლექსური ექსპედიციის ხელმძღვანელს, ისტორიის დოქტორს, არქეოლოგ გორგო მახარაძეს.

— მოკლედ გვაიმპეო, რატომ გახდა აუცილებელი არქეოლოგიური სამუშაოები არა შხოლოდ ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, არამედ თვით ტაძრშიც?

— 2004 წელს სამთავისში დაიწყო მუშაობა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომლის შემადგენლობაშიც ჩემთან ერთად შედიან ის-

ტორიის დოქტორი დავით ბერიკაშვილი, ზელოვნებათმცოდნების დოქტორი გიორგი გაგოლეიძე, არქეოლოგი გორა ლომთაძე, არქიტექტორ-რესტავრატორი თენგიზ გაბუნია და არქიტექტორი გია სოსანიძე. იმ დროისთვის ტაძრის მთელი ქზო საკმაოდ ამაღლებულიყო, ხოლო თვით ძეგლი შუაში იყო მოქცეული და წვიმისა და თოვლის წყალს ტაძარი ლამის აევსო. ტექნიკის შემოყვანამდე და ტაძრისთვის „ზედმეტი მიწის“ შემოცლამდე, ბუნებრივია, საჭირო გახდა არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები. სადაზვერვო ტრან-

ქართული სატაძრო არქიტექტურის უძველესი

კასპის მახლობლად, სულ რაღაც 11 კილომეტრში, მდინარე ლეჩერის მარცხენა სანაპიროზე ასურელ მამა-თაგან ერთ-ერთის, ისიდორეს შემდგომში სამთავრელის მოღვაწეობის პერიოდის (VI საუკუნის) ეკლესია.

გადმოცემით, ეკლესიის აღმშენებლად ფხტანგ გორ-გასალი მოიხსნიერა, რომელსაც სიონის (თბილისი), წილკნის, ერთაწმინდისა და მეტენის ტაძრებთან ერთად სამთავისიც აუგია. ოთავ ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოხსენიებულია რომ ვახტანგ გორგასალმა „აღაშენა ოთხი ეკლესიანი: წილკნის, სამთავისის, მეტენის გაღმა მხარისა და რუისისა და ოდეს გაშინჯეს ეს ეკლესიები, მაშინ ხუროთმოძღვრებით და აღმშენებლობით უფრო აქეს სამთავისა და უწოდა ესრუთ სამთავ ეკლესიათა, ეს სამთავისი უმჯობესიათ და მუნიდგან წწლება სამთავისი“. ამ უძველესი ეკლესიის აშენების თარიღია 472 წელი.

X-XI საუკუნეებში სამთავისში აშენდა ტაძარი, რომლის შესახებ მხოლოდ გვიანდელი ხანის სიგელ-გუჯრუებშია მოხსენიებული. „ილარიონ სამთავნელმან აღვაშენე ტაძარი ესე...“ — ვკითხულობთ დასავლეთის კარს ზემოთ, აყვავებული ჯვრის გამოსახულების თავზე ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერაში, მეორევან კი საღილებულია ილარიონ სამთავნელ ეპისკოპოსის, ძე ვაჩე განჩაელისა, „რომელმან მარანი და საწნახელი აღაშენა“... ორივე წარწერაში მითითებულია თარიღებიც: სამთავისის ტაძარი ილარიონ ვაჩე განჩაელის ძე სამთავნელს აუგია 1030 წელს, ხოლო ოცი წლის შემდევ აღუშენებია მარანი და საწნახელი. აქვე, ტაძრის სხვადასხვა კედელზე ამოკვეთილი წარწერები იძაცაც გამოცნობს, რომ გიორგი III-ის მეფობისას (1156-1184) ოთავ სამთავნელს ტაძრისთვის კარიბჭე მიუდგამს.

მატიანეთა თანახმად, სამთავის XII-XIII საუკუნეებში ეკუთხოდა ჯერ ქართლის კათლიკოს მიქაელს, შემდევ მწიგნობაროუხუცეს ანტონ ეპისკოპოსს. გიორგი ბრწყინვალის მეფობისას (1318-1346) ტაძარი ზევდებინძე-ამილახვრებისთვის უბოძებიათ.

XV-XVI საუკუნეებში ძლიერ დაზიანებული ტაძარი აღწევებულ ამილახვრებს განუახლებიათ, უფრო სწორად, ხელახლა აღუშენებიათ დედა-შვილ გაიანე და სიაოშ ამილახვრებს.

მოგვიანებით, 1847 წელს სამთავისის კომპლექსშე მასშტაბური სარუსტავრაციო სამუშაოები განახორციელა იტალიელმა არქიტექტორმა ლიიპარდიმ. ამოშენდა სამხრეთის შესასვლელი, მოიხსნა დაზიანებული კარიბჭები, შეაკეთეს ლავაპარდები, ფასაღები, შეიღეს კედლები ინტერიერში და სხვ. აღსანიშნავია, რომ სამთავისის ტაძარი მიიჩნევა გენიალურ არქიტექტურულ შედევრად, მეტიც, იგი აღიარებულია ქართული ბაროკოს დასაწყისად...



ილარიონ სამთავნელი
ეპისკოპოსის, ქრისტიან ვაჩე
განჩაელის ძის წარწერა ბრწყინვალი
გადახურუს კრამიტზე



ბაზილიკის
ნაშთები

შები გამოცდილმა არქეოლოგმა, პროფესორ-მა იულინ გაგოშიძემ გაავლო. აღმოჩნდა, რომ მთელი ტერიტორია არქიტექტურული ძეგლებით იყო დატვირთული... ექსპედიცია უკვე ემზადებოდა სამუშაოების დასასრულებლად, მაგრამ სწორედ სეზონის მიწურულს მოხდა კველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მთავარი ტაძრის სამხრეთით მიწის მასივის მოხსნის შემდეგ გამოჩნდა საკმაოდ მძლავრი კედლების ნანგრევები, რომლებსაც შელესილობის კვალი ემჩნეოდა. დადგინდა, რომ აქ გამოვლენილი ნახევარწრიული მოყვანილობის კედლები შესაძლოა ძევლი ეკლესიის ნაშთები ყოფილიყო. ეს გახდლათ 2005 წელს. ამ წელსკე მოშხადდა სამთავისის ტაძრის შესწევლის, რესტრუქტურიზაცია-კონსერვაციისა და რეაბილიტაციის, ინფრასტრუქტურის მოწყობის შვიდწლიანი პროგრამა. თუმცა აღმოჩნდა იმდენად საინტერესო გამოდგა, გრაფიკს ვერ მივდიეთ.

— თუ არ ვცდები, ამ შერთვა გამორჩეული მაინც ბაზილიკაა. სად აღმოჩნდა ბაზილიკის ნაშთები და რა დადგინდა?

— ამ ბაზილიკამ პირველ რიგში იმით მიიქცა მკვლევართა ყურადღება, რომ როგორც დადგინდა, იგი მოქმედებდა ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის აგებამდე. სწორედ მისი ნაშთები აღმოჩნდა ეკლესიის სამხრეთით ისიც დადგინდა, რომ ჯვარგუმბათოვანი ეკლესია დგას ბაზილიკის ჩრდილოეთ კედელზე... ამ აღმოჩნდას ნაწილობრივ შეავსო ქრონოლოგიური მონაკვეთი XI საუკუნის ეკლესიასა და ასურელ მამათა მოღვაწეობის პერიოდს შორის. მთელი რიგი ნიშნებით, ბაზილიკა წინასწარულად თარიღდება VII საუკუნის ბოლო და VIII საუკუნის პირველი წლებით. ეს გახ-

სამთავისის კომპლექსური
ექსპედიციის წევრები:
მარც ხნიდან — გიორგი
მახარაძე, გიორგი გაგოშიძე,
გონი ლომთაძე, დავით
ბერიკაშვილი



კრამიტის ქვედა რიგი, სიცოცხლის ნის ფრაგმენტი



ბაზილიკის არტეფაქტები





XV საუკუნის მცირე კლესია რესტავრაციის შემდეგ

ლავთ საკათედრო ტაძარი ეპისკოპოსის ტახტის ადგილით. საყარაულოდ, უნდა ყოფილიყო უფრო ძეველი, VI საუკუნის ძეველიც, წმინდა მამების ცხოვრების თანახმად. ყურადღება მიეცია იმას, რომ ბაზილიკის ჩრდილოეთ კედელში ორი კარი იყო ჩატანებული, ანუ ერთი ნავი მთლიანად იყო მოქცეული XI საუკუნის ტაძრის სივრცეში...

— ბუნებრივია, აუცილებელი განდა გათხრების გაგრძელება, რამაც ამიღანებდის საფლავებთან მიიღვანათ...

— გათხრები უნდა გაგრძელებულიყო თვით XI საუკუნის ტაძრის სივრცეში. მაშინ დაიწყო ტაძრის ინტერიერის არქეოლოგიური შესწავლაც. რადგან წინაპართა საფლავების შეწუხება არ გვინდონდა, საღაზვერვო თხრილი იმ ადგილას მოშაადდა, სადაც საფლავები არ იყო. აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთზე ხელუხლებელი დაგეხვდა არა მხოლოდ XVIII-, XVII-, XVI-, არამედ XI საუკუნის იატაკები. როგორც ცნობილია, იტალიელ არქიტექტორ ლიპარდის XIX საუკუნის 50-იან წლებში მოზაიკური სსნარით მთლიანად დაუფარავს

XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის საფლავის ქვები. სავარაუდოდ, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან სამთავისი გახდა ამიღანებდის საგვარუელო საძალე და შესაბამისად, ეს ქვები მათი საფლავებისაა. ამ საფლავებიდან, ვისაც პატრონი ჰყავდა, წარწერები მოაშაფებინეს და იტალიელმა არქიტექტორმაც ამ სსნარში ჩააყოლებინა...

— თქვენ მოგიწიათ ამ საფლავების ამოთხრამ?

— არა. ჩვენ შევადგინეთ საფლავების რუკა, თითოეული საფლავი დაფიქსირდა ფოტოზე და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყეთ იატაკის აყრა. წარწერებიანი ფილები შევინახეთ და სამუშაოების დასრულების შემდეგ, როცა ახალი იატაკი დაიგება, თავთავის ადგილას რუკის მიხედვით დალაგდება. ბუნებრივია, ახალი იატაკი დაიგება თავდაპირებლ, XI საუკუნის ტაძრის დონეზე.

— მაგრამ თქვენ რამდენიმე ნეშტის ამოსევნებაც მოგიხდათ...

— დიახ... სამხრეთ ნაეში მუშაობისას მარ-

თოლაც მოგვიწია რამდენიმე ნეშტის ამოსვენებამ. ეს გახლდათ XIX საუკუნის საფლავები, რომელიც განთვესებული აღმოჩნდა პირდაპირ VI-VIII საუკუნეების ტაძრის კედლის თავზე. ცხადია, სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული ნეშტი თავის ადგილას დავაბრუნეთ.

— სანტიურქეთა, რას მააკვლიერთ ამ უძველესი ტაძრის ნაშენები შესწოლისას.

— დაკადგინეთ, რომ ტაძრის სამხრეთ ნავში, სადიაკენოში, მოთავსებული ყოფილა ასურელი წმინდა მამის საფლავი. ეს მთავარი სიწმინდე მოქცეულა როგორც ბაზილიკის, ასევე ჯვარგუმბათოვნი ეკლესიის სივრცეში. როცა ამ საფლავს მივაკვლიერ, იგი გახსნილი დაგვხვდა. სავარაუდოდ, წმინდა მამა ისიდორე სამთავრელი აქ იყო დასვენებული VI-X საუკუნეებში. სამთავისის აღშენების შემდეგ კი წმინდანის ნეშტი გადაუსვენებათ ახალი ტაძრის ჩრდილო-აღმოსაფლეთ ნაწილში, სადაც ჩონჩხი კი არ გვიპოვია, არამედ თანაბრად ჩალაგებული ძვლები, როგორც ჩანს, ხის სარკოფაგში. ეს ძვლები გორში წაიღო სამთავისისა და გორის არქიეპისკოპოსმა, მეუეუ ანდრიამ. მისივე გადაწყვეტილებით, ამ სიწმინდედ ქცეულ ძვლებს სათანადოდ დაამუშავებენ და საგანგებოდ მოშაადგებულ 2,5 მეტრის სიღრმის საფლავში განათავსებენ ზარდახშით, რომელსაც სახურავად მინა ექნება, რათა აქ მოსულთ შეეძლოთ წმინდა მამის ნაწილების ხილგა. საფლავი გადაიხურება და განათდება. ამჟამად პალესტინასა და საბერძნეთში მიმდინარეობს კონსულტაციები ამგვარი რიტუალური საფლავის მოწყობის შესახებ. სავარაუდოდ, ამაღლების დღესასწაულისთვის, ზაფხულში იკურთხება წმინდა მამის განახლებული საფლავი. განზრახულია სამეცნიერო კონფერენციის მოწყობაც.

— ბენებრივია, ტაძარში და მის მიმდებარედ აღდგენითი სამუშაოებიც გახდებოდა საჭირო.

— გათხრებთან ერთად მიმდინარეობდა კომპლექსის კეთილმიწყობა. ათასობით ტონა მიწა გაიტანეს კომპლექსის ტერიტორიიდან. სამთავისის ჯვარგუმბათიანი ტაძრისა და ბაზილიკის გარშემო მოხდა მიწის გათნაბრება და თხრილების მოწყერიგება კორდოვნი ფენის დასაგებად, ასევე ქვის ბილიკების მოსაწყობად. მთლიანად გაიწმინდა ტაძრის ჩრდილოეთით მდებარე ყორე, რომელიც კირხსნარით თავი-

და ამოშენდა. ყორის ცენტრალურ ნაწილში მოწყობო ხუთსაფეხურიანი ქვის კიბე. ორი მეტრი სიგანის ქვის ბილიკი გარშემოუყვება XI საუკუნის ტაძარსა და ბაზილიკას. ბაზილიკის ირგვლივ, თხრილის დაფერდებულ მონაკვეთზე დაიგო ბალახის კორდოვანი ფენა. სამხრეთ კანიბჭესთან მოწყობო ცხაურის კარი და სამსაფხურიანი ქვის კიბე. დამონტაჟდა საინტორმაციო სტენდები და სხვ.

— ჩანს, ამ ზაფხულშიც მოგიწევთ სამთავისში მუშაობა...

— დიახ, ვფიქრობ, ასე იქნება. მართალია, ტაძრის ინტერიერში არქეოლოგიური გათხრები დასრულდა, მაგრამ უნდა გამოვიყელიოთ მარანიც. როგორც ილარიონ სამთავრელი წერდა, XI საუკუნის ეპისკოპოსის სასახლეში განთავსებულია მარანი. მისი ფართობი დაახლოებით 60 კვმ უნდა იყოს. თუმცა, წინასწარი მოკვლევით, იგი ბევრად უფრო დიდი ჩანს და XVIII საუკუნის გალავნის გარეთ გადის...

ნიმუში პარადისი

წმინდა მამის, ისიდორე სამთავრელის საფლავი. მეუეუ ანდრია ლოცვისას





ვენის ბელვედერი

„ქვის უნაზესი ყვავილი“

ოსმალეთის დამარცხებლის ბან

ბელვედერის მცოდნენი „ვენის ბაროკოს უნაზეს ყვავილის“ უწოდებენ. ბევრისთვის კი სასახლე მისი ამშენებლის, პრინც ვეგენი საფოლეის სადიადის უკვდაფოფაა. ნებისმიერ შემთხვევაში, ვენის ორივე ბელვედერი, რომელიც სასახლის ბაღითაა გაუზიანებული, წარმოადგენს ყველაზე ღიამაზ ანსამბლს ბაროკოს სტილში არა მხოლოდ კრისტალი, არამედ მთულ ვეროპაშიც. ავსტრია იმ ეპოქაში რომის საღვთო იმპერიის გული იყო, იმპერატორის ტიტული კი ავსტრიის ერცჰერცოგების — ჰაბსბურგების დინასტიას ეჭვრა.

მთავარსარდალი და გენერალისიმუსი, დიპლომატი და ოურქთა დამმარცხებელი, საკონის ჰერცოგთა სახელგანთქმული შთამომავალი, პრინცი ვეგენი უაღრესად განათლებული კაცი იყო. სამხედრო ხელოვნების გარდა, დიდ დროს უთმობდა პუბლიციარულ დარგებსაც და შესანიშნავად ერკვეოდა ხელოვნებაში. უზარმაზარმა ქონებამ საშუალება მისცა არა მარტო ხელოვნების შესანიშნავ ქმნილებათა დიდი კოლექცია შეეგროვებინა,

არამედ გამხდარიყო მასტრაბურ არქიტექტურულ ნაგებობათა ერთ-ერთი კენელაზე მსხვილი დამკვეთი ვენაში. სწორედ მისი ძალის სმევით აშენდა არა მარტო ვენის ზამთრის სასახლე ან მონადირეთა ციხე-დარბაზი მარხველდში, არამედ ბელვედერის საზაფხულო რეზიდენციაც. პრინცმა სასახლის ასაშენებლად შემაღლებული ადგილი აირჩია, საიდანაც შესანიშნავდ ჩანს იმპერატორთა ჰოფბურგის რეზიდენცია.

ბელვედერი ქროდება მიშნიდველი შესახედაობის მსუბუქ არქიტექტურულ ნაგებობას. ვენის ბელვედერის ანსამბლის გარდა, ვეროპაში ბელვედერის სახელით ცნობილია განსაკუთრებულად თვალწარმტაცი რამდენიმე სასახლე. გატიკანის ბელვედერი ამჟამად მუშეუმია, გარშევის ბელვედერი — სასახლე, ფლორენციის „ფორტე ბელვედერ“ კი ციხე-დარბაზი.




ბელვედერის ანსამბლი ორი სასახლისგან შედგება — ზედა საზაფხულოსგან, რომელიც საზემო და წარმომადგენლობითი მაზნით აიგო და შედარებით მოკრძალებული ქვედასგან, რომელიც არქიტექტორმა იოპან ლუკას ფონ ჰილდებრანდტმა 1714-1716 წლებში ამზნა. კვარცხლბეკზე მდგომი ერთსართულიანი წაგრძელებული შენობა მხოლოდ სარკმლების პილასტრებით (კედლის სვეტი) არის შემორტყმული, რაც გარეგნულად სასახლეს შედარებით მაღალს აჩენს. შენობის გარეგანი შემკულობა საქმაოდ მოკრძალებულია, ხოლო

ინტერიერი — მდიდრული. ალტომონტე მარტინოს ფრესკებით არის შემჯული მარმარილოს დარბაზი, საპარადო საბინებელი, გროტესკული დარბაზი და მარმარილოს გალერეა, ასევე ორანჟერეა და სასახლის საჯინიბო. ორანჟერეის გვერდით გარეულ ცხოველთა ოუფრინგველთა კოლიერები იყო განლაგებული. ქვედა სასახლე თითქოს ზედა ბელვედერის პრელუდიაა. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს სასახლის ბაღი, რომელიც ქვედა და ზედა ბელვედერს შორის 500 მეტრზეა გადაშლილი.

ამ ვრცელ ბაღში 1803 წელს, ერცჰერ-

ბელა სასახლე





**ბაღი ზედა და
ქვედა სასახლეების
შორის**



ცოგ იოჰანის წინადადებით, ვეროპაში პირველი „ალპური ბაღიც“ შეიქმნა. ბაღი ვერსალის სამეფო პარკის ბაჯრიელმა არქიტექტორობმა დომინიკ ჟერარმა ბაროკოს სტილში დაგევმა — თასებით, კიბებითა და კასკადით, რომელიც შემკულია ანგელოზთა და მითოლოგიურ პერსონაჟთა ქანდაკებით. ბაღის სკულპტურული კომპოზიციები პრინც ვენენისა და მის სასახლეებთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს ბაღის ნაგებობათა სიმეტრიული შეხამება. ზემო სასახლესთან: ეფექტის გასაძლიერებლად კიბებისა თუ კასკადის დონეები ეხმანება ზედა სასახლის სახურავის ხაზს, ხოლო თავად სასახლე მთელი თავისი ბრწყინვალებით ბაღის აუზში ირყეკლება. ზემო ბელვედერის ტერასიდან უკან ბაღის მიმართულებით გამოხედვისას ვენის უნიკალური პანორამა იშლება. ამჟამად ალპურ ეკოსისტემებს 4 ათასზე მეტი სახეობის მცენარე წარმოადგენს.

ზედა ბელვედერიც ჰილდებრანდტის მიერ 1721-1723 წლებში აგებული შედევრია. სტილისტურად ის ქვედას ჰკავს, მაგრამ გაცილებით დიდია და მდიდრული. მის ფასადზე გამოირჩევა ცენტრალური რიზალიტი (შენობის მთელ სიმაღლეზე აზიდული, წინ გამოწეული ნაწილი, რომელიც ნაგებობის ცენტრალური ღერძისადმი სიმეტრიულად მდებარეობს) და ბალუსტრადიანი დაკბილული სახურავი, რომელზეც ქანდაკებებია განლაგებული. ზედა სასახლე ქვედაზე ერთი სართულით მაღალია, შენობას ოთხი ფრთა აქვს, რომლებიც ოთხი რვაკუთხედი პავილიონით სრულდება და რენესანსის ეპოქის მრგვალ კოშკებს გაგონებს. ფასადი კი გაცილებით მდიდრულად არის შემჯული.

შიგნიდან სასახლე მითოლოგიურ მოტივებზე შექმნილი იტალიური ფრუსკებით გამოირჩევა. მაგალითად, დარბაზში, რომელიც კვარცხლბეკის სართულზე ბაღში გადის, კარლო კარლონეს კედლის მხატვრობაა, სადაც აპოლონი და ავრორაა გამოსახული. ოქროს კაბინეტი ჩრდილო-დასავლეთი პავილიონში თეთრ ფონზე ოქროს ვარაყითაა გაბრწყინებული. აქვე 1862 წელს დადგმული ცხენზე ამხედრებული პრინც ვენენის ქანდა-



კება, რომელიც მოქანდაკე ანტონ დომინიკ ფერნონინს ეკუთვნის. პირველ სართულზე მარმარილოს დარბაზი წითელი მარმარილოთი და მარმარილოს მსგავსი თაბაშირითაა გაწყობილი, ჭერზე კა „დიდების აღვეორია“ გამოსახული. სწორედ ამ საზეიმო დარბაზში მოწერა ხელი 1955 წელს სახელმწიფო ხელშეკრულებას თავისუფალი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ, რითაც მოკავშირეთა მიერ ავსტრიის დროებითი ოკუპაცია დასრულდა და ე.წ. მეორე რესპუბლიკა დაიბადა.

ორვე სასახლე ამჟამად სახელმწიფოს საკუთრებაა და მუზეუმს წარმოადგენს.

ქვედა ბელვედერში ავსტრიის ბაროკოს მუზეუმია განლაგებული, სადაც გამოფენილია ავსტრიული ფერწერა და ქანდაკება 1683-დან 1780 წლამდე. მათ შორის თვით პრინც ევგენის შეკვეთით შესრულებული ბალთაზარ პერმოზერის „აპოთეოზი“. ბაროკოს მუზეუმიდან ვხვდებით ორანჟერეასა და შუა საუკუნეების ხელოვნების მუზეუმში, სადაც ძირითადად კედლის მხატვრობა და ხეზე კეთაა წარმოდგენილი.

ზედა ბელვედერში ავსტრიული გალერეაა, სადაც XIX-XX საუკუნის ხელოვნების ნა-

წარმოებთა შესანიშნავი კოლექციაა. იგი მოიცავს კლასიციზმს, ბიდერმეიერს (არქიტექტურისა და დიზაინის ავსტრიულ-გერმანული სტილი), რომანიზმს, იმპრესიონიზმსა და ექსპრესიონიზმს. ექსპონატებს შორისაა კასპარ დავიდ ფრიდრიხის, კარლ შპიცვეგის, ლოვის კორინტის, მაკს ლიბერმანის, ეჟენ დელაკრუას, ოგიუსტ როდენის, კლოდ მონეს, ოგიუსტ რენუარის, პოლ სეზანის, გუსტავ კლიმტის, ეგონ შილესა და ოსკარ კოკშავის ნამუშევრები.

დინასტია

საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და იტალიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე სავოია იყო კუთხე რომაულ გალაიაში, სადაც 443 წელს, რომის ნებართვით, ჰუნებთან დამარცხების შემდეგ გადარჩინილი ბურგუნდიელები დასახლდნენ. კაროლინგების მონარქიის დაშლის შემდეგ სავოია ბურგუნდიის შემადგენლობაში შევიდა და მასთან ერთად 1032 წელს რომის საღვთო იმპერიის ნაწილი გახდა.

ამ დროიდან სავოია საგრაფო გახლდათ, ხოლო 1416 წლიდან — საპერცოგო რომის საღვთო იმპერიის შემადგენლობაშია. 1563



ატლანტები სასახლის დარბაზში

წელს პერცოგთა დინასტიამ რეზიდენცია შამბერიდან ტურინში გადაიტანა. აღსანიშნავია, რომ 1997 წელს იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში ტურინში მდებარე საფოის პერცოგთა შეიძი სასახლე შეიტანა. საპერცოგომ 1720 წლამდე იარსება, როცა საფოის პერცოგმა ვიქტორ-ამადეუს II-მ, რომელიც ფლობდა ასევე პიემონტს, მონფერატს, მილანის საპერცოგოს ნაწილს, ესპანელთა მიერ დაპყრიბილი სიცილიის ნაცვლად, ლონდონის შეთანხმების თანახმად, კუნძული სარდინია მიიღო და შედეგად ახალი ქვეყნის — სარდინიის მეფე გახდა.

დინასტია ორად გაიყო 1630-იან წლებში, უმცროს შტოს სავოიელები-კარინიანები წწოდა და სწორედ მათი შთამომავალია პრინცი ევგენი სავოიელი. როცა 1831 წელს სავოიელთა უფროშია შტომ არსებობა შწყვიტა, მემკვიდრე გახდა უმცროსი შტოს წარმომადგენელი კარლოს ალბერტ სავოიელი-კარინიანი და სწორედ მან დაიკავა 1861 წელს გაერთიანებული იტალიის სამეფოს ტახტი.

ევგენი სავოიელი — რისხევა ზრახთა და ოსმალთა

რომის საღვთო იმპერიის უბრწყინვალესი მთავარსარდალი, გენერალისიმუსი პრინცი ევგენი სავოიელი დაიბადა პარიზში 1663 წელს გრაფ დე სუასონისა და ოლიმპია მანჩინის ოჯახში. მამის მხრიდან ის საფოის პერცოგ კარლოს ემანუელ I-ის შვილთაშვილი იყო, ხოლო დედა კარდინალ მაზარინის ნათესავი გახლდათ. ამის მიუხედავად, მაშინ გახმაურებული „საწამლავების საქმის“ გამო ოლიმპია საფრანგეთიდან გააძვეს, ხოლო 20 წლის ევგენი ვენაში გაემართა თურქებთან საომრად.

მას დრაგუნთა პოლკი ჩააბარუს. შემდეგ უნგრეთში იბრძოდა თურქების წინააღმდეგ 1684-1688 წლებში. 1690 წელს უკვე ავსტრიის ჯარებს სარდლობდა იტალიაში, სადაც სავოიის პერცოგ ვიქტორ-ამადეუსს შეუერთდა. ამადეუსმა არ დაუჯერა ევგენის, ჩაება ფრანგებთან ბრძოლაში, დამარცხდა და მხოლოდ ევგენის მამაცობამ და გამჭრიახმა გო-

ნებამ გადაარჩინა მოკავშირეები სრულ და-
ლუპვას. მომდევნო წელს რამდენჯერმე და-
მარცხა ფრანგები. ხოლო 1697 წელს ზენტას-
თან მოიპოვა დიდი გამარჯვება თურქებზე.
1701 წელს ისევ იტალიაში მოქმედი არმიის
მთავრისარდალი იყო, გადალახა ტრიდენტის
ალპები და დაკავა ლომბარდია. 1702 წელს
კრემონასთან ბრძოლაში დაატყვევა მარშალი
ვილერუა და წარმატებით მოიგერია ჰერცოგ
ვანდომის აღმატებული ძალები.

იმპერატორის კარის სამხედრო საბჭოს
(ჰოფსკრიგრატის) პრეზიდენტად დანიშნულ-
მა ევგენიმ გადაარჩინა ავსტრია ჯერ უნ-
გრელთა აჯანების დროს, შემდეგ კი ბავა-
რიაში ფრანგების წარმატებების პერიოდში
1704 წელს ჰერცოგ მალბორისთან ერთად
გაიმარჯვა გროპტეტლითან და დაშალა ბავა-
რიისა და ლუდოვიკო XIV-ის კავშირი. 1705
წელს ესპანეთში შეაჩერა ჰერცოგ ვანდომის
წარმატებული წინსვლა, 1706 წელს კი გაი-
მარჯვა ტურინთან ბრძოლაში და იტალიაში
ფრანგებს ფეხი საბოლოოდ ამოუკვეთა.

მომდევნო წლებში მეტ-ნაკლები წარმატე-
ბით ებრძოდა ფრანგებს, ხოლო 1716-1717
წლებში კვლავ დაამარცხა თურქები — ჯერ
პეტერვარდეინთან (ამჟამად ნოვი სადი), შემ-
დეგ ტემეშვართან და ბოლოს, გადამწევეტ
ბრძოლაში ბელგრადთან. სწორედ ამ სამბა გა-
მარჯვებამ საბოლოოდ შეარყია ევროპაში
თურქთა ძლიერება. ბელგრადთან უდიდესი გა-
მარჯვების აღსანიშნავდ ვეროპის ხალხთა
რამდენიმე ენაზე გმირ პრინცზე სიძლერები
შეითხეა...

სახელოვან გენერალისიმუსს უკანასკნე-
ლად არმიის მთავარდლობაში პოლონეთში
მოუწია 1734-1735 წლებში, თუმცა აკადემი-
ულის გამო მალე გაიწვიეს და 1736 წელს 73
წლის ასაკში გარდაიცვლა.

პრინც ევგენი საგოილის ქანდაკება ვნა-
სა და ბუდაპეშტში დგას. მის სახელს ატარებ-
და ავსტრიის, ინგლისის, იტალიის სამხედრო
გემები, ხოლო მესამე რაიმში მისი სახელო-
ბისა იყო არა მარტო კრეისერი, მე-7 სამთო
დივიზიაც.

პრინცის სახელი ქვიდა ტროპიკულ მცე-
ნარეთა გვარსაც (Eugenia), რომელთა ეთერ-
ზეთები სურნელოვან ნივთიერებას, კვენოლას
შეიცავს.

რამაზ გურგელი



პრინცი ევგენი საგოილი

ბალთაზარ პეტროზერის „აპოსტოლი“,
შესრულებული პრინც ევგენის დაკვეთით





„კუნძულების“ მარგალიტი

რაბბი



ჰაკა, რომელსაც ახალზელანდიელი მორავბები ტრადიციულად ასრულებენ,
ახალი ზელანდიის მკაფიოდ მარჯვბის უძველესი საბრძოლო ცეკვადან მოძრისარებს

ხულიბნური თამაში... ჯერტლმენებისთვის“ — ასეც ახასიათუბენ რაგბის. მიუხდავად
იმისა, რომ მას შშენიერი ქენის წარმომადგენლებიც სიამოუნებით თამაშობენ, რაგბი
მაგაცური ხახათთ სხვა სათამაშო სახეობებისგან აშკარად გამორჩეულია.

„ხულიცნური თამაში... ჯერტლმენებისთვის“ — ასეც ახასიათუბენ რაგბის. მიუხდავად
იმისა, რომ მას შშენიერი ქენის წარმომადგენლებიც სიამოუნებით თამაშობენ, რაგბი
მაგაცური ხახათთ სხვა სათამაშო სახეობებისგან აშკარად გამორჩეულია.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც დღეს ძალიან პოპულარული სპორტის ამ სახეობის წარმოშობის ისტორია სათვეს უხსოვარი დროიდან იღებს და იგი ბურთით სახალხო თამაშობებიდან მომდინარეობს.

მსგავსი თამაშები სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ქვეყანაში, ძირითადად დღესასწაულებზე, ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე იმართებოდა, მათ წესებს კი ადგილმდებარეობა ან წინასწარ დადებული საერთო შეთანხმება განაპირობებდა, თუმცა „მთავარი წესი“, რომლის თანახმად გუნდს ბურთი ერთი

ადგილიდან შეორებდე ჭიდაობით, ბრძოლითა თუ სხარტი სირბილით უნდა მიეტანა, საერთო იყო.

მაგალითისთვის, რაგბის წინაპარ თამაშებს შეიძლება მფაკუთვნოთ თუნდაც იტალიაში შუა საუკუნეებში გავრცელებული კალჩი, ანდა, რაღა შორს წავიდეთ და, ქართული ლელობურთი ვახსენოთ ჩევნს წინაპართა თამაშს ქვემოთ დავუბრუნდეთ, მანამდე კი აღნიშნავთ, რომ ოფიციალურად რაგბის სამობლოდ ინგლისი მიიჩნევა, თამაშის დაბადების ყველაზე გავრცელებული ვერსია კი ერთობ საინტერესო და თავშესაქცევია.

დაბადების ლაგოდეა

უნდა გადავინაცვლოთ 1823 წლის 7 აპრილის ინგლისში, ლონდონის ჩრდილო-დასავლეთით, 80 მილით დაშორებულ ქალაქ რაგბიში. ოქროსქოჩრიანი ბრიტანელი ყმაწვილები კოლეჯის ეზოში ფეხბურთს მოელი გატაცებით თამაშობენ.

ცნობისთვის, იმდროინდელი ფეხბურთი თანამედროვისგან დიდად განსხვადებოდა და წესებიც თავისებური ჰქონდა.

და აი, 16 წლის ბიჭმა, ვინმე უილიამ უებელისმა, დამარცხებისთვის განწირული თავისი გუნდის გადასარჩენად ფეხით რომ ვეღარაუერი მოაწერს, ბურთს ხელი სტაცა, რამდენიმე მეტოქეს გვერდი მკვირცხლად აუარა და მოწინააღმდეგის კარში შეიტანა.

რა გასაკირია, თანატოლებმა ელისის უცნაურ ქმედებაში ახალი თამაშის დაბადება მაშინვე ვერ განჭვრიტეს და გოლი სამართლიანადაც გააპროტესტეს. შესაბამისად, ფეხბურთის წესების დამრღვევი „ფეხბურთელი“ მატჩის არბიტრმა მოეღნიდანაც გააძევა.

ამბობენ, რომ ასე იშვა რაგბი, რომელიც პოპულარობით, მართალია, დღეს ვერ შევ-

რაგბის თამაში ბრიტანეთში, XIX საუკუნის ნახატი

რება მსოფლიო მასშტაბით „სპორტის მეფედ“ აღიარებულ ფეხბურთს, მაგრამ არც დიდად ჩამოუკარდება მას. და კიდევ, მართალია ზემოთ მონათხრობი უფრო ბრიტანული ფოლკლორის ლამაზ ლეგენდას ჰგავს, ვიდრე სპორტის ისტორიის დამტვრილ გვერდს, მაგრამ მსოფლიო თასი, რომელიც ერთეულ რაგბის სამყაროში თამაშდება, სწორედ იმ ნაცევრად მითური ბიჭის – უებ ელისის სახელს ატარებს.

სპორტის სახეობად

ჩამოყალიბება

ასე იყო თუ ისე, XIX საუკუნის ინგლისში გავრცელებული ახალი გუნდური თამაშის ფეხბურთისგან მთავარი განმასხვავებელი ძალისმიერი ბრძოლა და ჭიდაობა გახდა, რაც წესებით იყო დაშვებული. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რაგბი არის „ბრძოლა წესების გარეშე“. პირიქით, თამაში უკიდურესად ღირსეულ და სუფთა ბრძოლაში მიმდინარეობს, სადაც ნებისმიერი დარღვევა-გადაცდომა მკაცრად ისჯება. არბიტრი სულაც არ ასრულებს მოედანზე პოლიციელის როლს. უფ-





სკოლა ქალაქ რაგბიში, სადაც ღვენდის თანახმად,
თამაში დაიბადა



უილაბ გილბერტი სხვებზე ადრე მოხვდა, რომ
ახალ თამაშს ბურთები დასჭირდებოდა

ღვენდარული უილაბმ უებ ელისის ქანდაკება
ქალაქ რაგბის კოლეჯის წინ



100 ისტორია - ეპიზოდი 2013

რო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ის მატჩს
დირიჟორობს.

რა თქმა უნდა, თამაშს თანამედროვე სახე
ერთბაშად არ მიუღია. პირველი წესები 1845
წელს რაგბის კოლეჯის მოსწოდებმა ჩამო-
აყალიბებს, თამაშს კი „რაგბი-ფუტბოლად“
მოიხსენიებოდნენ. სხვათა შორის, პირველყო-
ფილ ფეხბურთსა და პირველყოფილ რაგბის
შორის მთავარი განსხვავება ერთხანს ის იყო,
რომ რაგბიში ბურთის ხელში დაჭრა და გაქ-
ცვა შეძლებოდა, ფეხბურთში — მხოლოდ
დაჭრა. ოუმცა 1869 წელს ფეხბურთში ხელით
თამაში საბოლოოდ აიკრძალა (გამონაკლისი
მხოლოდ მეკრისივსასა დაშვებული), „რაგბი-
ფუტბოლის“ მიმღევრებმა კი, რომლებმაც
ხელით თამაშებზე უარი არ თქვეს, რო წლის
თავზე ინგლისის რაგბის კავშირი დაარსეს
და მასში 21 კლუბი გააერთიანეს.

სწორედ იმხანად გამოიცა თამაშის პირ-
ველი ოფიციალური წესები, რომელთა თანახ-
მად, ერთ გუნდში 15 მორაგბე უნდა ყოფილი-
ყო. კიდევ უფრო ხანგრძლივი განსჯა და ფიქ-
რი დასჭირდა ქულათა დათვლის ერთიანი სის-
ტემის შექმნას, რაც არაერთ ათწლეულს გაგ-
რძელდა.

1871 წელს გაიმართა პირველი საერთაშო-
რისო მატჩიც. ერთმანეთს ინგლისისა და შოტ-
ლანდის გუნდები დაუპარისპირდნენ.

დროთა განმავლიბაში რაგბის მრავალი სა-
ხეობა წარმოიშვა — რაგბი-იუნიონი (იგივე
რაგბი-15 — მოთამაშეთა რაოდენობის მიხედ-
ვით), რაგბი-ლიგი (რაგბი 13), შვიდგაცანანი
რაგბი, ტეგ-რაგბი, ქვიშის რაგბი, ამერიკუ-
ლი და კანადური ფეხბურთი. ეს სათამაშო სა-
ხეობები ერთმანეთისგან განსხვავდებიან გუნ-
დში მოთამაშეთა რაოდენობით, სათამაშო
დროის ხანგრძლივობითა და სხვ.

რაც შექმნა რაგბის ბურთის, მისი ისტო-
რია უილიამ გილბერტის სახელთან არის სა-
მუდამოდ დაკავშირებული. ეს ინგლისელი
ჯწტლმენი იმ ფეხსაცმლის მაღაზიის მფლო-
ბელი გახდათ, რომელიც ქალაქ რაგბის კო-
ლეჯის მოპირდაპირედ მდებარეობდა. გილ-
ბერტი იყო პირველი, ვინც თამაშის ამ სახე-
ობის პოპულარობის სწრაფი ზრდა შენიშნა
და მისი საკუთარი ბიზნესისთვის საიდეოლ
გამოყენება მოინდომა — რაგბის ბურთუბის სე-
რიულ წარმოებას მიჰყო ხელი.

რაგბის ბურთის პირველი წონა და

ფორმა იმ დროისთვის ვულკანიზაციის არარ-სებობით იყო განპარობებული — ის ხან ღო-რის საშარდე ბუშტისგან, ხანაც უზეში ტყა-ვისგან მშადდებოდა, შიგთავსად კი ზოგჯერ მატელი, ზოგჯერ კი თვა გამოიყენებოდა. შესაბამისად, იყო ღრო, როცა მორაგბები 12-კილოგრამიანი ბურთითაც თამაშობდნენ...

რაგბის ბურთის წონის, ზომისა და ფორ-მის ერთიანი სტანდარტები 1892 წელს დააკა-ნონეს.

თამაში ბრიტანული კუნძულებიდან ვ-როპაში და შემდეგ სხვა კონტინენტებზეც მა-ლევე გაფრცელდა, თუმცა განსაკუთრებული პოპულარობა რაგბის სწორედ ბრიტანიის იმპერიის გავლენის ქვეშ იმ დროს არსებულ ტერიტორიებზე მოიპოვა: ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და სამხრეთ აფრიკის რეს-პუბლიკში.

1886 წელს ირლანდიამ, უელსმა და შოტ-ლანდიამ რაგბის საერთაშორისო საბჭო (IRB) ჩამოაყალიბეს, რომელსაც ოთხი წლის შემ-დეგ ინგლისიც შეუერთდა. კონსერვატორი ბრიტანელები IRB-ში ფრანგების მიღებას კარ-გა ხანს არ აპირებდნენ და ამ უკანასკნელებ-მაც მის ალტერნატივად 1934 წელს სამყუა-რულო რაგბის საერთაშორისო ფედერაცია — ეპოპული რაგბის ასოციაცია (ფირა) შექმნეს.

სხვათა შორის, XX საუკუნის დასწყისში რაგბი ოლიმპიური თამაშების პროგრამაშიც შედიოდა, მაგრამ მოგვიანებით IRB-ი ხუთი ერის პირველობითა და ტესტ-მატჩებით შე-მოიფარგლა. მხოლოდ XX საუკუნის ბოლოს ინგრა ამ ორგანიზაციამ, კარი გაედო დანარ-ჩენი სამყაროსთვის და დაწესო მსოფლიო ჩემ-პიონატების გამართვა.

რაგბიში მსოფლიოს პირველი ჩემპიონა-ტი სამხრეთ ნახევარსფეროში გაიმართა. 1987 წელს ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ პლანეტის 16 საუკუთხოს ნაკრებს უმასპინ-ძლებს, სადაც პირველად გათამაშდა კიდეც „უებ ელასის“ თასი. მისი მფლობელები ახალ-ზელანდიელი მორაგბები გახდნენ, რომლებ-მაც ფინალურ შეხვედრაში ფრანგებს აჯობეს.


მას შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატი რაგ-ბიში ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყო-ბა. ბოლოს მას 2011 წელს ახალმა ზელანდი-ამ უმასპინძლა და გამარჯვებაც ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს, მეტსახელად „ოლ ბლეკს“ დარჩა. მსოფლიოს ზედიზედ სამ უდიდეს სა-



რაგბის წინაპრები კალიუც შეიძლება მაჯინით, როგორიც ფლორენციაში, სანტა-კროჩეს მოედანზე შესავალურებიდან იმართება



ბერთს საჯაროდ ნორმანდიაშიც დასდევდნენ





გურიაში, სოფელ შუბუთში, აღდგომა დღეს ტრადიციულ ღელობურთს კვლავაც თამაშობენ

მნიშვნელობით მხოლოდ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებსა და ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატს თუ ჩამოუვარდება.



რაგბო ფორუმში (2003, 2007 და 2011 წლებში) აქვს მონაწილეობა მიღებული საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სარაგბო მუნიციპალური დღვვენი სპორტულ სამყაროში, მასშტაბის მხრივ, მესამე მოვლენაა. „უებ ელისის თასის“ გათამაშების ტურნირი

ღელობურთი — რაგბი „ჩართულად“

ცალკე უნდა ვისაუბროთ დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ უძველეს თამაშებურთი (ღელობურთი). ეს გუნდური თამაში ბურთით, რომლის ტრადიცია გურია-სამეგრელოში დღემდე არსებობს, თამამად შევიძლია, რაგბის ერთ-ერთ წინამორბედად მივიჩნიოთ.

ამის საფუძველი კი ნამდვილად გვაქვს. აკადემიკოს ნიკო მარის მიხედვით, ღელოს მსგავსი თამაში გავრცელებული ბასკეთშიც ყოფილა, სადაც მოთამაშები ბურთის გატანისას სიხარულს გამოხატავდნენ შეძახილით — „ღელო!“ ვინ იცის, ეგებ ბრიტანელებმა ბურთობა თავის დროზე ჩვენი მონათესავე ბასებისგანაც გადაიღეს?..

ძელ ქართულ თამაშშიც, რაგბის მსგავსად, მოთამაშეთა მიზანი ბურთის მოწინააღმდეგის მოედანში გატანა იყო. თამაშობდნენ როგორც „გრძელ“ — 3-5 კილომეტრიან დისტანციაზე, ისე „მოკლე ღელოს“ — 2-3 კილომეტრის მანძილზე. ასპარეზი შემოფარგლული არ იყო, არც მოთამაშეთა რაოდენობა იყო განსაზღვრული და თამაშობდნენ უბა-



ქრონიკულ სამოსში გამოწყობილი „ბორჯვლალოსნები“ ახალ ზელანდიაში, 2011 წლის მსოფლიო თასზე

ნი უნდის, სოფელი სოფლის, ოქმი თემის წინააღმდევე. რაც მთავარია, ეს თამაში საპროტოლო მომზადების ერთ-ერთ ძირითად სამუალებად მიიჩნეოდა და შესაბამისად, ბრძოლას განასახიერებდა.

თურმე წესად ყოფილა — მდვდელი ყოველ აღდგომა დღეს აკურთხებდა წითელ, 16-კილოგრამიან ბურთს და მრევლს ლელოს ათა-მშებდა.

გადმოცემის თანახმად, თამაში მოედნის შეუადგილზე ბურთის მაღლა აგდებით იწყებოდა. ვინც პირველი დაიჭრდა, ცდილობდა მოწინააღმდეგეთა წრე გაერღვია და ლელოს მიმართულებით გაჭრილიყო, რაშიც მას ხელს გვერდში შეოფი თანაგუნდელები უწყობდნენ, მოწინააღმდეგე ბანაკის წევრები კი ბურთის წართმებას ეშურებოდნენ. დაღლილი ან დაშაგბული მოთამაშე ბურთს თანაგუნდელს გადასცემდა.

თამაშში გამარჯვებულად ის გუნდი ცხადდებოდა, რომელიც მეტ ლელოს გაიტანდა.

სხვათა შორის, ასპარეზობაში ზოგჯერ მხედრებიც მონაწილეობდნენ. მაგალითად, 1882 წლის გაზეთი „დროება“ გვიმცნობს: „კულაში თაგდი მიქელაძეების თაოსნობით გამართულ ლელობურთში 1500 ქვეითი და 500 ცხენოსანი მონაწილეობდა“.

სამეცნიეროში თამაშის დასრულების შემდეგ წესი ყოფილა — გამარჯვებული გუნდი

ფესვებიანად მოგლევდა ხეს და ეკლესიის კართან ააყუდებდა. ხეს მღვდელი ამ სიტყვებით ლოცვადა: „დიდებული წმინდა გიორგი, შენ მიეცი ამათ შეძლება, შშვიდობა, დღურძელობა, ძალი და ღონე და ისე გაამარჯვებინე ყოველ წელს, როგორც ახლა“.

ლელოს მოტრფიალენი ქუთაისშიც ჰყავდა — საფიჩნიაზე, ხარაულების ბაღის შიდამოებში ხშირად ბურთაობა აყალმაყალითა და მუწი-კრივითაც მთავრდებოდა. ლელოს მის-დევზნებ ქუთაისის სათაფადაზნაურო გიმნაზიაში და კერძო სასწავლებლებში.

საეკლესიო დღესასწაულებზე დიდი ბურთაობა ჩაღდებოდა ხონში, ოფშებითსა და იმერეთის სხვა ადგილებში.

ლელოს თამაშს მთავრობასა და ხალხს შორის დაპირისპირებაც მოჰყოლია. მაგალითად, ბათუმში გამართულ ლელობურთზე საინტერესო და სახალისო ამბავს 1880 წლის გაზეთი „ივერია“ გვამცნობს:

„გვირაცხოვლობა დღეს იქაური ქართველობა შეიქრიბა კახაბერის მინდოოზე და იწყებს ბურთაობა. მაყურებლადაც ბევრნი იყვნენ მოსულნი და დიდადაც გაჰკვირდნენ და ისიამოგნეს ამ თამაშის ცეკვით მათ, ვისაც პირველად ენახა ბურთის თამაშობა, მაგრამ სიამოგნება იაფად არ დაგვიჯდა და, ვიდრე ხალხი სიამოგნებდა, ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიარეს მოთამაშებმა.“



უქმენის თასი

როცა პირველად გამოყარდა ბურთი, მოვიდა ბოქსული ყაზახებით და სთხოვა ხალხს, მომეცით ბურთი, უფრო შეუადგილას ავაგდებო.

ბურთი მისცეს. მან ბურთი ყაზახებს გადასცა და პოლიციაში წააღებინა: ბურთის თამაში არ შეიძლება, აკრძალულიაო.

ხალხმა სხვა ბურთი იყიდა და ახლა ის ააგდო. მოვიდა მას უკან პოლიციის უფროსი და უშალა ხალხს ბურთაობა. მან მოიყვანა ცეც-

რაგბი მამაკაცური ხასიათით სხვა სათამაშო სახეობებისგან აშკარად გამორჩეულია

ხლისმქრობელი ცეცხლის ქრობის მოწყობილობით და უბრძანა, გაწუწეთ ხალხი და დაიმდებარ. ხალხს ხუმრობა ეგონა გაწუწება თავისი და ჟივილ-ხივილით მისცვივდნენ ცეცხლის მქრობელთ, რომ წაერთმიათ მაშინები და ახლა ისინი გაეწუწათ.

ამ ბლდანძუხობაში სულ ერთიანად წახდა მაშინები და თვით პოლიციის უფროსსაც ატ-კინეს თვალი.

ბოლოს ამ ვაი-ფაგლახმა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწევმდინაც მიაღწია. თანაშემწე თ ერისთავება უბრძანა პოლიციის უფროსს, რომ ხალხს ჩეცულებადა აქვს ბურთის თამაშობა და ნუ დაუშლითო.

მართლაც დაიწეო თამაშობა და ბოლომდე ისე გათავდა, რომ არავითარი უწესობა და ურიგო არ მომჩდარა“.

დასასრულ, აქვს თუ არა რაგბის ქართული ფესტები, ამის დადგენა ისტორიისებს მივანდოთ, იქამდე კი ვუქომაგოთ „ბორჯლალონებს“, რომლებიც დიდი ალბათობით, ქვეყნის ლირსებას ლონდონში, 2015 წელს გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაიცავენ.

გელა უგარიფ




ბურამ ფირცხალავა

„სიჩუმეზი ვიპრის დრო მატია...“

რომ დავთიქრდი, გურამ ფირცხალავას ერთი თვისება აღმოვაჩინე — „სტაბილურად“ პოპულარულია ყველთვის. მასზე არ მოქმედებს დრო და პოლიტიკური ვითარება, არც სენსაციას ტალღებს დაპყვება არმა-დაღმა, არც მითქმა-მოთქმის გამო ექცევა მედიის გურადღების ცენტრში. თითქოს ამ კველაფერს საღლაც გვერდიდან უყურებს და ძერუ თვისისებური იუმორით და დიდი სიყვარულით ამბობს: „წვილ-კივილი არ დავინახო აქ!“ ხმაურს მართლა სიჩუმე ურჩევნია, თუხდაც იმიტომ, რომ სიჩუმეში ფიქრის დრო მეტია...

„ბეჭრს პეტნაია,
უდარდელი ვარ არ არის ასე“



ის ყველას უყვარს სიაღალისა და კეთილი გულის გამო. მნელად შეხვდები კაცს, რომ გითხრას, მაწყინინაო. ყველას მხიარული და უდარდელი კი პეტნაია, იმიტომ რომ სხვას არასოდეს აწუხებს თავისი სადარდელით. სინამდვილეში დიდხანს და უსაზღვროთ იცის დარღი. მისი ცხოვრების ვითარებანიც ისეთია, როგორიც თვითონ მსახიობი გურამ ფირცხალავა — ხალისიანი, გულალალი და თუ დაუკავირდები, ძალიან სევდიანი იმავდროულად.

* * *

ერთხელ დოღო აბაშიძე, სესილია თაფაიშვილი და რეზო ესაძე ჰყვებოდნენ, ვის რა ასაკიდან ახსოვდა თავი. დოღომ თქვა: კი ბატონი, ტოლსტიოსაც ახსოვდა, მაგრამ მეც მახსოვს აკვანში ჩემი თავიო. ქალბატონშა სესი-

ლიამ თქვა, მე აკვნიდან არა, მაგრამ ძალიან პატარაობიდან მახსოვს ჩემი ცხოვრებაო. რეზო ესაძემ კი, — მე დედის მუცლიდანაც მახსოვს კველაფერიო...

მე ჭაობები მახსოვს ფოთში, რომელიც ჩვენი და ჩვენი მეზობლების სახლების ირგვლივ ჯერ კიდვე იყო მაშინ. სულ ძლიერი ქარი იყო.... მერე ქარსაცავი ზოლები გააკეთეს — ხები დარგეს. ახლა ის ხებიც მოჭრეს, შეშა არ აქვს ხალხს და იმიტომ. სულ პატარას მოხუცი ქალები მთხოვდნენ, წურბელა დამიჭირე, ნენაო. მეც სიხარულით კუჭერდი. ამიტომაც ყველას ბებიას ვუყვარდი.

ჩემი პირველი მასწავლებელი ნინა ჩოჩია იყო, რომელიც ძალიან მიყვარდა და მიყვარს. მეორე დედა იყო ჩემი. სკოლაში სიარული მიყვარდა პირველ ოთხ წელიწადს. მერე სკოლა



„ძალიან მიუვარს ხის დარგა... მიუვარს ძაღლები“

გამოგვიცვალეს და მეც ავუშვი... მეხუთე კლასში ვიყავი, სიგარეტის მოწვევა რომ დავიწეუ. ჩემმა მეგობარმა რომ მოსწია და კინადამ დაიხრჩო, დამარიგა, კვამლი არ გადაყლაპონ და მეც ასე მოვიქეც, ამიტომ არ დამახველა... ნელ-ნელა მივწევი. ასე გვეგონა, სიგარეტს თუ მოწევდით, კაცები ვიქნებოდით.

ვცელდუტობით ბავშვები, ვჩეუბობდით ვინმეს ცუდად რომ შექედა მეზობელი გო-

გოსთვის, არ ვაპატიებდით ღამით დავშვრუბოდით, — ნესვებს ვიპარავდით მოგეწონდა, რომ ვიპარავდით... დედამ თქვა, ბავშვი არ გამიფუჭდესო და დედულეთში გამამწესეს, — ლესიჭინები. საშუალო სკოლა იქ დავამთავრე. სოფელში ქალაქელ სტუმრად ვითვლებოდი და პატივს მცემდნენ. ფანჯრის მინას რომ გატეხდა ვინმე, მე ვიბრალებდი. სკოლის მნე ჩენი მეზობელი იყო. რ-ს ვერ ამბობდა საწყალი. რომ გაიგებდა, იტყვოდა: გულამიძო თუ გატეხა, მე ჩავსვამ მაგასო.

ბავშვები როგორ მიყურებდნენ? თვითმფრინავი გინახავსო? — მეკითხებოდნენ. როგორ არა, კუდზე მოგკიდებიყარ და „მიგატავა“ კიდეც-მეთქი... აუ, რა მაგარი ხარო, — მეუბნებოდნენ.

ერთი მეგობარი მყავდა ლესიჭინები, სკოლიდან შინ რომ მიდიოდა, ტყე უნდა გავვლო. ორ ხმაზე ელაპარა კებოდა თავის თავს შეშისებან. ვინც გაიგონებს, იფიქრებს, ორნი არიან და აღარ შემსინებსო. მეც მეშინოდა ტყეში, მაგრამ მე ვმღეროდი... ასე ვაფრთხობდი შიშეს: რამე არ შეგემალოს ვინმეს, კი არ მეშინა, „დაჟუ“ ვმღერი-მეთქი...

ჯარში წასვლა ბევრს არ უნდოდა, მე კი მინდოდა. დედას ვეუბნებოდი, ჯარში აუცილებლად წავალ და არც გამაცილოთ-მეთქი. გაცილების დროს ტირილი იციან და მაგის ატანა არ შემძლო. მეიძლებოდა, მეც წამცდენოდა ცრდები. მარტო ჩემი და მოვიდა სადგურში. ის ჩემ წინ არ იტირებდა. მაგარი გოგო იყო.

მურმანსკში მოვხვდი. ახლაც არ ვნანობ. საინტერესო და რომანტიკული იყო. რომ ჩავედით, ბევრმა ბიჭა უერ აიტანა იქაური კლიმატი, სიციისგან ტიროდნენ. ვაშვიდებდი ბიჭებს, რა იყო, მაცივარში არ შეგივვათ ხელი-მეთქი? მამაჩემი მუშაობდა სახელმწიფო მარაგის მაცივარში ფოთში და ნამჟოფი ვიფავი იქ. ერთი თვე გაოცებული ვუურუბდი ყველას: რატომ ცხოვრობენ აქ, ვერ წავლენ ფოთში-მეთქი, ვფიქრობდი. მეცოდებოდნენ ის თუთრი ქალები... ყველას ვეუბნებოდი: პრიეჟაიტე ვ პოტი!

არ მაგიწყდება, პირველად რომ პოსტზე დავდექი. მომცეს ავტომატი... იქ ხომ ასეა: დაღამდება და სულ დამეა. გათუნდება და სულ დღეა. ბნელა. ვიურუბები აქეთ-იქით, შპიონი არ მოვიდეს საიდანმე. უცებ მთელი ქვეყანა გა-

ნათდა. მერე ცოტა მიიღია სინათლე და ისევ განათდა. ვიფიქრე: ან ააფეთქეს რაღაც და ახლა ხმას გაფიგებ, ან სხვა უბედურებაა-მეთქი. ვიფურები დაძაბული და ვხედავ, მოედო ცას ცეცხლი. ვეცი ტელეფონს და ვეუბნები:

— ტავარიშვ ნაჩალნიკ კარაულა, დაკლა-დოვაეტ პირცხალავა, ტაკოი-ტა პოსტ!

— ნუ ჩტო უ ტებდა ტამ?

— ნებო გარიტ, ტავარიშვ სერუანტ!

— კაგ გარიტ?

— სილნო გარიტ! ჩტო დელატ?

— პატუში! — ასე არ მითხრა იმ ოხერმა?

ვიფიქრე, ჩემი არ სჯერა და მაშავირებს-მეთქი.

— კლიანუს მამო! — ვეუბნები.

— ტი ბროს! პატუში!

— კაგ?

— პალუ.

მერე მითხრა, — სკოლაში არ გივლა?.. თავში დამარტევა! — შავ-თეთრი წიგნი გამახ-სენდა, იქ თეთრი ხაზები იყო დახატული და ჩრდილოეთის ნათებააო, — ქერა. აბა, რას მიგამსგავსებდი. მერე შემრცხვა და ვიცრუე, ვიხუმრე-მეთქი...

ეს ამბავი თეატრალურ ინსტიტუტში ჩა-ბარებისას მოვყევი. ისე იცინეს, პროზის გა-მოკითხვა დაავიწყდათ.

ეს ცალკე ამბავია: ჯარში გაზეთი ვნახე, თეატრალური ინსტიტუტი მიღებას აცხადებ-და და გადავწყვიტე, ჩამებარებინა. მომქმნონა, რომ არც მათემატიკა ბარდებოდა, არც ფი-ზიკა და ქიმია. ჩამოვედი ადრე ჯარიდან. ფიო-შიც ვერ მოგასწარი წასვლა, სამხედრო ფორ-მით მივედი გამოცდებზე. ლამეს სადგურში ვა-თვედი, ნათესავი კი მყავდა თბილისში, მაგ-რამ მისამართი არ ვიცოდა.

ბარდებოდა სპეციალობა. მეკითხება კო-მისიის ერთ-ერთი წევრი, ეტიუდი გაქვსო? არა-მეთქი... მე მოგცემო.

მომცეს დავალება. შევასრულე და მივადე-ქი იმ კაცს. ეტიუდი-მეთქი? ხომ მოგციო. მე-რედა მივხვდი, რა იყო ეტიუდი.

წაკითხული მქონდა გაზეთში, მომეთხო-ვებოდა ლექსი (კითხვა), პროზა (კითხვა)... ვი-ფიქრე, წაკითხვას რა უნდა-მეთქი, გამოცდა-ზე კი ზეპირად არ მომთხოვეს? „ელეგიის“ ერ-თი კუპლეტი ვიცოდი და მივაყარე, არ დამა-ვიწყდეს-მეთქი. ბაბულია ნიკოლაიშვილმა გა-მაჩრა, ასე არაო. მან რომ ამიხსნა, იმ ახ-



კადრი ფილმიდან „ჯოლოური ბალადა“, 1975 წ.



„პირველი მერცხალი“, 1975 წ.



„სამუგლება სასამართლოს“, 1975 წ.

სილიით გავედი გამოცდაზე. ღამე სადგურზე ილიას „ელეგია“ და ერთი იგავ-არაკიც ვის-წავლე და ჩაგაბარე. პროზა ხომ არ შევიდა თაგ-ში! ვთხოვე ღმერთს (რა თავხედი უნდა იყო, რომ ეს სოხუმი): ლექსს ხომ წყიოკითხა, იგაზ-საც და ეს პროზა დაავიწყდეთ, რა იქნება-მეთ-ქი. პროზის დრო რომ დადგა, აუხედე ჰერს: ღმერთო, რას შვრები-მეთქი. ადგა ერთი კა-მოძღველი და ჯარში სად იყავი, რა იყო და-



„დათა შეთაშნა“, 1978 წ.



„კვლანები სწრაფები მსოფლიოში“, 1985 წ.



„მიღიოდა მატარებელი“, 2005 წ.



„შევარებული კულინარის 1001 რუკატი“, 1996 წ.

სამახსოვრებელიო. მაშინ მოყვევი ცისა და ხანძრის ამბავი. დაიხოცნენ სიცილით!

...არა უშავდა რა მონალიზე ვიყავი. ერთხელ თოფი გამისკდა და თითო წამაწყვიტა. ჩემი თოფი მეზობლებსაც დაპქონდათ სანადიროდ. ეტკობა, ზეთიანი ნაჭერი ჩადეს ლულაში და ამოლება დაავიწყდათ. მე არ ჩამხედავს. გადაღებაზე ვიყვი და დაღლილი წავედი სანადიროდ. ვესროლე როჭოს და აფეთქდა თოფი. ერთი თითო წამაწყვიტა, მეორის წაჭრა უნდოდათ და არ ვქენი. ჩემი ძმაკაცი იყო ქირურგი გოგი მელიქია და ვუთხარი, არ მომაჭრა-მეთქი. შემინარჩუნა თითო. დღესაც რომ ვხვდები, ვაჩვენებ: აა, შენი გადარჩინილი თითო, ეს რომ არ მქონოდა, ჭიქას კარგად ვერ დავიჭრდი-მეთქი.

ისე, კარგი მსროლელი ვიყავი...

პროფესიაში? — ეკელაზე პოპულარული ჯარში ვიყავი. იქ ყველების ქარხანაზე შეფობა გვქონდა აღებული. სულ ქალები მუშაობდნენ, — მზის უნახვი თეთრი ქალები. იმათან ვიმღვრე „სულიკო“, თან გიტარას ვაჩხაკუნებდი. აი, მაშინ იყო ტაში და ოვაციები. იქ ამბავი იყო! ახეთი პოპულარობა მას მერე არ მქონია, — არც კაში, არც ნიცაში, არც თბილისში.

ძალიან მიყვარდა შოთა მანაგაძესთან მუშაობა. „ტექსელსა“ და „დაბრუნებაში“ გადამიღო. ზღაპრული კაცი იყო.

ძალიან მიყვარს ხის დარგვა. კინოსტუდიის ეზოში ატამი დავრეგე. მერე მოჭრეს ისიც და სხვების დარგული ხეებიც, გული დამწედა. მიყვარს ძალლები. დღესაც მახსოვს ჩემი „ბუიანი“. სანადიროდ წაიყვანეს. მითხრეს, ტყვია მოხვდა, მერე კალინდაგზე დადეს და მატარებელს გაატანინესო. არ მჯერა, ალპათ, მართლა მატარებელმა გაიტანა... მეორე ძალლი კურცკარი მყავდა. დარბოლა უპატრონოდ. გაგაღე კარი და შემოხტა. ოთხი თვე ვაცხადებდი, არ გამოჩნდა პატრონი. ავდექი და წავიყვნე ფოთში. არეულობა რომ იყო, ავტომატების კაკანი დაუწყიათ. ეს ძალლმა გაიგო და მეორე სართულის აიგნიდან გადახტა თურმე. წელში გადატყდა და მოკვდა.

მაშინ ვთქვი, აწი ძალლს არ ვიყოლიებ ან თუ ვიყოლიებ, სულ ჩემთან მეყოლება-მეთქი.

...დედა რომ მოუკვდებათ, ბიჭები მერე სხვანაირად იწყებენ ფიქრს. ახლა ხშირად ვფიქრობ დედაზე და ვწუხვარ, რომ ისე არ

კეფერებოდი ბიჭობაში, როგორც ეკუთვნოდა. მოხუცს კი ვიკრავდი გულში.... ერთ ადგილას დიდხანს ვერ ვჩერდებოდი და სულ გავრბოდი. ახლა ამასც ვნანობ... უფრო ხშირად ვყოფილიყვაი მასთან, რა იქნებოდა!

მამა გულში ჩახუტებული მყავდა და ხელში ჩამაკვდა. 74 წლისას სარკმა გაუზინდა. ჩემი მმაკაცია რეზო გაგუა. პირდაპირ მითხრა: გურამ, ამას არ შველის არაფერიო. ორი თვე ვიცოდი ეს, გავდიოდი სხვა ოთახში, ცრუმლი რომ დამემალა. ჩემმა დამ მითხრა, იმ დღეს მამას უთქვაშს: გურამს არ უთხრათ, 9 საათზე მოგვკედებიო. ვერმიშელის წვნიანი მოითხოვა და გამიხარდა, იქნებ გადავრჩიო-მეთქი. იმ საღამოს 9 საათზე ხელში ჩამაკვდა. იცოდა, ყველაზე მეტად მე განვიცდიდი... კარგად მიცნობდა.

ბევრს ჰგონია, უდარდელი ვარ. არ არის ასე. მანამდე მეგობარი მომიკვდა, — ბენო. კინალამ მოგვკედი, იმდენი ვიდარდე. მერე მმა დავკარგე. ღვინო შშველოდა. ბავშვობაში ბებაც მომიკვდა, მაგრამ მაშინ სხვანაირად აღვიქვამდი ამას. სიკვდილსაც ეწვევა ადამიანი.

ახლა ვფიქრობ: სიძულვილი არავისგან მიგრძნია. ყველასთან სიყვარული მაკავშირებდა. ზოგჯერ კი განეხიბლულგარ... შური თეატრში ვიგრძენი. როლი სულ არ მინდოდა, მეზარე-

ბოდა მუშაობა. იმათ კი უნდოდათ და იყო ერთი ამბავი.

ბავშვობაში ჯერ გემის კაპიტნობა მინდოდა. დედაჩემა გამოაცხადა, სად მყავს ოკეანეში დასაკარგი შვილიო. მერე მოტინავობაზე ვოცნებოდი და ისეთი წერილი მომწერა ჯარში, გადამაყიქწებინა. ახლა ჩემი მეგობარი ამირან მანჯვიძე მეუბნება, მოდი და რამდენიც გინდა, იფრინე ნატახტართანო. შემემინდა: ამ სიბერუში რა დროს ფრენაა, უკვე დამჯდარი ვა!

თვითონ უნდა გაილამაზო მწუხრის დღეები. კინოსტუდიიდან კი ყველა გაგვარეს, მაგრამ მაინც გავიცლი ხოლო... ვნახულობ მეგობრებს. მწუხრისას უნდა საზრუნვავი გაიჩინო, მე დავდიგარ და ახლობლებს ვწმარები....

მიფიქრია სიკვდილზე. გნდა თუ არა, სამოცის მერე ამაზე ფიქრობ... ცოდვა ისაა, ვისაც ახლობლები არ ჰყავს იქ და თვითონ პირველი კვდება. მე იმდენი ჩემიანი მყავს იქით, სულ არ მეშინია... უბრალოდ, შეზარება სიკვდილი... ვერ ვიტან, შეცხადება რომ იციან. მინდა ვუთხრა ჩვენებს: „წიგილ-კულილი არ დავნახო აქ!“

რაა საკივლელი... ამბობენ, თუ სიკეთე გაქვს გაკეთებული, ძალიანაც კარგია საიქიოშიო...

ლელა პილაშვილი

„წიგილ-კულილი
არ დავინახო
აქ!“





პრეზიდენტი რაის დღით!

როგორც იუდეველები. ამიტომ ტეილორმა კვირადეს ფიცის დადებაზე უარი გნაცხადა. პრეზიდენტი ვერც მასუე ვიცე-პრეზიდენტმა მილარდ ფილმორმა შეცვალა.

ამერიკული კანონმდებლობით, ქვეყანა ერთი დღის განმავლობაში პრეზიდენტის გარეშე ვერ დარჩება. ამიტომ სენატმა დროუბითი პრეზიდენტის პოსტი გაითვალისწინა, რომელსაც უმრავლესობის ლიდერი იკვებს. ამდენად, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ეს პოსტი სენატორმა დაკიდ რაის ეტჩისონმა დაიკავა. მან ამ დღის უმეტეს ნაწილი ძილში გაატარა და შემდგა ამტკიცებდა, რომ ეს ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ყველაზე პატიოსანი მმართველობა იყო.

ზაქარი ტეილორმა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ფიცი ორშაბათს, 1849 წლის 5 მარტს დადო.

რაც შეეხება ეტჩისონს, მას არასოდეს უყრია კნიჭი პრეზიდენტის პოსტზე. 1886 მისურის შტატში, ალაციბურგთან ახლოს მისი გარდაცვალებიდან თითქმის 40 წლის შემდეგ, საოლქო სასამართლოს შენობასთან გაიხსნა მისი სტატუა მემორიალური დაფით. დაუაზე იყო წარწერა „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ერთი დღით“.

დაუა ასეთივე წარწერით განთავსდა ეტჩისონის საფლავზე გრინვალდში.

ეტჩისონი ერთი დღით პრეზიდენტი რომც არ გამხდარი იყო, ის საკმაოდ ცნობილი იყო იმამდელ ამერიკაში. დაიბადა 1797 წელს კნიუკის შტატში. 1830 წელს მისურიში გადავიდა და იურიდიულ პრაქტიკას მიყო ხელი. კრძოლ, იცავდა მორმონების ინტერესებს, რომელთაც მიწების გამო ჰქონდათ დაგა. მის კლიენტებს შორის იყო მორმონების ლიდერი ჯოზეფ ჰიმით.

1843-დან 1855 წლამდე ეტჩისონი სენატის წევრი იყო და 1854 წელს მიღებული კანსას-ნებრასკის კანონის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი გახლდათ.

მომზადებულია history.com-ის მიხედვით

თუკი ამერიკულებს პეითხავთ, ვინ იყო ქვენის რიგით მეთორმეტე პრეზიდენტი, ვიპასუხებენ, რომ ზაქარი ტეილორი. თუმცა ეს არ იქნება სწორი პასუხი. სინამდვილემი ამერიკის მეთორმეტე პრეზიდენტი დევიდ რაის ეტჩისონი იყო. მან ამ პოსტზე ზუსტად ერთ დღეს დაყო.

მოხდა ისე, რომ აშშ-ის მეთერთმეტე პრეზიდენტ ჯეიმს ნოქს პოლკს საპრეზიდენტო ვადა 1849 წლის 4 მარტს ამოეწურა. 1800 წლიდან 1933 წლამდე, ამერიკის ლიდერები ფიცის სწორედ 4 მარტს დებდნენ. მაგრამ 1849 წელს, 4 მარტი კვირადე იყო. პრეზიდენტ ჯეიმს ნოქს პოლკის მემკვიდრე, გენერალი ზაქარი ტეილორი პროტესტანტი გახლდათ. მაშინ აროტესტანტები, რელიგიური მოსაზრებებით, კვირას უქმედ მიიჩნევდნენ, ისე



„ისტორიული ქანრის ღიგერატურა, მითები, ღვევენდები კოველთვის მიყვარდა, ისტორიული რომანებიც მაინტერესებს, — ამბობს მოძღვრალი მაკა ზაბახიძე. ღმერდე ახსოვს ის ეძოცას, რომელიც გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელას“ წაკითხვისას დაუფლდა. ეს ისტორიული რომანი გამორჩეულად უყვარს. ისიც მითხრა, რომ მართალია, ბოლო წლებში დროის უქონლობის გამო აქტიური მკითხველი კვლარ არის, მაგრამ ისტორიულ ფილმებს კოველთვის სიამოგნებით უკურნებს.

მაკა ზაბახიძე:

ისტორია თუ ბვიცოდინება, მტრისა და მოყვრის კრთმანეთისბან ბარჩევა არ ბაბვიჭირდება...

— მაგა, ისტორიული გმირებიდან გამორჩეულად რომელი გიყვარს?

— თამარ მეფე. იგი არა მხოლოდ უძლიერესი მეფე, არამედ უძლიერესი ქალიცაა. შესაძლოა „ლაშარელას“ გაულენაა, მიყვარს მისი შვილიც, ლაშა-გიორგი. გული მწყდება, რომ მის ქალიშვილს, მასავით მეფექალს, რუსულანს მემატიანენი არცოუ კეთილად მოიხსენიებენ... იმსაც გეტეგით, რომ საკუთარი ქვეშნის, მისი წარსულის შესახებ სასურველია კველაფერი თუ არა, უმთავრესი მაინც ვიცოდეთ. ისტორია თუ გვეცნდინება, მტრისა და მოყვრის ერთმანეთისგან გარჩევაც არ გაგვიჭირდება. არანაკლებ სასურველია, ლირსეულ წინაპართა გამოცდილების გაზიარება.

— 11 წლის გოგონა გყავს, როგორც ვიცი, ისტორიული მოთხოვნებით გამორჩეულად ინტერესდება...

— მამა პედაგოგი მყავს, სალომესთვის ხშირად ყიდულობს ახალ გამოცემებს. კარ-

გია, რომ ეს გამოცემები არა მხოლოდ საინტერესოა, არამედ მშვენიერად იღუსტრირებულიც. კითხვა არ ეზარება, არდადეგებზეც სულ წიგნებშია ჩაფლული. უნდა კაღიარო, ბევრად მეტი რა და აქვს წაკითხული, ვიდრე მე — მის ასაკში და ეს ძალიან მიხარია.

— დროა კითხარზე გადავიდეთ კარგი მქანერება გაქვს?

— მხედველობით მქსიერება უფრო კარგი მაქვს. რა დასამალია და ძალიან ვწერვიულობ.

— რატომ ჰქვია შავ ზღვას შავი?

— ადრე „პონტოს ზღვა“ ერქვა. როგორც მახსოვს, ბერძნებმა შეარქეს.

— სტრაბონი მას მოიხსენიებდა „კოლხიდის ზღვად“. ძევლი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებში ბერძნი ზღვაოსნები უწიდებდნენ „პონტოს აქსიონს“. რას ნიშნავდა ეს მათ ენაზე?

— არ ვიცი.

— არასტუმართმოყვარე ზღვას.

— ეს პირველად გაუიგე.

— ბერძნი კოლონიზაციონების ზღვის სანაპიროზე დასახლების შემდეგ მას „პონტოს კუქისინოსი“ (სტუმართმოყვარე) უწოდეს. XV საუკუნიდან კი ოურქებმა „ყარადღიაზი“ (შავი ზღვა) შეარქეს და მერე კველა ენაში დამკვიდრდა.

— ამას აუცილებლად დავიმახსოვრებ.

— რომელ ქვეყანაში მოღვაწეობდა ფარსადან გორგიჯანიძე?

— მცონი, ირანში.

— ირანში როსტომ მეფის კარზე იზრდებოდა. როსტომის ქართლში გამეფების შემდეგ, ფარსადან ასრულებდა ირანში მის მოვალეობას, ისპაპანის მოურავი იყო. მის კალამს ექუთვნის საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 1696 წლამდე. არსებობს ვერსია, რომ დავით IV-ს „აღმაშენებელი“ მან უწოდა.

— მის შესახებ ამდენი რამ არ ვიცოდი.

— 1155 წელს ერთიანი საქართველოს რომელი მეფე აღიკვეცა ბერად დავით-გარეჯის მონასტერში დამიანეს სახელით?

— დემეტრე I.

— ვის მიუძღვნა მან „შენ ხარ ვენაზი“?

— მარიამ ღვთისმშობელს. როგორც მახსოვს, ცნობილი საგალობელი ბერად აღკვეცის შემდეგ შექმნა.

— ბიბლიის მიხედვით, რომელ ქალაქში გაატარა ბაჟშობა ისრო ქიოსტემ?

— ნაზარეთში.

— ის ცნობილი ქართველი მწიგნობარი, მესტამბე, პოლიტიკური და საეკლესიო მოღვწე იყო. სამშობლოდან გაიტაცეს და კონსტანტინეპოლს მონად გაყიდული ვლახეთში მოხვდა. ის სინას მთას მიმავალი, 1716 წელს გზაში მოკლეს. ცხოვრობდა და მოღვწეობდა რუმინეთში. დასახელე, ვისზეა ლაპარაკი?

— ანთომოზ ივერიელზე...

— დიახ. 1783 წლის 24 ივნისს ციხესიმაგრე გეორგიეგს ში გაფორმდა სამოკავშირეო ხელშეკრულება რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. ვინ აწერდნენ ხელს საქართველოს და რუსეთის მხრიდან?

— საქართველოდან ხელს გარსევან ჭავჭავაძე და ორანე ბაგრატიონი აწერდნენ, ხოლო რუსეთიდან (ფიქრობს)... ეს აღარ მახსოვს.

— გენერალი პავლე პოტიომკინი. 1700 წლის 19 ნოემბერს ნარგასთან ბრძოლაში ტკვედ ჩაგარდა მეომარი, რომელშიც პეტრე I-მა მოწინააღმდეგეს ერთი ტონა ოქრო შესთავაზა. ვინ იყო ის მეომარი?

— ქართველი იყო, მცონი ბაგრატიონი, სახელი არ მახსოვება.

— აღექვსანდრე ბაგრატიონი. „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო“... — ვინ წარმოთქვა ეს სიტყვები 1918 წლის 26 მაისს?

— ნოე ქორდანიამ.

— მირიან მეფე, ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, დემეტრე II. ჩამოთვლილთაგან, რომელი მეფე არ იყო ქრისტიანი?

— გთხოვ, მეფეები ერთხელ კიდევ ჩამომითვალე (კითხვის გამეორების შეძლევ), ფარნავაზი.

— დიახ. რა რეაქცია პეტრი ბრუშჩივს, როცა 1960 წელს ფილიპინელმა ლორნუცო სუმულონგმა საბჭოთა კავშირის აღმოსავალეთ ვრობის დეკოლონიზაცია შესთავაზა?

— არ მახსოვეს.

— ფქასაცმელი გაიხადა და გაეროში მაგიდაზე აბრახუნა. რომელი შტატი იყიდა ამერიკაში რუსეთისგან?

— ალასკა.

— რა საკითხს მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ 1871 წელს დაწერილი პუბლიცისტური წერილი „გამოცანები“?

— მამათა და შვილთა ბრძოლას.

— მისი შენებლობა იმპერიატორმა ცინ შიკუანდიდ ჰუნებისგან (ცენტრალური აზიის ცხენოსანი მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ტომების გაერთიანება) თავის დასაცავად დაიწყო. რის მშენებლობაზეა ლაპარაკი? — მინიშნებას ვერ მეტყვე?

— ეს მსოფლიოში ცნობილი ნაგებობაა, ვფიქრობ, მინიშნებაც კი არ არის საჭირო.

— (ფიქრობს) ჩინეთის დიდი კედელი.

— „მარტო შენი მტერი დავიმალავს, შენს სახეზე რომ ურიგობა ნახოს რამე, მოყვარე კი მაშინეულ სარკეს მოვიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცვა, — სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა გუყოთ თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგადაშიგ ლაქებია-

ნიცა? რაც მქონდა, ის მოგართვი, როგორც შემეძლო, ისე დაგეხმარუ. თუ მაინც და მაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენი წყრომის არ მეშინიან“. რომელი ნაწარმოებით მოგვიტანა „სარკე“ ილია ჭავჭავაძემ?

— „პაცია-ადამიანი?!“

— დიახ. ის წარმოშობით გათურქებული მონღოლი იყო. თავდაპირველად დუმნის უფროსი გახლდათ. შემდევ აჯანყდა, ვერ გაიმარჯვა და ყაჩაღად გაიჭრა. ერთ-ერთი შეტაქების დროს დაიჭრა და ფიზიკურად დამაზინჯდა. საქართველოში არაერთგზის იღაშერა. დაასახელე, რომელ დამპყრობელზეა ლაპარაკი?

— თუმცურ-ლენგზე. იგი ხომ კოჭლი იყო.

— თუ გახსოვს, რომელ წლებში და რამდენჯერ ილაშერა მან ჩვენს ქვეყანაში?

— რვაჯერ იღაშერა, წლებიც უნდა გითხრა? ზუსტად არ მახსოვს.

— 1386-1403 წლებში იღაშერა და მისი მიზანი ჩინგიზ-ხნის იმპერიის აღდგნა იყო. „ვინაიდან ნათესავნი ქართველთანი ესეოდენ, კეთილ არიან და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დადგვას სული თვისი მოყვარეთათვის“... რომელმა ქართველმა გმირმა დაიმსახურა მონღოლთა ნოინის ასეთი შეფასება?

— ცოტნე დადიანნა.

— „ბრძოლის ველზე მალე ბერდებიან, მე კი იქედან მოვდიგარ“. რომელი იმპერატორია ამ სიტყვების ავტორი?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებ, ის საფრანგეთის გამორჩეულ მმართველად ითვლება.

— ნაპოლეონ ბონაპარტი.

— ეს ინგლისელი მწერალი ქალი, პირველი მსოფლიო ომის დროს, მოწყვალების დად მუშაობდა. მას დუტებტური ჟანრის 60-მდე ნაწარმოები აქვს შექმნილი. ვისწერა ლაპარაკი?

— არ ვიცი.

— აგატა კრისტი. რა პქვია კარდინალთა კრებას, რომელიც რომის პაპის გარდაცვალების შემდევ ახალ პაპს ირჩევს?

— რომელიც ახლახან გაიმართა. კონკლავი, სწორად ვამზიობ? ტაძრიდან თეთრი კვამილის ამოსველა იმის ნიშანია, რომ პაპი აირჩიეს.

— საქართველოს რომელ კუთხეშია ბარაკონის ეკლესია?

— რაჭაში.



— ევროს გამოშვებას ლამის სკანდალი მოვა. რა შეცდომა იყო დაშვებული კუპიურების თავდაპირველ გარიანტზე გამოსახულ ვერობის რუკაზე?

— ვერ გიპასუხებ.

— გერმანია შუაზე იყო გაყოფილი. ვინ იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტი? ის სხენებულ უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის თვის დააპატიორეს და გააციმბირეს. 1835 წელს ჭლექით გარდაიცვალა.

— (ფიქრობს) დიახ, გავიხსენე — სოლომონ დოდაშვილი, არა?

— დიახ. დაასრულე უინსტონ ჩერჩილის ცნობილი გამონათქმამი: „ისტორია ჩერდამი ლმობიერი იქნება, რადგან თავად ვაპირებ...“

— ვერ დავასრულებ...

— „...თავად ვაპირებ დაუწერო იგი“.

თამარ პვილიაძე

პირველი მკვლევრები

401

მას შემდეგ, რაც კაცობრიობა არსებობს, ადამიანები სულ რაღაცას იკვლევენ. ფიქრობენ, რომ პირველი ადამიანები აფრიკში 2 მლნ წლის წინ ცხოვრობდნენ და შემდეგ მთელ მსოფლიოში დასახლდნენ. პირველ კვლევად, ალბათ საკვებისა და საცხოვრებელი აღგილის ძიება უნდა მივიჩნიოთ. ათასწლეულების წინ ზღვები უფრო წყალმარჩხი იყო და ბევრი აღგილი, რომელიც ახლა ზღვის ქვეშ არის მოქცეული, ხმელეთს წარმოადგენდა. ადამიანების შეეძლოთ გადაადგილებულიყვნენ ევროპიდან ბრიტანეთისკენ და აზიდან — ჩრდილოეთი ამერიკისკენ. დაახლოებით 10000 წლის წინ ადამიანები მთელ მსოფლიოში დასახლდნენ.

ჩრდილოეთი
ამერიკა

ჩრდილოეთის ყიცელოვანი ოკეანე



ჩრდილოეთ
ატლანტის
ოკეანე

▲ როგორც ათასწლეულების წინ, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მკვიდრი მოსახლეობა დღემდე ამზადებს ტოტემურ სეეტებს.

▼ სამხრეთი ამერიკის ამაზონის ტყებში მცხოვრები ხალხები ნადირობისას თავიანთი წინაპრებივით დღემდე იყენებენ ჩასაბერ მიღავებს ისრის სასროლად.



სამხრეთი
ამერიკა

სამხრეთ
ატლანტის
ოკეანე

500 ფაზი ისტორიიდან / მაკლევრები

გაგრძელება. დასაწყისი „ისტორიანი“ №№7-27 • ნაწევრტი წიგნიდან „500 ფაქტი ისტორიიდან“

ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე



ევროპა

▼ დაახლოებით 100 ათასი წლის წინ პირველმა თანამედროვე ადამიანმა ჩინეთს მიაღწია.

◀ გამფინვარების დროინდელი ევროპელები უზარმაშარ მამონტებზე ნადირობდნენ ხორცის, ტყვიასა და ეშვების მოსაპოვებლად.

აზია

► წყნარი ოკეანის კუნძულების პირველი მცხოვრებლები სამგზავროდ და სათევზაოდ კანკებს ხმარობდნენ. ისინი დღესაც გამოიყენება.

ტყნარი ოკეანე

აფრიკა

▶ ადამიანის მსგავსი ცხოველის — ავსტრალოპითეკის თავის ქალა, რომელიც აფრიკაში დაახლოებით 3 მლნ წლის წინ ბინადრობდა.



იდეოგრაფის ოკეანე

▲ ადამიანები თანდათან სახლდებოდნენ მთელ მსოფლიოში. პირველი დასახლებები აფრიკაში გაჩნდა. დღემდევა შემორჩენილი მათი ნაშთები და ხელოვნების ნიმუშები. ავსტრალიისა და სამხრეთ ამერიკის მკვიდრი ზოგიერთი ხალხი იმათი შთამომავალია, ვინც პირველები დასახლდნენ აქ.



ტყნარი ოკეანის კუნძულები

ოკეანია

◀ ავსტრალიისა და ოკეანის პირველი მცხოვრებლები კლდეზე ხატავდნენ და ამისთვის ნაშირისა და თიხისგან დამზადებულ საღებავს იყენებდნენ. ამ ტრადიციას დღესაც მისდევთ.

ძველი თავიდასავლების მაძიებლები

402

ძველი ბერძნები და ეგვიპტელები, რომლებიც დიდი შეკვერულები და ძოგზაურები იყვნენ, ოკეანებში სანაოსნოდ ხომალდებს აგბძნენ. მათი მეფები და დედოფლები ფულს არ იშურებდნენ საზღვაო ექსპედიციების დასაფინანსებლად. ქვეყნის მმართველები ზღვაოსნებს ახალი მიწების, განძეულის საპონელად და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის გასაცნობად აგზაფნიდნენ.

403

ზემო
ეგვიპტის

მმართველი ჰარხუფი სამოგზაუროდ დაახლოებით 4000 წლის წინ წარმოიდა. ფარაონმა მერენრემ იგი ქვეყანა იამის (დღევანდელი სუდანის ნაწილი) გამოსაკვლევად გაგზავნა. ჰარხუფმა ეგვიპტეში სპილოს ძალი და სანელებლები ჩაიტანა და ლეოპარდები ჩაიყვანა.

▲ ქაზე ნაკვეთი ჰარხუფის გამოსახულება.

404

ეგვიპტის დედოფალმა ჰაჩეფსუტმა ქარავნები გაგზავნა იმ უცნობი ქეშენების შესასწავლად, რომელთა შესახებაც მონაფოლით იცოდა. ჰაუნტის ქვეყანა განთქმული იყო ოქრო-ვერცხლითა და უწვეულო ცხოველებით. საფარაუდოდ, ის დღევანდელი სომალის (აფრიკა) ნაწილი იყო. ჰაჩეფსუტის ზღვაოსნები ჰაუნტის ქვეყნის მოსაქებად გაუდგნენ გზას. უკან დაბრუნებულებმა ჩამოიტანეს ოქრო, სპილოს ძვალი, ნელსაცხებლები, სურნელოვანი ზეთი და ფისი, რომელთაც ეგვიპტელები მაკიაჟისთვის იყენებდნენ; ჩამოიყვანეს მაიმუნები.



405

ძელი დროის საუკუთხსო ზღვაოსნები ფინიკიელები იყვნენ. ისინი დღვანების და ლიბანის ტერიტორიაზე სახლობდნენ და ხმელთაშუა ზღვაზე დაცურავდნენ. ძვ. წ. 600 წელს ფარაონმა ნებო II-მ ფინიკიელი ზღვაოსნები აფრიკაში გაგზავნა. მოგზაურობას სამი წელიწადი დასჭირდა. ეს მოხდა 2000 წლით ადრე, ვიდრე აფრიკას სხვა ზღვაოსნები მოივლიდნენ. ფინიკიელები ნაოსნობისას გზის გასაგნებად გარსკვლავებს აკვირდებოდნენ.



406


ძელი ბერძენი პითეასი იყო პირველი, რომელმაც დაახლოებით ძვ. წ. 380 და 310 წლებს შორის, ყინულოგნ ჩრდილოეთში იმოგზაურა. მან გაიარა ხმელთაშუა ზღვა, ესპანეთისა და დიდი ბრიტანეთის ნაწილი და აღმოაჩინა ყინულოგნი ქვეყანა, რომელსაც თულე უწოდა. საყარაუდოდ, ეს იყო ისლანდია ან ნორვეგიის ნაწილი. პითეა იყო პირველი ბერძენი, ვინც აისბერგები, შუაღამისას კი მზის ნათება იხილა. თუმცა, როცა საშშობლოში დაბრუნდა, თანამემამულეთაგან მცირედმა თუ დაიჯერა მისი ნაამბობი.

◀ პაჩეფსუტი ქვეყანას მართავდა, სანამ მისი ზღვაოსნები პუნტის ქვეყნისკენ მიეშურებოდნენ.

▲ სანგრძლივ ნაოსნობაში ფინიკიელები აფრებიან ხომალდებსა და ნიჩბებს იყენებდნენ.



მარკო პოლო



407

მარკო პოლო ეველი დროის ერთ-ერთი სახელგანთქმული ზღვაოსანი იყო. მარკო იტალიაში, ვენეციაში ცხოვრობდა XIII საუკუნის დასაწყისში და რამდენჯერმე იმოგზაურა აზიაში მაშინ, როცა ბევრ ეროვნებს თავისი სოფლიდან ჯერ ფეხიც არ გაედგა. მარკომ მოგზაურობაში 40 ათას კილომეტრზე მეტი გაიარა.

◀ როცა მარკო პოლო შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში, სახელდობრ, ჩინეთში ჩავიდა, საეჭვოა, ვეროპელთაგან ერთხელ მაინც ყოფილიყო ვინმე ნამჟოფი ამ ქვეყანაში.

▼ ამ რუკაზე ნაჩვენებია მარკო პოლოს აზიაში, ჩინეთში მოგზაურობის მარშრუტი. მოგზაურობას მან სამი წელიწადი მოანდომა.



408

პირველ მოგზაურობაში მარკო პოლო 17 წლის ასაკში წავიდა. მამა და ბიძა გაჭრები ჰყავდა, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთში საკარიონ დადიოდნენ და ქარწვილიც თან წაიყვანეს. 1271 წელს ისინი ჩინეთის გზას გაუდგნენ — მოგზაურობას სამი წელიწადი დასჭირდა.

409

ჩინეთში პოლოები ძლიერობისილი იმპერატორის, ყუბილაი-ხანის სტუმრები იყენენ. ყუბილაი-ხანს ჰქონდა უზარმაშარი სასახლეები, განძეულით საესე ოთახები და ჰყავდა უამრავი ცოლი და მსახური. ყუბილაი-ხანმა მარკო პოლოს თავისი სამფლობელოს შემოვლა და შემოწება დაავალა. მარკომ მთელი ჩინეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია მოიარა.



▲ ქანახშირი, ფეირვერკები, სათვალე, ნაყინი, მაკარონი და ქალალდის ფული მარკო პოლომ პირველად ჩინეთში ნახა.

410 აზიაში მარკო პოლომ ბევრი საოცრება იხილა. ფეირვერკი, ქანახშირი, ქალალდის ფული, მაკარონი, ნაყინი და სათვალე მან პირველად ნახა. გააოცა იმან, რომ ჩინელებს გამართოელი საფოსტო სისტემა ჰქონდათ და წერილების გაგზავნა იმპერიის შორეულ კუთხეებშიც შეძლოთ.

411

ოცი წლის შემდეგ პოლოებმა საშობლოში დაბრუნება გადაწყვიტეს. გზის დიდი ნაწილი ჩინური ხომალდებით — ჯონგებით გაიარეს. გზაში 600-ზე მეტი მგზავრი და ეკიპაჟი დაიღუპა სხვადასხვა დაავადებისგან, პოლოები კი 1295 წელს უენებლად დაბრუნდნენ ვენეციაში.

412

მოგვიანებით, იტალიაში ომის დროს, მარკო პოლო დაატყვევეს. ციხეში ერთ მწერალთან ერთად იჯდა, რომელსაც საკუთარი თავგადასავალი უამბო. მწერალმა ჩაიწერა მარკოს ნაამბობი და წიგნს „მარკო პოლოს მოგზაურობა“ უწოდა. სულ მალე წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა!

ეართალია თუ ტჟუილი?

1. ინდონეზიაში მარკო უცნაურ კუდიან არსებებს შეხვდა.
2. ჯონკა ეტლის ერთ-ერთი სახეობაა.
3. ქრისტეფორე კოლუმბის მარკო პოლოს მოგზაურობის წიგნის კითხვა უყვარდა.
4. მარკოს ჩინეთში პიცით გაუმასპინძლდნენ. (პასუხები)
 1. ტჟუილია. მარკო თავის წიგნში წერს, რომ უცნაური კუდიანი არსებები მართლაც არსებობენ, მაგრამ თავად არ უნახას. ანლა ჩევნ ვიცით, რომ ეს დედაბრების ზღაპრები იყო.
 2. ტჟუილია. ეს არის ხომალდის ერთ-ერთი სახეობა.
 3. მართალია. კოლუმბის მარკო პოლოს მოგზაურობის წიგნში გაუჩინა უცხო ქვეყნების ნახვის სურვილი.
 4. ტჟუილია. მარკო პოლოს ჩინეთში გაუმასპინძლდნენ მაკარონით და არა პიცით.

იბნ ბატუტა

413

იბნ ბატუტას მოგზაურობა სიზმარ-მა გადაწყვეტინა. 1325 წელს იბნ ბატუტა მუსლი-მანთა წმინდა ქალაქ მექაში მოსალოცად ჩაიყდა. სწორედ იქ დაესიზმრა, როგორ აიტაცა ჰაერში უზარმაზარმა ფრინველმა და გააქროლა. იბნ ბატუტამ სიზმარი ღვთის გზავნილად მიიჩნია — ის სამოგზაუროდ წასვლას უბრძანებდა. რაკი მუსლიმანი იყო, გადაწყვიტა, მსოფლიოს მუსლიმანური ქვეყნები ენახა.

414

იბნ ბატუტა მოგზაურობას შეუდგა, რასაც დაახლოებით 30 წელიწადი მოანდობა! მან მოიარა ორმოცხე მეტი ქვეყანა, მათ შორის — დღვევანდველი კენია, ირანი, თურქეთი, ინდოეთი და ჩინეთი — თითქმის ყველა მუსლიმანური ქვეყანა. 30 წლის განმავლობაში იბნ ბატუტამ 120 ათას კილო-მეტრზე მეტი გაიარა.



◀ ინდოეთის სულთანი მუჰამად თუდღუქი მრისხანე და სასტიკი კაცი იყო.

415

იბნ ბატუტა ინდოეთში შეიდწყიდს დარჩა და სულთანს ემსახურა. სულთანმა ის მოსამართოლებდანიშნა — იბნ ბატუტას უნდა გადაწყვიტა, ადამიანი დამნაშავე იყო თუ უდანაშაულო. მოგზაურს ძალიან ეშინოდა სულთნის მრისხანებისა, ის ურჩებს მღელარ წყალში ხარშავდა, თავს კეთდა ან ცოცხლად ატყავებდა. ერთხელ იბნ ბატუტასაც კინაღამ თვეი წააცალა იმისთვის, რომ სულთნისგან შერისხულ ხალხთან მეგობრობდა.



◀ იბნ ბატუტა
მოგზაურობა მას
შემდევ დაწყო, რაც
სიზმარში უზარმაზარმა
ფრინველმა აღმოსავ-
ლეთისკნ გაიტაცა.

417

იბნ ბატუტას გაუმართლა, რომ
მოგზაურობიდან უწნებელი დაბრუნდა.
მოგზაურობის დროს მას თავს დაესხნენ
ინდოელი ყაჩაღები, ტყვედ აიყვანეს
მაღლითის კუნძულებზე, შრი-ლანკაში კი
მეკობრები დაედევნენ და რამდენჯერმე
ხომალდიც ჩაეძირა. მოგზაურობის
დასასრულს მან ნახა შავი ჭირისგან,
საშინელი და მომაკვდინებელი სენისგან
დახოცილი ადამიანებიც. საბედნიეროდ,
იბნ ბატუტას არ შეყრია ეს სენი.

416

დასასრულ, იბნ ბატუტა
საშობბლოში — მაროგოში დაბრუნ-
და. როცა სულთანმა მისი თავგადა-
სავლების შესახებ შეიტყო, სოხოვა,
ჩაქრერა ყველაფერი. მოგზაურმა
წერა არ იცოდა, ამიტომაც გადამ-
წერს უამბობდა, რომელიც ყვე-
ლაფერს იწერდა. წიგნს „რიპლა“
ეწოდა, რაც „მოგზაურობას“
ნიშნავს.

დაუჯვრებელია!

თითქმის ყველგან, სადაც
ჩავიდოდა, იბნ ბატუტა, ქორ-
წინდებოდა. ამიტომაც რამ-
დენიმე ცოლი და უამრავი
შეილი ჰყავდა მსოფლიოს
სხვადასხვა ნაწილში.



1	სულიერი და შექმნილ ბრძოლის ისკონიშვილი	2	ლიბანის შინიტა მომართაბა	3	წინაპარითაგან დამზადებული ლი წესი		
4	მსოფლიოში უდიდესი ქვეყნა						
5	ადამიანური ბალანსი ამბები						
6	აშშ-ის თავმაცემის უწყება	გერმანიური პასტოლეტი	ლიბანის ექს- პიტ-ინდუსტრი			9	ჭარბიწოდას მფრიცელი ჭალდებურთი ტე- ბერის.
7						10	ჭალაქა საქართველო- ში
8						11	არაული ქვეყნა
12	რუსეთის პარლამენტი					13	ქვეყნა აფრიკაში
14	მეცნი პარაზიტის ცოში					15	ნაპიროვნის პარადი უერმწერი
16	ირანის შეპის მოსახულება					17	ქართველობა წინამდინარე
18		ფრანგ მეცნიერა სახელი				19	ლილატე- ორიზონ მინქნა ქულალი
20	სტიუარ- ტექსტილის ბრძოლი დაკიდებული					21	კავკას ერთ- ერთი დამარისტელი
22	მეცნიერი საზოგადო საჭრელი	23	ქვეყნა ვეროპაში			24	საჯარის დაწყოფი

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

1. იღიონი; 2. მოს; 3. აღივე; 4. ოღიძი; 5. ვენა; 6. ნუმიზმატი; 7. კალედონა; 8. კიი; 9. დონისიონი; 10. ტრადიცია; 11. მიხა; 12. ულუ; 13. ტიტი; 14. კორონინი; 15. მინევა; 16. მო; 17. ატალა; 18. მესხი; 19. მარსი; 20. აია; 21. აათი; 22. ტაო; 23. ძე; 24. კანონიზე; ფანჯ მზასხანე.